პროლეტარებო ყველა ქვეყნისა, შეერთდით

წელიწადი მერვე

საქ. კომუნისტური პარტიის ცენტრალური და თბილისის კომიტეტების
— და —
სრულიად საქართველოს მუშათა, გლეხთა, წითელარმიელთა და მეზღვაურთა დეპუტატების საბჭოების
ცაკის ორგანო

კომუნისტი

რედაქცია
თბილისი, კამოს (ყოფ. დიდი მთავრის) ქ. № 68, მეორე სართული
რედაქციაში საქმისათვის მოლაპარაკება შეიძლება ყოველდღე,
გარდა კვირა-უქმეებისა დილის 10 საათიდან ღამის 12 საათამდე.
ტელეფ.) რედაქტორის 14—76
) მდივნის 10—68
) ღამის მორიგეს 18—80.

მთავარი კანტორა თბილისი რუსთაველის პროსპ., № 84, ტელეფონი № 8—81.

ხელისმოწერის ფასი: მუშა-მოსამსახურეთათვის, გლეხების, წითელ-არმიელების, მოწაფეების და მასწავლებლებისათვის—1 მან., დანარჩენებისათვის—1 მან. და 30 კაპ.

განცხადებები: საქართველოს ფარგლებში— ტექსტის უკან—80 კ. ნონპარელის სტრიქონი, ტექსტის შიგნით—1 მ. 60 კ.; საქართველოს გარეთ—ტექსტის უკან—1 მ. 50 კ., ტექსტში—3 მ.; განმცხადებელი გარდა განცხადების ფასისა იხდის 10% საქალაქო გადასახადს. თუ განცხადება იბეჭდება ხუთჯერ ტექსტის შეუცვლელად-შეღავათი შეთანხმებით. მთ. კანტორაში განცხადებები მიიღება 9—3½ ს., 3½ ს. შემდეგ განცხადება ღირება 20%-ით მეტი. სამგლოვიარო განცხადებები—15 და 20 მ.

დღიური

— დემონსტრაციები საიმონის კომისიის წინაამდეგ ინდოეთში.
— ლილის (საფრანგეთი) ფეიქართა გაფიცვა ფართოვდება.
— ნიუ-იორკში გაიმართა კომკავშირელების დემონსტრაცია.
— ფრანგ, გერმანელ, ბელგიელ და ინგლისელ მენშევიკებს განზრახული აქვთ გაერთიანებული თათბირის მოწვევა.
— დასრულდა მონღოლეთის პროფკავშირთა ყრილობა.
— ბულგარეთ-თურქეთის ხელშეკრულების პროექტი.
— ჩაიძირა საფრანგეთის წყალქვეშა ნავი.—დაიღუპა 43 კაცი.

კვირა, 14 ოქტომბერი 1928 წ. ყოველდღიური გაზეთი ფასი 5 კაპ. № 239 (2282)

სამშაბათს, 16 ოქტომბერს, საღამოს 6 საათზე,
პროფსაბჭოს დიდ დარბაზში მოწვეულია
საქ. კ. პ. (ბ) თბილისის კომიტეტის
მე-8 გაფართოებული პლენუმი
რაიკომების პლენუმებთან და მსხვილ საწარმოო უჯრედების მდივნებთან ერთად.

დღის წესრიგი: 1) საქართველოს კომპარტიის მუშაობის გამოკვლევის შედეგები (მომხსენებელი საკ. კომპ. (ბ) ცეკას პასუხისმგებელი ინსტრუქტორი ამხ. პუნიცინი); 2) უჯრედების ბიუროების გადარჩევის და პარტკონფერენციების შესახებ.

თბ. კომ. პრეზიდიუმი.

ორშაბათს, 15 ოქტომბერს საღამოს 6 საათზე
პროფსაბჭოს მცირე დარბაზში გაიხსნება
საქართ. კომპარტიის საოლქო, სამაზრო და თბილისის კომიტეტის
მუშა და გლეხ ქალთა შორის მომუშავე განყოფილების გამგეების
სრულიად საქართველოს მე-10 თათბირი

მუშაობა მშრომელ ქალთა შორის

ხვალ გაიხსნება მშრომელ ქალთა შორის მომუშავეთა სრულიად საქართველოს თათბირი. ეს არის საქართველოს კომუნისტური პარტიის მუშა და გლეხ ქალთა შორის მომუშავე განყოფილებათა წარმომადგენლების მეათე თათბირი, რომელიც უთუოდ, განსაკუთრებულ ადგილს დაიჭერს წინა თათბირებს შორის. მუშა და გლეხ ქალთა მასების პოლიტიკურად და კულტურულად აღზრდის საქმე, მათი ორგანიზაციულად დარაზმვა და საბჭოთა აღმშენებლობის ყველა უჯრედებში აქტიურად ჩაბმა არის ერთ-ერთი მორიგი საპასუხისმგებლო ამოცანათაგანი. ამაზე მიგვითითებს საკავშირო კომპარტიის ცეკას ის რეზოლიუცია, სადაც მოცემულია საქართველოს კომუნისტური პარტიის მთელი ორგანიზაციის მუშაობის შეფასება და აღნიშნულია ჩვენი მორიგი ამოცანები.

გარდა ამისა საქართველოს მშრომელ ქალთა შორის მუშაობის შესახებ ჩვენ გვაქვს საკავშირო კომპარტიის ცეკას მუშა და გლეხ ქალთა განყოფილების სპეციალური დადგენილება, რომელშიაც კონკრეტიულად არის აღნიშნული ქალთა შორის მუშაობის ნაკლი და მიღწევები საქართველოში.

საქართველოს მშრომელ ქალთა მუშაკების მეათე თათბირმა მთელი თავისი მუშაობა უნდა ჩაატაროს ყველა ამ მითითებების მიხედვით და ნიადაგი მოამზადოს იმისათვის, რომ საფუძვლიანი გარდატეხა მოხდეს საქართველოს მუშა და გლეხ ქალთა შორის მუშაობის გაუმჯობესების დარგში. ეს გარდატეხა კი აუცილებელია.

როგორია ეხლანდელი მდგომარეობა? თავისთავად ცხადია, რომ საბჭოთა საზოგადოებრიობის საერთო ზრდასთან ერთად, უთუოდ დაწინაურდა პოლიტიკურად და კულტურულად მშრომელ ქალთა ახალი ფენებიც, მიღწევები ამ მხრივ არის და მათი უარყოფა სინამდვილისათვის შეგნებულად გვერდის ახვევა იქნებოდა. მაგრამ, რაც უნდა თვალსაჩინო არ იყვეს მიღწევები ამ დარგში, ისინი, ჩვენ ვერ დაგვაკმაყოფილებენ.

პირველყოვლისა აღსანიშნავია ერთი გარემოება, ეს ის, რომ ქალთა მშრომელი მასების გათვითცნობიერებისა და მათი დაწინაურების საქმე უმეტეს შემთხვევაში უკან ჩამორჩება ჩვენს საერთო ზრდას. ამას აქვს თავისი გასამართლებელი ობიექტიური პირობები, მაგრამ ეს ხომ მდგომარეობას არ შველის? თუ ეს მდგომარეობა გაგრძელდება, ის განსხვავება, რომელიც ეხლა არსებობს მშრომელ ქალთა და დანარჩენ მშრომელ მასებს შორის კულტურულ პოლიტიკური თუ ფაქტიურ უფლებრივ მდგომარეობის მხრივ, კიდევ უფრო გაღრმავდება.

ამისათვის საჭიროა ქალთა შორის მუშაობა უშუალოდ და ყველაზე უფრო ძლიერად გაიშალოს მშრომელი ქალთა მასების ყველაზე უფრო ჩამორჩენილ და დაბეჩავებულ ფენებში. დღემდე საკმაო ყურადღება ვერ ექცეოდა მუშა და სოფლის ღარიბ ღატაკ ქალთა ფენებს. კიდევ უფრო მძიმე იყო და არის ეროვნულ უმცირესობათა მოჯამაგირე და ღარიბ გლეხ ქალების მდგომარეობა. ისტორიული უსამართლობით დაკანონებული, ქალის ღირსების დამამცირებელი ჩადრი, ჯერაც კიდევ განუდევნელია ჩვენი სინამდვილიდან. ეროვნულ უმცირესობათა მშრომელი ქალები განსაკუთრებით განიცდიან დრომოჭმულ ყოფა-ცხოვრების უღლის სიმძიმეს. მუშა და გლეხ ქალთა განყოფილებებმა მომავალში აქ გაათკეცებული ენერგიით უნდა გააჩაღონ მუშაობა.

იმისათვის, რომ ქალთა მშრომელი მასების გათვითცნობიერებისა და თვით მოქმედების საქმე წარმატებით მიდიოდეს წინ, საჭიროა იმ ცოცხალი ძალის მომზადება, რომელიც ენერგიულად შეუწყობს ხელს და წინ წაუძღვება ამ საქმეს. ეს არის ქალთა შორის მომუშავე აქტივი. დღემდე ამ მხრივ მდგომარეობა დამაკმაყოფილებელი არაა. ქალთა შორის მუშაობის დარგში მეტად მწვავედ სდგას სათანადოთ მომზადებულ მუშაკთა შერჩევის საკითხი. ასეთი მუშაკები, ნაკლებზე ნაკლები რაოდენობით მოგვეპოვება.

ქალთა შორის მუშაობის დარგში სხვა არანორმალობასთან ერთად შემჩნეულია ერთი მეტად საგულისხმო ნაკლი. ეს არის მუშაობის გეზის იქითკენ მიმართვა, საითაც ნაკლებ სიძნელეებს მოელით, ეს არის გარეგნულ ეფექტისათვის გამოკიდება, საქმისადმი ზერელე დამოკიდებულება. ჩვენ ვერ დავკმაყოფილდებით ქალთა ფორმალური წამოყენებით ამა თუ იმ ხელმძღვანელ ორგანიზაციის წევრად. არც ის კმარა, რომ დღესასწაულების დროს მოვახდინოთ ჩვენი თანაგრძნობის დემონსტრაცია ქალთა მშრომელი მასებისადმი. ყოველივე ამას უნდა ახლდეს სისტემატიური „შავი მუშაობა", რომელიც თვითეულ ჩვენს დეკლარატიულ განცხადებას მშრომელ ქალთა უფლება-მოვალეობის შესახებ, შესაფერ შინაარსაც მისცემს.

ახლოვდება საბჭოთა არჩევნები. ეს მთელი ჩვენი პარტიული და საბჭოთა აპარატის უდიდესი მორიგი გამოცდაა. ქალთა შორის მომუშავე პარტიულ განყოფილებებს ამ კამპანიაში, როგორც ყოველთვის, დიდი პასუხისმგებლობა ეკისრება. მათ უნდა დაამტკიცონ, ისეთი დიდი კამპანიის მაგალითით, როგორიცაა საბჭოთა არჩევნები, რომ საკავშირო ცეკას დირექტივები ქალთა შორის მუშაობის შესახებ ნამდვილად ტარდება ცხოვრებაში.

ყველა ამ ამოცანების გადაწყვეტა ქალთა შორის მომუშავე განყოფილებებს მხოლოდ იმ შემთხვევაში შეეძლებათ, თუ პარტია მთლიანად და მისი ყოველი წევრი აქტიურ დახმარებას გაუწევს მათ მუშაობაში. საკავშირო კომპარტიის ცეკას და საქართველოს კომპარტიის ცეკას მეოთხე პლენუმის დადგენილებანი ქალთა შორის მუშაობის შესახებ ამას პირდაპირ ავალებს თვითეულ პარტიულ ორგანიზაციას, თვითეულ კომუნისტს.

ორი ლიბერალური პარტია ინგლისში

გუშინ იარმუტში გაიხსნა ლიბერალური პარტიის ყრილობა. ყრილობამ უნდა განსაზღვროს ის ტაქტიკა, რომელსაც დაადგება ინგლისის ლიბერალიზმი 1929 წლის საპარლამენტო არჩევნების დროს. ლიბერალური პარტია, როგორც მცირე რიცხოვანი პარტია დამოუკიდებელ პოლიტიკურ როლს ვერ ითამაშებს. მაგრამ ინგლისის განსაკუთრებული საპარლამენტო სიტუაციის გამო ის შეიძლება გადამჭრელ ფაქტორად იქცეს ორი მთავარი პარტიის ბრძოლაში.

საეჭვოა, რომ კონსერვატორებმა მომავალ არჩევნებზე დაიბრუნონ ის აბსოლიუტური უმრავლესობა, რომელიც მათ ამჟამად აქვთ. მრავალმა მარცხმა შინაურ და საგარეო პოლიტიკაში, რომელსაც თითქმის ხუთი წლის განმავლობაში განიცდის ინგლისი, ფინანსიური მდგომარეობის გაუარესებამ, სამრეწველო კრიზისის გაძლიერებამ, უმუშევრობის ზრდამ და ამერიკასთან ურთიერთობის გამწვავებამ შეარყია ინგლისელი ობივატელის ნდობა კონსერვატორების „სახელმწიფოებრივი" ნიჭისადმი. ინგლისის კონსერვატიულ პარტიას, სულ ბევრი-ბევრი, შეუძლია ჰქონდეს იმისი იმედი, რომ მიიღებს შედარებით უმრავლესობას; ხოლო შედარებითი უმრავლესობით ის ვერ შესძლებს გაუძღვეს ქვეყნის მართვა-გამგეობას, თუ მოკავშირე არ ეყოლება.

დაახლოვებით ასეთსავე მდგომარეობაშია მუშათა პარტია. ყველაზე უფრო დიდ ოპტიმისტებს მის რიგებში არა აქვთ იმისი იმედი, რომ მუშათა პარტია აბსოლიუტურ უმრავლესობას მიიღებს პარლამენტში. ხოლო ვინაიდან მაკდონალდი და კომპანია არავითარ შემთხვევაში არ აპირებენ უარი სთქვან მინისტრის პორტფელზე, ხელისუფლების სათავეში მოსაქცევად მათ დასჭირდებათ შეკავშირება ერთ-ერთი სხვა პარტიასთან.

ამრიგად, ლიბერალების მდგომარეობა უაღრესად ხელსაყრელია. კონსერვატორები მზად არიან მიიწვიონ ისინი სათანამშრომლოდ, როც უკვე არა-ერთხელ აღნიშნა გადაკვრით ბოლდუინმა. რომელმაც, ყოველ შემთხვევაში მომავალი არჩევნებისათვის მაინც, უარჰყო მფარველობითი სატარიფო რეფორმა, ვინაიდან ეს რეფორმა მიუღებელია ლიბერალებისათვის, მაგრამ მუშათა პარტიასაც არაფერი აქვს ამის საწინააღმდეგო, რომ შეადგინოს კოალიცია ლიბერალებთან. ლიბერალების ბელადს ლოიდ-ჯორჯს საფუძველი აქვს წარმატების იმედი იქონიოს, მით უმეტეს, რომ წვრილ ბურჟუაზიაში აშკარად იხატება გარდატეხა, კონსერვატორებისათვის ზურგის შექცევა. ეს დამტკიცდა დამატებით არჩევნებზე, როდესაც მრავალ ოლქში გაიზარდა ლიბერალებისათვის მიცემული ხმების რიცხვი.

როგორც მდგომარეობის არბიტრს, ლიბერალურ პარტიას შეუძლია ნება მისცეს თავს სასტიკად გააკრიტიკოს თავის ყრილობაზე როგორც კონსერვატორები, ისე მუშათა პარტია. მაგრამ ეჭვს გარეშეა, რომ მისი სიმპატიები მაკდონალდის მხარეზეა. მართალია, ლიბერალების ყრილობის რეზოლიუცია უსაყვედურებს მუშათა პარტიას, რომ ამ უკანასკნელმა თავისი ახალი პროგრამა ლიბერალებისაგან ისესხა. მაგრამ სწორედ ის გარემოება, რომ მუშათა პარტიამ ლიბერალებისაგან ისესხა პოლიტიკური თვალსაზრისი, ხომ იმას მოასწავებს, რომ ლიბერალებისა და მუშათა პარტიის პროგრამებს შორის არავითარი განსხვავება არ არსებობს და რომ, წმინდა ორგანიზაციული მეტოქეობის მიუხედავად, თანამშრომლობა მათ შორის სავსებით შესაძლებელია.

„პრავდა", 13 ოქტომბერი.

დაიხურა ინგლისის ლიბერალური პარტიის ყრილობა

ბრძოლა პოლონეთის „სოციალისტური" პარტიის შიგნით მწვავდება

საბერძნეთი უარს ამბობს ნეიტრალიტეტზე იტალია-სამხრეთ-სლავიის ომის შემთხვევაში

ინგლისის ლიბერალური პარტიის ყრილობა

ლოიდ-ჯორჯის სიტყვა

ლონდონი, 12 ოქტომბერი. რეიტერის სააგენტო იუწყება:

„ლიბერალების ყრილობაზე იარმუტში ლოიდ-ჯორჯმა განაცხადა, რომ კონსერვატიული მთავრობის საგარეო პოლიტიკა საფრთხეს უმზადებს საყოველთაო მშვიდობიანობასო. შემდეგ ლოიდ-ჯორჯმა სთქვა, რომ მას შემდეგ, რაც გერმანიამ თავისი ვალდებულებები შეასრულა, რეინის ოლქის ოკუპაციის გაგრძელება „საზეიმო ხელშეკრულების დარღვევას" წარმოადგენსო".

„გერმანიამ, — სთქვა ლოიდ-ჯორჯმა,—ხელშეკრულების თანახმად შეასრულა ყველა თავისი ვალდებულება განიარაღების დარგში, მაგრამ 4 წლის განმავლობაში ინგლისის მთავრობას არაფერი არ გაუკეთებია, რათა შეესრულებია ის ვალდებულებანი, რომლებიც მან იკისრა 1919 წელს".

ლოიდ-ჯორჯი შეეხო ინგლის-საფრანგეთის შეთანხმებას და განაცხადა, რომ ეს შეთანხმება „ყველაზე უფრო ბნელი მოვლენაა, ომის შემდეგო".

შემდეგ ლოიდ-ჯორჯმა სთქვა: კონსერვატიული მთავრობის მიერ ჩვენი ქვეყნის წინააღმდეგ იტალიის ამხედრება უდიდესი უგუნურება იყო, მაგრამ ამერიკის ამხედრება უკვე ნამდვილი სიგიჟეაო". ლოიდ-ჯორჯმა ხაზგასმით აღნიშნა რომ საფრანგეთს, ჩეხოსლოვაკიას და პოლონეთს შეუძლიათ, როცა კი მოისურვებენ, გამოიყვანონ 8 მილიონი ჯარიო. „სრული უაზრობაა,—სთქვა მან,— გერმანიის რეზერვების შედარება საფრანგეთის რეზერვებთანო". შემდეგ ლოიდ-ჯორჯი შეეხო საბჭოთა კავშირის საკითხს და განაცხადა: „დადგება დრო, როდესაც რუსეთი ისევ აღსდგება და შევა ევროპის სახელმწიფოების კომბინაციაშიო. (ადს).

იარმუტი, 12 ოქტომბერი. ლიბერალური პარტიის ყრილობაზე წარმოთქმულ სიტყვაში ლოიდ-ჯორჯმა დაახასიათა ის სიტუაცია, რომელიც შეიძლება შეიქმნას არჩევნების შემდეგ. ლოიდ-ჯორჯი გაკვრით შეეხო კოალიციას მუშათა პარტიასთან. მან სთქვა:

„მუშათა პარტიის ზოგიერთი მოღვაწე თავაზიანად იქცევა და მსჯელობს ჩვენთან თანამშრომლობის პრობლემაზე. ხოლო სხვები (ლენსბერი) უხეშად უარყოფენ წინადადებას, რომელიც ჯერ არავის მიუცია მათთვისო" სხვა პარტიებთან საარჩევნო შეთანხმების იდეა ლოიდ-ჯორჯმა უარყო, მაგრამ ამასთანავე, დასძინა, რომ ყველა პარტიის პროგრესიული მოღვაწის წინაშე გადაშლილი იქნება ფართო ასპარეზი, რომელზედაც მათ შეეძლებათ მუშაობაო.

დასასრულ, ლოიდ-ჯორჯმა განაცხადა, რომ ლიბერალურ პარტიას შესაძლებლად არ მიაჩნია 1927 წლის სიტუაციის განმეორებაო.

დარჩენილი რეზოლიუციების მიღების შემდეგ ყრილობა დაიხურა. რეზოლიუციები ეხებიან მშვიდობიანობის, განიარაღების, იმპერიის ნაწილთა ურთიერთ დამოკიდებულების, ვაჭრობის თავისუფლების, უმუშევრობის, სოფლის მეურნეობის სამრეწველო რეფორმის და სახალხო განათლების საკითხებს. რეზოლიუციებში სახალხო განათლების საკითხებს. რეზოლიუციებში საერთოდ იგივე შეხედულებებია გამოთქმული, რაც პარტიის ცალკე ბროშურებში. (ადს).

გათიშვა პოლონეთის „სოციალისტურ" პარტიაში

ვარშავა, 12 ოქტომბერი. პოლონეთის სოციალისტ. პარტიის ცენტრალურმა კომიტეტმა მიიღო რეზოლიუცია, რომელიც ჰკიცხავს იავორსკის მიერ სპეციალური პროფკავშირული ორგანიზაციის შექმნას, რეზოლიუცია წინადადებას აძლევს პოლონეთის სოციალისტური პარტიის წევრებს, რომელნიც მონაწილეობას იღებენ ამ ორგანიზაციაში, დაუყოვნებლივ შეუდგენ მის ლიკვიდაციას. (ადს)

საბერძნეთისა და სამხრეთ-სლავიის ხელშეკრულება

ვენა, 12 ოქტომბერი. ბელგრადიდან მიღებული ცნობით, 12 ოქტომბერს ვენიზელოსი ათინაში გაემგზავრა.

გამოქვეყნებულია სამხრეთ-სლავიის მთავრობის ოფიციალური ცნობა, სადაც ნათქვამია, რომ ხელი მოაწერეს მოლაპარაკების ოქმს, რომლითაც გათვალისწინებულია მეგობრობისა და საარბიტრაჟო ხელშეკრულების დადება 5 წლის ვადით.

ზაგრების გაზეთის „ობზორ"-ის ცნობით, **ვენიზელოსმა უარჰყო სამხრეთ-სლავიის მოთხოვნა საბერძნეთის მიერ მეგობრული ნეიტრალიტეტ. დაცვის შესახებ იმ შემთხვევაში, თუ იტალიასა და სამხრეთ-სლავიას შორის ომი მოხდა. ეს ნეიტრალიტეტი გულისხმობს სალონიკზე იარაღის გატარებას.** თავისი უარი ვენიზელოსმა დაასაბუთა საბერძნეთ იტალიის ხელშეკრულებიდან გამომდინარე ვალდებულებით. (ადს)

ჟურნალისტ ხორენის საქმე

ვისგან მიიღო ხორენმა დოკუმენტები

პარიზი, 12 ოქტომბერი. ჰავასის სააგენტო იუწყება:

„გამოძიებამ გამოარკვია, რომ ამერიკელმა ჟურნალისტმა ხორენმა ხელში ჩაიგდო ორი დოკუმენტი ინგლის-საფრანგეთის შეთანხმების შესახებ. **ხორენმა ეს დოკუმენტები მიიღო ისეთი პირისაგან, რომელიც საფრანგეთის საგარეო საქმეთა სამინისტროში არ მსახურობს, მაგრამ ამ პირს მუდმივი კავშირი აქვს ამ უწყების ერთ-ერთ განყოფილებასთან, დოკუმენტები ამ პირს მიუღია საგარეო საქმეთა სამინისტროს ერთი ახალგაზრდა მოხელისაგან.** (ადს)

პარიზი, 12 ოქტომბერი. გაზეთები განაგრძობენ მრავალრიცხოვანი ცნობების მოთავსებას ხორენის საქმეზე.

„კოტიდიენ"-ი აცხადებს, რომ საგარეო საქმეთა სამინისტროში ჩატარებული გამოძიებით „აღმოჩენილია დამნაშავე, რომლის ვინაობასაც სამინისტრო არ ასახელებსო".

„პტი ჟურნალ"-ის სიტყვით, დაპატიმრებულია სამინისტროსთან მივლინებული პოლიციის აგენტი „მარი მიდი". აცხადებს, რომ ხორენის სარგებლობდა ამ აგენტის დახმარებით, და, ამას გარდა, საგარეო საქმეთა სამინისტროს ორი თანამშრომელიც მოისყიდაო. (ადს).

რეპრესიები კომუნისტური მოძრაობის წინააღმდეგ საფრანგეთში

პარიზი, 12 ოქტომბერი. „ლიუმანიტეში"-ში დაბეჭდილია საფრანგეთის კომუნისტური პარტიის მოწოდება, რომელიც ხაზგასმით აღნიშნავს მთავრობის რეპრესიების გაძლიერებას კომუნისტური მოძრაობის წინააღმდეგ.

მოწოდება აღნიშნავს, რომ მთავრობა ამჟამად თავს ესხმის „საბჭოთა კავშირის მეგობართა საზოგადოებას", ვითომ იმიტომ, რომ არსებობენ კომუნისტური შეთქმულების გეგმები, ხოლო ბურჟუაზიული პრესა კამპანიას ეწევა „ლიუმანიტე"-ს მუშკორების წინააღმდეგ,—აბრალებს მათ ჯაშუშობას, რომ შექმნან საბაბი „ლიუმანიტე"-ს აკრძალვისათვის".

ამასთან დაკავშირებით, **მოწოდება წინადადებას აძლევს ყველა პარტიულ ორგანიზაციას—ფრთხილად იყვნენ და ებრძონ პროვოკატორებს.** (ადს).

ავსტრო-მარქსისტების ერთიანი ფრონტი ბურჟუაზიასთან

მოლაპარაკებები „შინაგანი განიარაღების" შესახებ.

ვენა, 12 ოქტომბერი. როგორც ავსტრიის დეპეშათა სააგენტო იუწყება, გრძელდება მოლაპარაკება პარლამენტის პარტიებს შორის „შინაგანი განიარაღების" საკითხის შესახებ.

შემდგომი მოლაპარაკებისათვის წინასწარი პირობის შესაქმნელად სოციალ-დემოკრატებმა წინადადება შეიტანეს ისეთი კანონის გამოცემის შესახებ, რომლითაც უნდა აიკრძალოს ყველა ეგრედ წოდებული თავდაცვითი კავშირის სამანიფესტაციო გამოსვლები.

კანცლერმა ზეიპელმა განაცხადა, რომ ეს წინადადება არ გამოდგება, ნამდვილი მშვიდობიანობის დასამყარებლად, რადგან იგი მიმართულია წესრიგის დარღვევის გარეგანი მხარის წინააღმდეგ. თავის მხრივ კანცლერმა სხვა წინადადება წამოაყენა. ამ წინადადების მიხედვით, პრალამენტის პარტიებმა უნდა განაცხადონ, რომ ისინი მზად არიან მთავრობასთან ერთად შექმნან მშვიდობიანობისათვის წინასწარი პირობები, კერძოდ უზრუნველჰყონ პარლამენტის ავტორიტეტი. ყველა იმის თავიდან აცილებით, რაც აბრკოლებს მის მუშაობას, აგრეთვე გადალახონ ყველაფერი ის, რაც ხელს უშლის საქმიან მშვიდობიანობას და ერთად ცხოვრებას სხვადასხვა პროფკავშირულ ორგანიზაციებში.

სოციალ-დემოკრატების თხოვნით, მოლაპარაკება შესწყდა იმისათვის, რომ სოციალ-დემოკრატიის წარმომადგენლებმა კანცლერის წინადადება აცნობონ პარტიის და პროფკავშირთა გაერთიანების ცენტრალურ კომიტეტებს და მიიღონ მათგან სათანადო ინსტრუქციები. (ადს).

ბულგარეთ-თურქეთის ხელშეკრულების პროექტი

ათინა, 12 ოქტომბერი. ბულგარეთიდან მიღებული ცნობების მიხედვით, საბოლოოდ შემუშავებულია ბულგარეთ-თურქეთის საარბიტრაჟო ხელშეკრულების პროექტი. მოლაპარაკება ამ ხელშეკრულებაზე ხელის მოწერის შესახებ დაიწყება მახლობელ დღეებში ანგორაში. (ადს).

„ძირს საიმონი"

დემონსტრაცია ბომბეიში.

ლონდონი, 12 ოქტომბერი. რეიტერის სააგენტო იუწყება:

„საიმონის კომისიის ჩასვლის გამო პენუში, ბომბეის მახლობლად, გამოაცხადეს გლოვა. სტუდენტებმა ქალაქში გამართეს დემონსტრაცია ლოზუნგით: „ძირს საიმონი". (ადს).

200.000 კაცის ამოჟლეტა

პეკინი, 13 ოქტომბერი. გომინის სააგენტოს ცნობაში ნიუ-იორკის იმ დეპეშის შესახებ, რომელიც იუწყებოდა გან-სუს პროვინციის მუსლიმან ფანატიკოსების მიერ 200.000 ადამიანის ამოჟლეტის ამბავს, ნათქვამია, რომ ჟლეტა მოხდა მუსლიმანების ამბოხების დროსო. მუსლიმანები აღშფოთებულნი იყვნენ 8 მუსლიმანი დელეგატის დასჯით. ეს დელეგატები სიკვდილით დასაჯა ლანჩჟოუს ხელისუფლებამ. დელეგაცია გაგზავნილი იყო იმის სათხოვნელად, რომ გაეუქმებიათ მეტად მძიმე გადასახადი. ამბოხების დროს მოკლულ 100,000 კაცზე მეტი. ამას გარდა, აუარებელი ხალხი დაზარალდა. (ადს).

შანდუნის ევაკუაცია

ტოკიო, 12 ოქტომბერი. სამხედრო სამინისტრომ გამოაცხადა, **რომ ახლო მომავალში შანდუნიდან გაყვანილი იქნება იაპონიის ჯარის 8.000 ჯარისკაცი.** შანდუნში დარჩება 6.000 იაპონელი. (ადს)

რუმინელ რევოლიუციონერთა პროცესი

ვენა, 12 ოქტომბერი. ბუქარესტიდან მიღებული ცნობით, კლაუზენბურგის პროცესზე დამთავრდა მოწმეთა დაკითხვა. გამოწვეულ მოწმეთაგან გამოცხადდა 400, სასამართლოდ დაჰკითხა 300.

8 და 9 ოქტომბერს სასამართლომ მოისმინა პროკურორის სიტყვა: **პროკურორმა აღიარა, რომ ბრალდების მიერ შეგროვილი „საბუთების" ნაწილი დარღვეულია, მაგრამ მაინც მოითხოვა ყველა ბრალდებულის დასჯა:** მათი დაპატიმრება 5—10 წლის ვადით.

დამცველთაგან პირველად გამოვიდა ბუქარესტელი ვექილი პიკელი, რომელმაც ხაზგასმით აღნიშნა, რომ **პროცესი წარმოადგენს რუმინეთის მუშათა ორგანიზაციების განადგურების ცდას მმართველი წრეების ინტერესების სასარგებლოდ.** მუშურ-გლეხური ბლოკის დამლისათვის და უნიტარული პროფკავშირების დახურვისათვის არავითარი კანონიერი საფუძველი არ არსებობსო,— განაცხადა მან. (ადს).

გ ა ფ ი ც ვ ა

ლილის ფეიქართა გაფიცვა

პარიზი, 12 ოქტომბერი. „ლიუმანიტე"-ს შეტყობამ, რაც **რეფორმისტების ღალატმა გამოიწვია, გავლენა ვერ იქონია დანარჩენ გაფიცულთა განწყობილებაზე.** ლილში მოძრაობა ფართოვდება; გაიფიცა ლებლანის დიდი სართავი ფაბრიკის მუშების ნაწილი. **აგრეთვე გაიფიცნენ სედანის, ლეგიაჟეს და დარნეტალის ფეიქრები, რომლებიც მოითხოვენ ხელფასის გადიდებას 50 სანტიმით საათში.** (ადს).

„უკანონო გაფიცვა"

ნიუ-იორკი, 12 ოქტომბერი. ამერიკის შრომის ფედერაციამ „უკანონოდ" გამოაცხადა სატრანსპორტო კომპანიის „ამერიკენ რეილუეი ექსპრეს"-ის 15.000 მუშა-მოსამსახურის გაფიცვა და აიძულა გაფიცულნი მუშაობა დაეწყოთ. (ადს).

მონღოლეთის პროფკავშირთა ყრილობა

ულან-ბატორ, 12 ოქტომბერი. დაიხურა მონღოლეთის პროფკავშირთა მეორე ყრილობა. ყრილობამ დაადგინა, გააფართოვოს ქვედა ორგანიზაციების ქსელი მუშა-მოსამსახურეთა და აგრეთვე სოფლის მოჯამაგირეთა და მწყემსების ჩასაბმელად პროფკავშირებში და დაამთავროს კოლექტიურ ხელშეკრულებათა დადების კამპანია.

ყრილობამ განიხილა აგრეთვე საკითხი საბჭოთა პროფკავშირების მდგომარეობის შესახებ მონღოლეთში. გადაწყდა მათი შეერთება მონღოლეთის პროფკავშირებთან საწარმოო პრინციპის მიხედვით (ადს).

კომკავშირელების დემონსტრაცია

ნიუ-იორკი, 12 ოქტომბერი. 11 ოქტომბერს საღამოთი ნიუ-იორკში მოხდა კომკავშირის დემონსტრაცია ქალაქში გამართულ საჰაერო მანევრების წინააღმდეგ. **დემონსტრაცია გაფანტულ იქნა პოლიციის მიერ.** (ადს)

კომუნისტების დაპატიმრება

ვენა, 12 ოქტომბერი. ვენაში **დააპატიმრეს ავსტრიის კომკავშირის მდივანი ბოლი; ჩეხო-სლოვაკიის კომუნისტი დეპუტატი ვიქტორ შტერნი და კომუნისტური გაზეთის „როვნოსტ"-ის რედაქტორი სლანსკი გააძევეს ავსტრიიდან.**

ავსტრიის კომპარტია აწყობს საპროტესტო კამპანიას ხელისუფლების მიერ კომპარტიის დევნის წინააღმდეგ.

ს ხ ვ ა დ ა ს ხ ვ ა

● წყალქვეშა ნავს „უნდინა"-ს როტერდამის ნავთსადგურში დაეჯახა საბერძნეთის გემი. წყალქვეშა ნავი ჩაიძირა მთელი რაზმით, რომელიც 43 კაცისაგან შესდგებოდა.

● მაკდონალდი ვენაში ჩავიდა და შეხვედრა ჰქონდა პრეზიდენტ ხეინიშთან და პრემიერ-მინისტრ ზეიპელთან.

● ქაბულში (ავღანისტანის სატახტო ქალაქში) რამდენიმე დღის განმავლობაში უჩვენებდნენ კინო-სურათს, რომელიც გადაღებული იქნა ამანულა-ხანის მოგზაურობის დროს ევროპაში. საბჭ. კავშირში და თურქეთ-სპარსეთში. სურათის ჩვენების დროს განმარტებებს იძლეოდა თვით ამანულა-ხანი. სურათის უკანასკნელი ნაწილის ჩვენების შემდეგ ფადიშახმა წარმოსთქვა დიდი სიტყვა, რომელშიც შეეხო ავღანისტანის მიღწევებს უკანასკნელი 10 წ. განმავლობაში. ფადიშახმა და ყველა დამსწრეებმა დასდეს ფიცი უკანასკნელ სისხლის წვეთამდე დაიცვან ავღანისტანის დამოუკიდებლობა.

პორტუგალიის ყოფილი პრეზიდენტის დაჯარიმება

პარიზი, 12 ოქტომბერი. ჰავასის სააგენტო იუწყება, რომ პორტუგალიის მთავრობამ 200.000 ესკუდოთი (20.000 მანეთამდე) დააჯარიმა რესპუბლიკის ყოფილი პრეზიდენტი მაჩადო მის მიერ ერთი ლიგისათვის გაგზავნილი წერილის გამო. ეს წერილი, მთავრობის აზრით, სახელს უტეხს პორტუგალიას. (ადს).

სალაყბოთ იკრიბებიან

პარიზი, 13 ოქტომბერი. სოციალისტური პარტიის ადმინისტრატიულმა კომისიამ დაადგინა, მოიწვიოს პარიზში საფრანგეთის, გერმანიის, ინგლისის და ბელგიის სოციალისტების თათბირი რეინის ოლქის ევაკუაციის საკითხის განსახილველად. (ადს)

დირიჟაბლ „გრაფ ცეპელინის" გაფრენა

ბერლინი, 11 ოქტომბერი. ახლად აგებული უდიდესი დირიჟაბლი „გრაფი ცეპელინი" გერმანიიდან ამერიკისაკენ გაფრინდა. 11 ოქტომბერს ღამით დირიჟაბლი ბარსელონზე შეფრინდა (ადს).

ნიუ-იორკი, 11 ოქტომბერი. ამერიკა გაფაციცებით ადევნებს თვალყურს გერმანიიდან ამერიკისაკენ გაფრენილ ცეპელინს. გაზეთების საგანგებო ნომრები თითქმის ყოველ საათ იუწყებიან, თუ სად იმყოფება ამა და ამ დროს დირიჟაბლი.

უკანასკნელი ცნობებით, დირიჟაბლს შეხვდა მძლავრი ქარი, რის გამო ფრენის სისწრაფემ 55 მილამდე დაიწია საათში. შემდეგ დირიჟაბლი მოექცა სქელ ბურუსში. ამის გამო დირიჟაბლის უფროსმა პროფესორმა ეკენერმა სამხრეთისაკენ იბრუნა პირი და გეზა აზორის კუნძულისაკენ აიღო.

დირიჟაბლი ახლა ატლანტის ოკეანეზე მიფრინავს (ადს).

ლონდონი, 12 ოქტომბერი. მიღებულია ცნობები, რომ გერმანიის დირიჟაბლი „გრაფ ცეპელინ"-ი, 12 ოქტომბერს გადაფრინდა კუნძულ მადეირაზე (ადს).

უკანასკნელი ცნობები

უთანხმოება პოლონეთის მენშევიკურ პარტიაში ღრმავდება

ვარშავა, 13 ოქტომბერი. კონფლიქტი პოლონეთის მენშევიკურ პარტიაში გამწვავდა პარტიის ცეკასა და პროფკავშირთა ცენტრალური კომიტეტის იმ დადგენილების საპასუხოთ, რომელიც მოითხოვდა ვარშავის პროფკავშირთა საბჭოს დაუყოვნებლივი დათხოვნას (ვარშავის პროფსაბჭო დაარსებულია იავორსკის მომხრეების მიერ). პარტიების წარმომადგენლებმა ვარშავის პროფკავშირებში, რომლებსაც მეთაურობენ იავორსკის მომხრეები, სპეციალურად მოწვეულ თათბირზე მიიღეს რეზოლიუცია, რომელშიც ნათქვამია: ვარშავის პროფკავშირთა კონფერენციამ დაადგინა: არ იქნეს დათხოვნილი ვარშავის პროფკავშირთა საბჭო, გატარებულ იქნა იგი რეგისტრაციაში სათანადო სახელმწიფო დაწესებულებებში და მოწვეულ იქნეს პოლონეთის პროფკავშირთა ყრილობა. გაიგზავნოს დელეგაცია პოლონეთის სოციალისტური პარტიის ყრილობაზე პარტიის ცეკას დადგენილების გასაჩივრებლათ და გამოშვებულ იქნეს მოწოდება ვარშავის მუშებისადმი კონფლიქტთან დაკავშირებით. (ადს).

გერმანიის ფეიქართა გაფიცვა

ბერლინი, 13 ოქტომბერი. მიუნხენ-გლადბახში მესამე კვირაა, რაც გრძელდება 50.000 ფეიქარის გაფიცვა. გუშინ დაიწყო მოლაპარაკება მწარმოებლებსა და გაფიცულთა შორის. მოლაპარაკებას არავითარი შედეგი არ მოჰყოლია. (ადს).

ლოკაუტი

ბერლინი, 13 ოქტომბერი. რეინ-ვესტფალიის მძიმე მრეწველობის წარმომადგენელთა კავშირმა დღეს გამოაცხადა რომ 1-ლ ნოემბრიდან დათხოვნილია 230.000 მუშა. (ადს).

ჩეხო-სლოვაკიის მემაღაროების გაფიცვა

პრაღა, 13 ოქტომბერი. კლადნოში შესდგა მოლაპარაკება მწარმოებლებსა და გაფიცულ მემაღაროების წარმომადგენლებს შორის. მწარმოებლებმა წამოაყენეს წინადადება ხელფასის მომატების შესახებ 2 პროცენტით, გაფიცულთა მიერ მოთხოვნილი 15 პროც. მაგივრად. მემაღაროეთა კონფერენციამ უარჰყო ეს წინადადება, როგორც პროვოკაციული, და დაადგინა განაგრძოს გაფიცვა. შეწყვეტილია აგრეთვე მოლაპარაკება ოსტრავის ქვა-ნახშირის რაიონის მწარმოებლებსა და მემაღაროელთა შორის. (ადს).

მემაღაროეთა გაფიცვა ქვემო-სილეზიაში გრძელდება

ბერლინი, 13 ოქტომბერი. ქვემო-სილეზიის საქვანახშირო რაიონის გაფიცულ მემაღაროეთა სადელეგატო კონფერენციამ უარჰყო სამედიატორო დადგენილება, რომლითაც გათვალისწინებულია ხელფასის მომატება 8 პროცენტით, 15 პროცენტის მაგივრად. ამ გადაწყვეტილებას არც მწარმოებლები დაეთანხმნენ. მემაღაროეთა გაფიცვა გრძელდება. დღეს ვალდენბურგში (ცენტრია ქვემო-სილეზიის ქვა-ნახშირის რაიონისა, სადაც გაფიცვაა გამოცხადებული) პროდუქტების მაღაზიების წინ ადგილი ჰქონდა წესრიგის დარღვევას. გაფიცულთა შორის უკმაყოფილება იზრდება, განსაკუთრებით იმ ცნობებთან დაკავშირებით, რომ მწარმოებლებს განზრახვა აქვთ რეპრესიის სახით შეაჩერონ მუშების კუთვნილი ხელფასის გაცემა. (ადს).

გერმანიის კომკავშირის ცეკას განცხადება

ბერლინი, 13 ოქტომბერი, „როტე ფანე"-ში დაბეჭდილია გერმანიის კომკავშირის ცენტრალური კომიტეტის განცხადება, რომელიც შეეხება კომუნისტური ინტერნაციონალის აღმასრულებელი კომიტეტის გადაწყვეტილებას გამბურგის ინციდენტის შესახებ. ცენტრალური კომიტეტი აღნიშნავს, რომ გერმანიის კომპარტიის მემარჯვენე ელემენტები სარგებლობენ გამბურგის ინციდენტით, რომ ლიკვიდატორული იერიში მიიტანონ გერმანიის კომპარტიაზე და კომინტერნზე. შემთანხმებელი ელემენტები გერმანიის კომპარტიაში თავისი დამოკიდებულებით კომინტერნის აღმასკომის გადაწყვეტილებისადმი ამტკიცებენ, რომ ისინი მართლაც მხარს უჭერენ ლიკვიდატორებს ბრძოლაში პარტიის წინააღმდეგ. კომკავშირის ცენტრალური კომიტეტი მოუწოდებს გერმანიის კომკავშირს ერთსულოვნად დაირაზმონ კომინტერნის აღმასკომის გადაწყვეტილების გარშემო და ისეთივე უდიდესი ენერგიით, როგორც წინეთ, ულტრა-მემარცხენეებთან ბრძოლით დაიცვან პოლიტიკური ხაზი და პარტიასა და კომკავშირის მთლიანობა კომინტერნის მე-6 მსოფლიო კონგრესისა და ახალგაზრ. კომინტერნის მე-5 კონგრესის გადაწყვეტილებათა საფუძვლებზე. (ადს).

„კრასინ"-ის ექსპედიციის მეცნიერული შედეგები

საუბარი „კრასინი"-ს ექსპედიციის უფროსთან —ამხ. სამოილოვიჩთან

მოსკოვი, 13 ოქტომბერი. საკავშირო დეპეშათა სააგენტოს კორესპონდენტი ესაუბრა „კრასინ"-ის საბჭოთა პოლიარული ექსპედიციის უფროსს პროფ. სამოილოვიჩს ექსპედიციის მეცნიერული მუშაობის შედეგების შესახებ. პროფესორმა სამოილოვიჩმა განაცხადა:

„ჩვენი მეცნიერული გამოკვლევა რამდენიმე ნაწილისაგან შესდგება. ექსპედიციის მთელი მუშაობის განმავლობაში გეოფიზიკოსი ბერიოზკინი ახდენდა სისტემატიურ მეტეოროლოგიურ დაკვირვებას დღეში სამჯერ—7, 13 და 21 საათზე. გარდა ამისა, ცნობები ამინდის მდგომარეობის შესახებ იმ ადგილებიდან, სადაც „კრასინ"-ი იმყოფებოდა სხვადასხვა დროს რადიოს შემწეობით ეგზავნებოდა ტრომსეს და ბერგენის გეოფიზიკურ ინსტიტუტებს და ლენინგრადის მთავარ გეოფიზიკურ ობსერვატორიას. ეს მასალა საფუძვლად დაედო სინოპტიურ რუქებს, რომლებსაც ჩვენ ვადგენდით მთელი ექსპედიციის განმავლობაში. მაგრამ ჩვენ მარტო მეტეოროლოგიურ დაკვირვებით არ დავკმაყოფილდით. სერიოზული მეცნიერული ინტერესი აქვს აგრეთვე ჩრდილოეთის პოლიარული ზღვის ჰიდროლოგიური რეჟიმის შესწავლას. იმ დროს, როდესაც ზღვა დასავლეთ შპიცბერგენთან ძალიან კარგად არის შესწავლილი, სრულებით არ არის გაშუქებული არქიპელაგის ჩრდილოეთით მდებარე რაიონი, აგრეთვე ის რაიონი აღმოსავლეთით, რომელიც შპიცბერგენსა და ფრანც-იოსების მიწის შუა მდებარეობს. ეს გარემოება მხედველობაში მქონდა და ამიტომ „კრასინ"-ის ლენინგრადიდან გასვლისას თან წავიღე ჰიდროლოგიური დაკვირვებისათვის საჭირო ინსტრუმენტები.

როდესაც „კრასინი" ყინულებში ჩაიკეტა, 6 დღის განმავლობაში ჰიდროლოგიური სადგურები 4—კარლის კუნძულსა და შვიდი კუნძულის ჯგუფს შუა და 4—შვიდი კუნძულის ჯგუფის დასავლეთით. უფრო მეტი ჰიდროლოგიური სადგური მოვაწყვეთ მეორე მგზავრობის დროს. ჩვენამდე ასე შორს (ჩრდილოეთის განივს 81 გრადუსსა და 47 წუთზე) ჰიდროლოგიური დაკვირვება არავის უწარმოებია. სულ მოვაწყვეთ 37 ჰიდროლოგიური სადგური. უკანასკნელი სადგური გავმართეთ იმ რაიონის საზღვრებზე, რომელიც ჩვენამდე იყო გაშუქებული, როგორც საბჭოთა კავშირის, ისე უცხოელთა ექსპედიციების მიერ. უნდა აღინიშნოს აგრეთვე ჩვენი ზღვის სიღრმის გამოკვლევის საქმეში. ასეთი გამოკვლევა ბევრგან მოვახდინეთ. დღემდე არსებული რუქები სავსეა შემცდარი ცნობებით. მათში აღნიშნული კუნძულების განივები და სიგრძეები მეტ წილად სწორი არ არის. ჩვენამდე ამ რაიონში სხვადასხვა ადგილის სიღრმე არავის გამოუკვლევია. იმედი მაქვს, რომ ჩვენ მიერ რუქაზე აღნიშნული სიღრმეები დიდ დახმარებას გაუწევენ იმ მკვლევართ, რომელნიც მოისურვებენ ჩვენი შრომის განგრძობას.

ხშირად გვხვდებოდა ნაპირებთან გაჩერება, ვცდილობდით, ეს გაჩერება გამოგვეყენებია გეოლოგიური მუშაობისათვის. პირველი გაჩერება ხმელეთთან მოხდა იქ, სადაც ჩვენმა მფრინავებმა ავარია განიცადეს. გეოლოგიური პარტია შესდგებოდა ჩემგან და ჩემი თანაშემწის ახალგაზრდა გეოლოგის ივანოვისაგან. როცა „კრასინი" გაჩერდა დაუყოვნებლივ ავედით ნაპირზე გეოლოგ. გამოკვლევის მოსახდენად. შევაგროვეთ დიდძალი გეოლოგიური მასალა, რომელიც დიდ ინტერესს წარმოადგენს, თუ გინდ, მარტო იმიტომაც, რომ ჩვენამდე აქ არ ყოფილა არც ერთი გეოლოგი. შემდეგი გაჩერება მოხდა მეორე მგზავრობის დროს, ნორდკაპთან. გეოლოგიური მუშაობის გარდა, აქ ჩვენ ტოპოგრაფიულ მუშაობასაც ვაწარმოებდით. აქ გეოლოგიურად გადავიღეთ ნაპირი. ბოლოს, მესამე, მეტად ხანმოკლე გაჩერება ნილის კონცხთან გამოვიყენეთ გეოლოგიური მასალის მოსაგროვებლად. გაჩერების დროს ვაგროვებდით აგრეთვე ბოტანიკურ და ზოოლოგიურ მასალას. ჩვენ მოვკალით 3 თეთრი დათვი, 2 ირემი და მრავალი ფრინველი, რომელთა ტყავებიც შეავსებენ ჩვენ ცნობებს პოლიარული ქვეყნების ორნიტოლოგიის დარგში. (ადს).

მ ო ს კ ო ვ ი

(ტელეგრაფით საკუთარი კორესპონდენტისაგან)

რეფორმისტები იარაღით თავს ესხმიან მუშებს

მოსკოვი, 13 ოქტომბერი. რეფორმისტების ლიდერებმა ჩაშალეს ამერიკის შეერთებულ შტატების ტრანსპორტნიკების გაფიცვა. პოლიციამ ამისათვის წინდაწინვე მიიღო ზომები. კომუნისტები ციხეში არიან გაგზავნილნი, სადაც მათ სასტკად აწამებენ. ქალაქის ნაძირალები და შეიარაღებულ რეფორმისტი პროფბიუროკრატები „ამშვიდებენ" მუშებს.

მენშევიკურ-ქრისტიანული ბლოკი

მოსკოვი, 13 ოქტომბერი. გაზეთ „იზვესტია"-ს ვარშაველი კორესპონდენტი ბრატინი იტყობინება:

მდგომარეობა ლოძში კვლავ მეტად რთულია. ყვითელი ქრისტიანული პროფესიონალური კავშირები, როგორც ეს ჩანს გაზეთ ა. ბ. ც.-ს ცნობებიდან, მხარს უჭერენ პოლონეთის სოციალისტურ პარტიას. ქრისტიანი სოციალისტები ამით მიზნად ისახავენ თავიანთ ორგანიზაციების გამაგრებას იმ შემთხვევაში, თუ პოლონეთის სოციალისტურ პარტიამ დამარცხება განიცადა.

ამ.-კავკასიის საკითხი სახელმწიფო საგეგმო კომისიათა ყრილობაზე

მოსკოვი, 13 ოქტომბერი. სახელმწიფო საგეგმო კომისიათა სრულიად საკავშირო ყრილობაზე, სხვათა შორის, ვრცელი სიტყვით გამოვიდა ამიერ-კავკასიის დელეგატი, რომელმაც აღნიშნა, რომ ახალ სამეურნეო წელს ამიერ-კავკასიის სოფლის მეურნეობაში დაბანდებული იქნება გაცილებით დიდი თანხები, წარსულთან შედარებით. ამიერ-კავკასია, აცხადებს დელეგატი, სოფლის მეურნეობის განვითარების დიდ შესაძლებლობათა მხარეს წარმოადგენს. ამიტომ ინდუსტრიალიზაციის გატარებასთან ერთად, აქ განსაკუთრებული ყურადღება მიექცევა გლეხის მეურნეობის ინტენსიფიკაციას.

რა ართულებს უგზოობას ამიერ. კავკასიაში

მოსკოვი, 13 ოქტომბერი. ამჟამად მოსკოვში მიმდინარეობს საგზაო მშენებლობის ყრილობის მუშაობა. აღნიშნულ ყრილობაზე ამიერ-კავკასიის წარმომადგენელმა ამხ. გუსეინოვმა განაცხადა, რომ უგზოობა ერთი უდიდესი ნაკლთაგანია ამიერ-კავკასიაში. საბჭოთა კავშირის ბევრი სხვა რაიონი ამ მხრივ უკეთეს მდგომარეობაში იმყოფება. ზამთრის განმავლობაში უკრაინას, რუსეთს და ჩვენგან ჩრდილოეთით მდებარე სხვა რაიონებში თოვლი თითქმის შეუწყვეტლად ძევს და იხსნება სამარხილო გზები. ამიერ-კავკასიაში კი ეს შეუძლებელია, რადგან სწორეთ ზამთრობით, თავისებურ კლიმატიურ პირობების გამო, გზები აქ კიდევ უფრო ზიანდება. გარდა ამისა უგზოობა განსაკუთრებით საგრძნობია ჩვენში, სადაც არ არის განვითარებული მდინარეების ტრანსპორტი და სადაც მთაგორიანი ადგილი ართულებს მიმოსვლას.

ამიტომ არის, რომ, სხვათა შორის ქელბაჯარის ძვირფასი მინერალური წყალი, რომელიც კარლსბადის სახელგანთქმულ წყალს გაცილებით წინ უსწრებს თავის ღირსებით, უსარგებლოდ იკარგება.

ამხ. გუსეინოვის აზრით საგზაო მშენებლობას მეტი ყურადღება უნდა მიექცეს ამიერ-კავკასიაში.

მუშგლეხინი ამინდის სადგურების მუშაობის შესახებ

მოსკოვი, 13 ოქტომბერი. საკავშირო მუშათა და გლეხთა ინსპექციის დასკვნით ამინდის სადგურების მუშაობაში დიდ სხვადასხვაობას აქვს ადგილი. ყველა სადგურების შენახვა ჯდება 9 მილიონ. მანეთამდე. მომჭირნეობისა და საქმის ინტერესების მიხედვით გადაწყვეტილია მეტეოროლოგიურ საქმის გაერთიანება.

საბჭოთა კავშირში

კომკავშირში ახალი წევრების მიღების შედეგები

მოსკოვი, 13 ოქტომბერი. ლენ. ახ. კომკავშირის ცეკას ბიურომ განიხილა კომკავშირში ახალგაზრდა მუშებისა და მოჯამაგირეების მიღების კამპანიის წინასწარი შედეგები. ბიურომ ეს შედეგები არადამაკმაყოფილებლად სცნო. ბიურომ საჭიროდ დაინახა კამპანიის გაგრძელება და ყველა ზომის მიღება კამპანიის წარმატებით ჩატარებისათვის პრესაში, ორგანიზაციებში და უჯრედებში. ამასთან ბიურომ აღნიშნა, რომ პრესა, კერძოდ „კომსომოლსკაია პრავდა", სრულიად არადამაკმაყოფილებლად აშუქებდა კამპანიას.

ახალი წევრების მიღების საქმეში განსაკუთრებით ჩამორჩენილნი არიან კალუგის, ვლადიმირის, სევერო-დვინსკის, ვოლოგდის, ორენბურგის, კუზნეცკის, ულიანოვსკის, ნიჟნევოლუცკის, კოზლოვის, ელეცკის, კაზაკსტანის, შუა-აზიის, სტავროპოლის და თერგის ორგანიზაციები (ადს).

დასრულდა ახალი დოკის აგება

ლენინგრადი, 13 ოქტომბერი. მარტის სახელობის ქარხანაში დასრულდა დიდი, 4.000 ტონა ტვირთის ამწევი რკინა-ბეტონის მცურავი დოკის აგება. ასეთი დოკი საბჭოთა კავშირში პირველია. დოკში შესაძლებელი იქნება ზღვის უდიდესი გემების რემონტი. (ადს).

ლითონის ნატეხების შეგროვება

მოსკოვი, 13 ოქტომბერი. შინაგან საქმეთა კომისარიატმა წინადადება მისცა კომუნალურ განყოფილებებს, დაავალონ გამოუკლებლივ ყველა სახლის მმართველობას, დაათვალიერონ თავიანთი ეზოები, სხვენები და სხვა შენობები ლითონის ნატეხების შესაგროვებლად. ნატეხები უნდა დაგროვდეს ერთ ადგილას და შემდეგ გადაეცეს ამ ნატეხების შემკრებს „რუდმეტალ პრომი"-დან. (ადს).

მოჯამაგირეების მოკვლა

ნამანგანი, 13 ოქტომბერი. ნამანგანის სასამართლოში გაირჩა დიდად საინტერესო საქმე სოფ. ალახამაკში მომხდარი მკვლელობის შესახებ.

ხსენებულ სოფელში მომხდარი ჩხუბის დროს მოჰკლეს 3 მოჯამაგირე და რამდენიმე მძიმედ დაჭრეს.

გამოძიებით გამოირკვა, რომ ალახამაკში ჯერ კიდევ რევოლუციამდე ერთმანეთს ხელისუფლებისათვის ედავებოდა ორი ბაი—ბაიტუმანი და კარიმკული. ეს დავა რევოლუციის დროსაც გაგრძელდა. კარიმკულმა მეტი გავლენა მოიპოვა, მას სოფლის საბჭოში თავისი ნათესავები გაჰყავდა. ამან გამოიწვია მოსახლეობის დანარჩენი ნაწილის უკმაყოფილება. ვინაიდან კარიმკულის მომხრეებმა მათ დააკისრეს ყველა გადასახადისა და ბეგარის ძალავარი სიმძიმე. ამას მოჰყვა ალახამაკის მოსახლეობის ორ მტრულ ბანაკად გაყოფა. შუღლი რამდენსამე წელიწადს გაგრძელდა და დამთავრდა ჩხუბითა და მკვლელობით.

სასამართლომ კარიმკულს და ბაიტუმანს მიუსაჯა რვა-რვა წლით დაპატიმრება და სასჯელის მოხდის შემდეგ ხუთი წლით გადასახლება. ბრალდებული მოჯამაგირეები, რომლებიც ბაებმა აიყოლიეს მათი შეუგნებლობის გამო, სასამართლომ სასჯელისგან განთავისუფლა (ადს).

განაჩენი კულაკების საქმის გამო

სამარკანდი, 13 ოქტომბერი. დასრულდა 9 კულაკის პროცესი, რომელთაც მოჰკლეს ყიშლაგის სოფლის საბჭოს წევრი იანგი კურბანი, პარტიის კანდიდატი გუკუროვი, მისი ცოლი, დელეგატი ქალი, ქალთა განთავისუფლების საქმის უაქტიურესი მუშაკი ბაზაროვა. მოკვლის წინ კულაკებმა გააუპატიურეს ბაზაროვის ქალი. ზერავშინის საოლქო სასამართლოს სესიამ მკვლელობის ოთხ მეთაურს დახვრეტა გადაუწყვიტა. უზბეკისტანის უმაღლესმა სასამართლომ, განაჩენი დაამტკიცა.

მაქსიმ გორკის დეპეშა

მოსკოვი, 13 ოქტომბერი. ექიმების რჩევით საზღვარგარეთ გამგზავრებულმა გორკიმ გზიდან შემდეგი დეპეშა გამოგზავნა:

„მივემგზავრები უხალისოთ. ვწუხვარ, რომ სხეულის უძლურებამ ხელი შემიშალა გამომეხატა მთელი ის სულიერი სიმხნევე, რომელიც მე თქვენ შორის მოვიპოვე. ნახვამდის მაისამდე. გულითადი სალამი".

მ. გორკი.

სახელმწიფო საგეგმო კომისიების ყრილობა

მოსკოვი, 13 ოქტომბერი. სახელმწიფო საგეგმო კომისიების ყრილობაზე მოხსენებით გამოვიდა ამხ. ჩეტირკინი. მისი მოხსენება შეეხებოდა სახალხო მეურნეობის საკონტროლო ციფრებს რაიონების მიხედვით.

მოხსენებიდან ცხადი გახდა, რომ საბჭოთა ხელისუფლების პოლიტიკამ, რომელიც მიმართულია იქითკენ, რომ სამრეწველო განვითარების სიმძიმის ცენტრი გადატანილ იქნას აღმოსავლეთისაკენ და რომ აწეულ იქნას უფრო მაღალ საფეხურზე განაპირა ნაციონალური კუთხეების სამეურნეო განვითარება,—ამ პოლიტიკამ თავის სრული გამოხატულება ჰპოვა 1928—29 წლის საკონტროლო ციფრების სარაიონო პროექტში.

1928—29 წლის სახელმწიფო ბიუჯეტის შესახებ მოხსენებით გამოვიდა ამხ. ბოგოლეპოვი.

„საბჭოთა კავშირის მომავალი წლის სახელმწიფო ბიუჯეტი,—განაცხადა ამხ. ბოგოლეპოვმა,—ნავარაუდევია 7.702.000.000 მანეთის რაოდენობით. წინა წლის ბიუჯეტს წლევანდელი ნამატი ბიუჯეტი ფაქტიურად 976 მილიონ მანეთით აღემატება. განუწყვეტლივ იზრდება ბიუჯეტში ხვედრითი წონა ხარჯებისა სახალხო მეურნეობაზე და სოციალურ-კულტურულ საჭიროებებზე. ხარჯები განათლებაზე 23 პროცენტით გაიზარდა. ხარჯება მრეწველობაზე გათვალისწინებულია 2.580 მილიონი მანეთის რაოდენობით. ამ თანხიდან განზრახულია მრეწველობის კაპიტალურ მშენებლობაზე დაიხარჯოს 1.675 მილ. მან. სოფლის მეურნეობისთვის პროექტის მიხედვით, განზრახულია გადაიდოს 348 მილ. მან., ნაცვლად გასული წლის 160 მილ. მანეთისა". (ადს).

„კრასინ"-ის ექსპედიციის მონაწილეთა პატივსაცემად

ზეიმი იტალიის საელჩოში

მოსკოვი, 13 ოქტომბერი. 11 ოქტომბერს იტალიის საელჩოში გაიმართა ზეიმი კრასინელების პატივსაცემად. ზეიმს დაესწრნენ სამოილოვიჩი, ჩუხნოვსკი, ბაბუშკინი, ორასი; ეგი; ალექსეევი; სტრაუბე, შელაგინი, გროშევი და „კრასინი"-ის ეკიპაჟის ორი წარმომადგენელი, საბჭოთა კავშირის თავდაცვა-ავიაქიმის საზოგადოებასთან არსებული დირიჟაბლ „იტალია"-ს დამხმარე კომიტეტის მთელი შემადგენლობა, ამხ. ლიტვინოვი, საგარეო საქმეთა სახალხო კომისარიატის პასუხისმგებელი თანამშრომლები, იტალიის საელჩოს მთელი შემადგენლობა, დიპლომატიური კორპუსის წარმომადგენელი, საფრანგეთის ელჩი საბჭოთა კავშირში ერბეტი და სხვა სახელმწიფოების წარმომადგენლები. იტალიის რწმუნებულმა კვარონი მისალმა ჩუხნოვსკის, ბაბუშკინს, სამოილოვიჩს და სხვებს და აღნიშნა მათი განსაკუთრებული დამსახურება დირიჟაბლ „იტალია"-სათვის.

მისასალმებელ სიტყვაში ერბეტმაც მადლობა გამოუცხადა სამოილოვიჩს იმ დიდი შრომისათვის, რომელიც მან და მისმა ამხანაგებმა გასწიეს ერბეტის თანამემამულეთა მოსაძებნად. (ადს).

სამოილოვიჩისა და ჩუხნოვსკის მოგზაურობა საბჭოთა კავშირში

მოსკოვი, 13 ოქტომბერი. საბჭოთა კავშირის თავდაცვა-ავიაქიმის პრეზიდიუმმა გადაწყვიტა, მოაწყოს სამოილოვიჩისა და ჩუხნოვსკის მოგზაურობა საბჭოთაკავშირში.

17 ოქტომბერს სამოილოვიჩი და ჩუხნოვსკი გაემგზავრებიან ლენინგრადში, სადაც ერთი კვირის განმავლობაში გააკეთებენ მოხსენებებს. ლენინგრადიდან ისინი დაბრუნდებიან მოსკოვში და მოსკოვის უმნიშვნელოვანეს სამრეწველო ცენტრების შემოვლის შემდეგ გაემგზავრებიან ხარკოვსა, ოდესსა, არტიომოვსკსა და დნეპროპეტროვსკში. უკრაინაში მოგზაურობის შემდეგ სამოილოვიჩი და ჩუხნოვსკი გაემგზავრებიან ურალში. (ადს).

გაზაფხულის მატყლის კონტრაქტაცია

მოსკოვი, 13 ოქტომბერი. საბჭოთა კავშირის ვაჭრობის სახალხო კომისარიატის კოლეგიამ დაამტკიცა 1929 წლის გაზაფხულის მატყლის კონტრაქტაციის გეგმა 30.433 ტონას რაოდენობით. აქედან რუსეთის ს.ფ.ს. რესპუბლიკაზე მოდის 22.655 ტონა, უკრაინის ს.ს. რესპუბლიკაზე—965 ტონა, ამ.-კავ. ს.ფ.ს. რესპუბლიკაზე—2,013 ტონა, თურქესტანის ს.ს. რესპუბლიკაზე—2.500 ტონა, უზბეკისტანის ს.ს. რესპუბლიკაზე—2.300 ტონა

საბჭოთა კავშირის ვაჭრობის სახალხო კომისარიატის კოლეგიამ გამოიმუშავა 1929 წლისათვის კანაფის კონსტრაქტაციის გეგმა 87,5 ათასი ჰექტარის რაოდენობით, აქედან ამიერ-კავკასიაში—3.400 ჰექტარი, უკრაინაში—3.000 ჰექტარი და ჩრდილოეთ კავკასიაში—12.000 ჰექტარი. ავანსის რაოდენობა უდრის 100 მანეთს ჰექტარზე. (ადს).

ამხ. სტეპანოვ-სკვორცოვის დაკრძალვა

მოსკოვი, 13 ოქტომბერი. 12 ოქტომბერს დილით ურნა სტეპანოვ-სკვორცოვის ნეშტით კრემატორიუმიდან გადაიტანეს პროფკავშირთა სახლის მცირე დარბაზში. უკანასკნელად საპატიო ყარაულში დადგნენ ამხანაგები: სტალინი, რიკოვი, ენუქიძე და გორკი. დღის 1 საათზე სამგლოვიარო საკაცე სტეპანოვ-სკვორცოვის ნეშტით ასწიეს ამხანაგებმა სტალინმა, რიკოვმა, ენუქიძემ, გორკიმ, ხალათოვმა და გრონსკიმ. სამგლოვიარო პროცესია გაემართა წითელ მოედნისაკენ. პროფკავშირთა სახლის წინ დგანან საპატიო და სამხედრო ყარაულები. მრავალი დელეგაცია მოსკოვის ფაბრიკა-ქარხნებისა და დაწესებულებებიდან. სამგლოვიარო პროცესია ჩერდება ლენინის მავზოლეუმთან.

სამგლოვიარო სხდომა

ამხ. რიკოვის სიტყვა

იხსნება სამგლოვიარო კრება. პირველად ილაპარაკა ამხ. **რიკოვმა.**

„საკავშირო კომუნისტური პარტიის (ბ) ცენტრალურმა კომიტეტმა და მთავრობამ—ამბობს ამხ. რიკოვი,—დამავალეს გამოვთქვა მწუხარება დიდი დანაკლისის გამო, რომელიც გამოიწვია სტეპანოვ-სკვორცოვის გარდაცვალებამ.

ჩვენი ქვეყნის მუშათა კლასის მასიურ რევოლუციონურ მოძრაობას 30 წლის ისტორია აქვს. ეს 30 წელიწადი ივანე ივანეს ძემ რევოლუციონური მოძრაობის მოწინავე პოზიციებზე გაატარა. არ ყოფილა არც ერთი დღე, თვით მძიმე რეაქციის დროსაც კი, რომ სტეპანოვ-სკვორცოვს არ ებრძოლა მთელი თავისი ენტუზიაზმით მუშათა კლასის საქმისათვის. ივანე ივანეს ძეს დაკარგვა მით უფრო სამძიმოა, რომ განსვენებულს საპატიო ადგილი ეჭირა თეორეტიკოს—მარქსისტთა კომუნისტური მოძრაობის იდეოლოგთა—შორის. ცოტაა ისეთი ადამიანი, რომელსაც შეუძლია მუშაობა სტეპანოვ-სკვორცოვისეული დაჟინებით, თანამიმდევრობით და წარმატებით იმისათვის, რომ ხელში მისცეს მუშათა კლასს მძლავრი საბრძოლველი იარაღი—მეცნიერული ცოდნის იარაღი. არ მოიპოვება ჩვენს პარტიაში ისეთი თაობა, რომელიც არ იცნობდეს ივანე ივანეს ძეს, როგორც მუშათა კლასის იდეოლოგიის ძირითადი მეცნიერული შრომის—მარქსის „კაპიტალის" მთარგმნელს.

ივანე ივანეს ძის სახით,—განაგრძობს ამხ. რიკოვი,—ჩვენ დავკარგეთ არა მარტო ჩვენი ქვეყნის მუშათა ძლევამოსილი მოძრაობის ნაწილი და ორგანიზატორი,—ჩვენ დავკარგეთ აგრეთვე რევოლუციონერი მარქსისტი, შეუდრეკელი მებრძოლი მუშათა კლასის იდეოლოგიისათვის. იგი ყველაზე ახდენდა ისეთი ადამიანის შთაბეჭდილებას, რომელიც განსაკუთრებული აღფრთოვანებით იყო დარწმუნებული, რომ მუშათა კლასი აუცილებლად გაიმარჯვებს. მე არ მახსოვს არც ერთი შეხვედრა ივანე ივანეს ძესთან, რომ მას არ გავეოცებინე თავისი ენერგიით, თავისი ენტუზიაზმით. ამ ოპტიმიზმსა და ენერგიას ჰგვრიდა მას მისი ცხოვრების განმავლობაში მიღებული ცოდნა, მისი ოპტიმიზმი მეცნიერულად იყო დასაბუთებული. მისი ძალ-ღონე, ცოდნა და მუშაობის წყურვილი კიდევ მრავალ წელს იკმარებდა, მით უფრო მწარეა დანაკლისი. მაგრამ ჩვენ მარტო მწუხარების გრძნობას არ განვიცდით. ჩვენ ვამაყობთ იმით, რომ მუშათა კლასმა და მისმა კომუნისტურმა პარტიამ აღზარდეს და დააწინაურეს ისეთი ადამიანები, როგორიც იყო ივანე ივანეს ძე სტეპანოვ-სკვორცოვი".

ამხ. მიხაილოვის სიტყვა

საკავშირო კომპარტიის (ბ) მოსკოვის კომიტეტისა და მოსკოვის საბჭოს სახელით სიტყვა წარმოსთქვა ამხ. **მიხაილოვმა.**

„მოსკოვის ბოლშევიკურმა ორგანიზაციამ და მოსკოვის პროლეტარიატმა,—სთქვა მან,—ივანე ივანეს ძის სახით დაჰკარგეს თავიანთი უდიდესი მუშაკი და მებრძოლი. იგი ვეტერანი იყო მოსკოვის ორგანიზაციისა. სტეპანოვ-სკვორცოვის სამარის წინ ვამბობთ: „ჩვენ გვახსოვს შენი ხალისიანი მოწოდება და რწმენა მუშათა კლასის ძალ-ღონის მიმართ. ჩვენი საბოლოო გამარჯვების ამ რწმენას სამუდამოდ დავიცავთ ჩვენს ყოველდღიურ მუშაობაში".

ამხ. მოროზოვის სიტყვა

ძველი ბოლშევიკების საზოგადოების სახელით ილაპარაკა ამხ. **მოროზოვმა.**

„ძნელია,—სთქვა მან,—ლაპარაკი იმ ადამიანის შესახებ, რომელსაც ჯერ კიდევ ახლახან ვხედავდით ხალისიანსა და სიცოცხლით სავსეს.

ივანე ივანეს ძემ დიდი მემკვიდრეობა დაგვიტოვა—კაპიტალური შრომები მუშათა და რევოლუციონური მოძრაობის თეორიიდან. მის შრომებზე უნდა აღიზარდოს ჩვენი შემცვლელი თაობა".

ამხ. გრონსკის სიტყვა

„იზვესტიას" რედაქციის თანამშრომლებისა, მისი გამომცემლობისა და სტამბის მუშა-მოსამსახურეების სახელით გამოვიდა ამხ. **გრონსკი.**

„ივანე ივანეს ძის სახით,—სთქვა მან,—ჩვენ დავკარგეთ არა მარტო ამხანაგი, არამედ მასწავლებელი-მეგობარიც. მოკლე სიტყვით თუ დავახასიათებთ მას, უნდა ვსთქვათ, რომ იგი პარტიისა და რევოლუციის აღფრთოვანებული ჯარისკაცი იყო. როდესაც ჩვენს პარტიას საფრთხე მოევლინა მემარცხენე ფრაზის წარმომადგენელთა მხრით, სტეპანოვ-სკვორცოვი მაშინვე ჩაერია ბრძოლაში და ის გამომცემლობანი, რომლებშიაც განსვენებული მუშაობდა, გარდაიქცნენ ამ ბრძოლის შტაბად. ივანე ივანეს ძის მაგალითით მისი თანამებრძოლნი ეჩვეოდნენ ბრძოლას ჩვენი პარტიის რკინისებური, მონოლიტური მთლიანობისათვის. განსვენებულისაგან ჩვენ ბევრი რამ უნდა ვისწავლოთ, პირველ ყოვლისა, მისი მუშაობა ძალ-ღონისა და ენერგიის დაუზოგველად".

ამხ. ვლასენკოს სიტყვა

უკრაინის საბჭოთა რესპუბლიკის მთავრობის სახელით ამხ. **ვლასენკომ** ღრმა მწუხარების გრძნობა გამოსთქვა იმ დანაკლისის გამო, რომელიც განიცადა პარტიამ და სახელმწიფომ სტეპანოვ-სკვორცოვის სიკვდილით.

„შევამჭიდროვოთ ჩვენი რიგები,—სთქვა მან,—შემოქმედებითი ნაყოფიერი მუშაობისათვის და ამით ძეგლი აღვუმართოთ როგორც ივანე ივანეს ძეს, ისე ყველა იმას, ვინც თავისი ძალ-ღონე მიუძღვნა სოციალიზმის მშენებლობის საქმეს".

—:—

სიტყვების დამთავრების შემდეგ ამხ. სტალინმა, რიკოვმა, კალინინმა, ბუბნოვმა, ორჯონიკიძემ და მიხაილოვმა ასწიეს სამგლოვიარო საკაცე და გაემართნენ დასაკრძალავ ადგილისაკენ. შუადღის 2 საათზე სამჯერ დაიცალა თოფები და ურნა კრემლის კედელში მოათავსეს. (ადს).

მეოთხე სახელმწიფო 8 პროცენტიანი სესხი

მოსკოვი, 13 ოქტომბერი. გამოქვეყნებულია საბჭოთა კავშირის ცაკის დადგენილება მე-4 სახელმწიფო 8 პროცენტიანი შინაგანი სესხის გამოშვების შესახებ.

სესხი გამოვა 400 მილ. მან რაოდენობით 15 წლის ვადით, 40 სერიით 50, 100, 500, 1.000 და 5.000 მანეთიან ობლიგაციებად. სესხის დაფარვა დაიწყება 1939 წელს და იწარმოებს თანასწორ ნაწილებად ოთხ-ოთხ სერიად ყოველს ექვს თვეში 1 მარტს და 1 სექტემბერს. (ადს).

ანაბარების ორკვირეული

მოსკოვი, 13 ოქტომბერი. ანაბარების მომავალი საკავშირო ორკვირეულის განმავლობაში სახელმწიფო შრომის შემნახველ სალაროების მთავარ სამმართველოს განზრახვა აქვს ჩაატაროს ახალდაბადებულთა და ახლად შეუღლებულთათვის შემნახველი წიგნაკების უფასოთ დარიგება პირველი ანაბარით. დარიგდება შემნახველი წიგნაკები 1, 3, 5 და 10 მან. ანაბარით. ანაბარი გადავა წიგნაკის პატრონის განკარგულებაში მხოლოდ განსაზღვრული დროის შემდეგ, მაგალითად, პირველი ან მეორე საფეხურის სკოლის დამთავრების შემდეგ და იმ შემთხვევაში, თუ დაცული იქნება განსაზღვრული პირობა: ფულის რეგულარულად შეტანა და ანაბარის განსაზღვრული ნაშთის მუდმივად დატოვება სალაროში (ადს).

დახმარება რაციონალიზაციის გამო დათხოვნილებს

მოსკოვი, 13 ოქტომბერი. საბჭოთა კავშირის სახალხო კომისართა საბჭომ დააწესა, რომ იმ სახელმწიფო წარმოების მუშებს, რომელნიც შერეულ სააქციო საზოგადოებებს ეკუთვნიან. როცა მათ დაითხოვენ წარმოების ტექნიკურ გამოუმჯობესებელ ღონისძიებათა გატარების გამო, აგრეთვე იმ მოსამსახურეებს, რომელთაც დაითხოვენ მუშების დათხოვნასთან დაკავშირებით იმავე ღონისძიებათა გატარების გამო, მიეცეთ დახმარება რაიონის მიხედვით თვენახევრის ხელფასისოდენ—სამი თვის ხელფასის რაოდენობამდე. სახელმწიფო დაწესებულებათა და წარმოებათა და აგრეთვე შერეულ სააქციო საზოგადოებათა მუშაკებს, რომელთაც აპარატის რაციონალიზაციის გამო სამსახურიდან დაითხოვენ, უნდა მიეცეთ დახმარება, რაიონის მიხედვით, ერთი თვისა ან თვენახევრის ხელფასის რაოდენობით (ადს).

„სოფლის კავშირი"-ს ინსტრუქტორთა და სას.-სამ. ბანკის ინსპექტორთა თათბირი

სას.-სამ. კოოპერაციის წევრთა სოციალური მდგომარეობის შესწავლის მეთოდები

(მომხსენებელი ამხ. შენგელაია)

სას.-სამ. კოოპერაციის წევრთა სოციალური მდგომარეობის შესწავლა,—ამბობს მომხსენებელი—შეუძლებელია თუ წინასწარ შესწავლილი არ იქნა საერთოდ ჩვენი სოფლის სოც. ფენების დაყოფის საკითხი. შეიძლება კოოპერაცია ამ თუ იმ რაიონში აბსოლიუტურად მეტ ღარიბ გლეხს აკავშირებდეს, მაგრამ მის მიერ შეკავშირებულ ღარიბ გლეხთა პროცენტი ნაკლები იყოს იმავე კოოპერატიული ორგანიზაციის მიერ შეკავშირებულ შეძლებულ გლეხთა პროცენტზე. ამ გარემოებას კი არ შეუძლია თავისი კვალი არ დაჩნიოს კოოპერაციის საქმიანობაზე.

კოოპერაციის წევრთა სოციალურ შემადგენლობის შესწავლის მეთოდი, მთელი მოსახლეობის სოციალურ მდგომარეობის გამოკვლევის გარეშე, უვარგისია იმ მხრივაც, რომ ეს მეთოდი ემყარება მხოლოდ გლეხური მეურნეობის ქონებრივი მდგომარეობის დონეს, რომელიც არაა საკმარისი იმის გამოსარკვევად, თუ რომელ სოციალურ ფენას ეკუთვნის კოოპერაციაში გაერთიანებული ესა თუ ის გლეხი. შეიძლება გლეხის მეურნეობა თავის ქონებრივი მდგომარეობით დაბალ დონეზე იდგეს, მაგრამ მისი განვითარების ტენდენცია იყოს არა სოციალისტური, არამედ კაპიტალისტური. პირიქით შედარებით ქონებრივად ძალღონიერებულ გლეხის მეურნეობას ემჩნეოდეს სოციალისტური განვითარების ტენდენციები. არც ერთი დღემდე ხმარებული მეთოდი გლეხის კლასიური ხასიათის, მისი მეურნეობის განვითარების გამოსაშკარავებლად ჩვენთვის მისაღები არ არის.

ბატონყმობის გაუქმების შემდეგ 90 წლამდე გლეხის ქონებრივი მდგომარეობის საზომად ითვლებოდა მასზე გადაცემულ მიწის ნადელების სივრცე. ეს მეთოდი მრავალ ნაკლს შეიცავდა და დაახლოვებითაც ვერ არკვევდა გლეხურ მეურნეობის ქონებრივ მდგომარეობას, რადგან, გარდა ნადელისა, გლეხს შეიძლება ქონოდა ნაყიდი ან იჯარით აღებული მიწა; რასაც ეს მეთოდი არ ითვალისწინებდა.

90-იან წლიდან გლეხობის დაჯგუფება ხდება ნათესების სივრცის მიხედვით. წინანდელთან შედარებით ეს საშუალება უკეთესია, მაგრამ არც ის იძლევა გლეხური მეურნეობის ქონებრივი მდგომარეობის სწორ დახასიათებას და მაშასადამე შეუძლებელს ხდის გლეხობის სოციალურ დაჯგუფების გამორკვევას რადგან ნათესებში შედის როგორც პურის ან ქერის ყანები, ისე ბამბისა და თამბაქოს პლანტაციები. ცხადია, პურის მთესველ გლეხის მეურნეობის ძალღონება ჩამორჩება ბამბის პლანტატორის მეურნეობას, რომელსაც ვსთქვათ, იმავე სივრცის მიწა აქვს.

ამ მეთოდს ის ნაკლიც აქვს, რომ სისწორით შეუძლებელია ნათესების აღრიცხვა, რადგან გლეხი გადასახადის შეწერის შიშით, ხშირად არ აჩვენებს თავის ნათესების ნამდვილ სივრცეს. გარდა ამისა, იგი არ არკვევს მიწის ნიადაგის ღირსებას, გლეხის საწარმოო იარაღებს, დაქირავებულ შრომის რაოდენობას, მიწის დამუშავების წესებს, რომლებზედაც დიდათ არის დამოკიდებული მეურნეობის შემოსავლიანობა.

1923—24 წლიდან გლეხობის ქონებრივად დაყოფას საფუძვლად ედება სას.-სამ. გადასახადის გასაწერათ ობიექტების ღირებულება, მაგრამ არც ეს საშუალება გამოდგა უნაკლო და როგორც ასეთი, უარყოფილია.

უკანასკნელ ხანებში გამომუშავებულია მეთოდი, რომელიც ითვალისწინებს გლეხობის მეურნეობის ჯგუფებათ დაყოფას საწარმოო საშუალებათა ღირებულების მიხედვით. ამ საწარმოო საშუალებებში შედის სამეურნეო შენობები, საწარმოო იარაღები, წარმოებები, შინაური პირუტყვი, შინაური ფრინველი, მრავალწლიანი კულტურები (ბაღ-ვენახები) ძვირფას მცენარეთა პლანტაციები და სხვა.

ამ მეთოდით სწარმოებს საბჭოთა კავშირში ამჟამად გლეხური მეურნეობის შესწავლა და გლეხობის დაჯგუფება სოციალურ ფენებად.

საქართველოშიაც, სადაც ადგილი ჰქონდა დიდ გაურკვევლობას გლეხობის სოციალური ფენებათ დანაწილების საკითხში, გადადგმულია ნაბიჯი სწორი მეთოდის გამოსამუშავებლად ჩვენი გლეხობის კლასიური სახის გამოაშკარავებისათვის.

ამას წინად საქ. სტატისტიკურმა სამმართველომ ჩაატარა გლეხური მეურნეობის დინამიკის გამოკვლევა, რომელიც შეეხო 5 სამეურნეო რაიონს—მევენახეობის, მემინდვრეობის, მესაქონლეობის, მეთამბაქოეობის და მებაღეობის რაიონებს. ამ მასალების დამუშავება მოგვცემს გლეხურ მეურნეობის დაჯგუფების სურათს ზემოხსენებულ რაიონებისათვის. ამ მასალების მიხედვით შემდეგ შეიძლება გამომუშავებულ იქნეს საერთო საზომი გლეხთა დანაწილებისა სოციალურ ჯგუფებათ მთელი საქართველოსათვის.

მოხსენებამ გამოიწვია გაცხოველებული აზრთა გაცვლა-გამოცვლა. ორატორები საკითხს სვამდენ უფრო პრაქტიკულად და მოითხოვდენ, რომ ვიდრე ახალი მეთოდი გამომუშავდებოდეს, გლეხთა სოციალურ ფენებათ დანაწილების დროს, გარდა სას.-სამ. გადასახადისათვის ობიექტების ღირებულებისა, მხედველობაში იქნეს მიღებული დასკვნა ადგილობრივი კომისიების, რომელიც ღარიბი გლეხობისაგან უნდა იქნეს შედგენილი.

ამხ. შენგელაიას მოხსენების გარდა მოსმენილ იქნა ამხ. **ს. გამყრელიძის** მოხსენება სას.-სამ. საკრედიტო ამხ-თა მუშაობის გეგმიანობის მეთოდოლოგიაზე და ამხ. **ა. დგებუაძის** მოხსენება სას. სამ. ბანკის ინსპექტორთა და სოფლის კავშირის ინსტრუქტორთა ფუნქციების გამიჯვნაზე. სას.-სამ. საკრედიტო კოოპერაციის ხელმძღვანელობის დარგში.

მეაბრეშუმეობის განვითარების პერსპექტივები

ამიერ-კავკასიაში და შუა აზიაში

მოსკოვი, 13 ოქტომბერი. სახელმწიფო მრეწველობისა და ვაჭრობის ყრილობათა საბჭოში მოსმენილ იქნა საბჭოთა კავშირის ვაჭრობის სახალხო კომისარიატის წარმომადგენლის ამხ. კუმარინის მოხსენება შუა-აზიისა და ამიერ-კავკასიაში მეაბრეშუმეობის განვითარების პერსპექტივების შესახებ.

„ნათესის სივრცის ის უმნიშვნელო რაოდენობა,—სთქვა მომხსენებელმა,—რომელიც შუა აზიასა და ამიერ-კავკასიაში თვითეულ სულზე მოდის, იძულებულს ხდის ადგილობრივ მოსახლეობას მიმართოს დამხმარე სარეწავებს. ერთ-ერთი ასეთი სარეწავთაგანი, რომელიც მეტად ხელსაყრელია, არის პარკის დამზადება".

მომხსენებელი ამტკიცებს, რომ პარკის დამზადება მეტად ხელსაყრელი საქმეა. პარკის დამზადებას უმთავრესად მისდევენ ქალები, მოხუცები და ბავშვები. ეს ხელობა საუკეთესოდ თავსდება მემინდვრეობასა, მევენახეობასა და მებაღეობასთან ერთად, არ ითხოვს ცალკე სათეს სივრცეს და ცალკე ხარჯებს.

სულ უმნიშვნელო ხარჯების გაწევით გლეხის მეურნეობას შეუძლია თვე-ნახევარში საშუალოდ მიიღოს 90—120 მანეთი შემოსავალი. აი ამიტომაა, რომ შუა-აზიასა და ამიერ-კავკასიაში გლეხის მეურნეობა დიდ ინტერესს იჩენს მეაბრეშუმეობისადმი. მაგრამ ამ რაიონებში მეაბრეშუმეობის განვითარებას ხელს უშლის თუთის ხის ნაკლებობა. ტაშკენტის ოლქის გლეხებმა გამოითხოვეს თითქმის 3 მილიონამდე ძირი, რაც ათჯერ აღემატება მათ მარაგს. საბჭოთა კავშირში მეაბრეშუმეობა უფრო ინტენსიურად ვითარდება, ვიდრე სადმე სხვაგან. შემოსავლიანობა ყოველწლიურად იზრდება და აბრეშუმის თესლის ერთი კოლოფიდან ეს შემოსავლიანობა 32 კილოგრამამდე ადის, მაშინ, როდესაც ომის წინა დროს მხოლოდ 20—24 კილოგრამს აღწევდა. შუა-აზიასა და ამიერ-კავკასიაში მეაბრეშუმეობის განვითარების პერსპექტივები ხელსაყრელია. საჭიროა მხოლოდ ზომების მიღება საკვები ფონდის გასადიდებლად და აგროკულტურულ ღონისძიებათა გასატარებლადო, დაამთავრა მომხსენებელმა.

თავის დადგენილებაში თათბირმა გაითვალისწინა საბჭოთა კავშირის სამხრეთ რაიონებში მეაბრეშუმეობის შემდგომი განვითარებისთვის საჭირო ღონისძიებები. თათბირმა საჭიროდ მიაჩნია თუთის ხის სანერგეების ქსელის მაქსიმალურად გაფართოვება. ამასთან საჭიროა საბჭოთა კავშირის მეაბრეშუმეობის რაიონებში გლეხთა მოსახლეობას გააცნონ მეაბრეშუმეობის რაციონალური ხერხები. თათბირმა საჭიროდ და დროულად სცნო აგრეთვე განხორციელება ორი წლის წინედ ყრილობათა საბჭოს მიერ წამოყენებული წინადადებისა იმის შესახებ, რომ შრომისა და თავდაცვის საბჭოსთან მოეწყოს სპეციალური კომიტეტი, რომელიც გეგმიან ხელმძღვანელობას გაუწევს მეაბრეშუმეობის საქმეს (ადს).

მზის სხივებით მომუშავე ელსადგური

ლენინგრადი, 13 ოქტომბერი. პროფ. ვეინბერგი შეუდგა მის მიერ გამოგონილი ელექტრონის სადგურის მოწყობას. სადგური ამუშავებს მზის სხივებით. ცდებს აწარმოებენ შუა-აზიაში, სადაც მოეწყობა 800 კილოვატის ძალის ელექტროსადგური. (ადს).

მშრომელ ქალთა შორის მუშაობის მორიგი ამოცანები

საქ. კ. პ. (ბ) ცენტ. კომიტეტის მ. და გლ. ქალთა განყოფილების რეზოლიუცია

საკავშ. კომპ. (ბ) ც. კ.-ის მუშა და გლეხ ქალთა განყოფილებამ საქართველოს კომპარტიის (ბ) ც. კ.-ის მუშა და გლეხ ქალთა განყოფილების მუშაობის შესახებ გაკეთებული მოხსენების გამო, აღნიშნა ქალების აქტივობის გაძლიერება საბჭოების უკანასკნელი არჩევნების დროს, სადელეგატო კრებების რიცხვის ზრდა, მათი მუშაობის ღიბის გაუმჯობესება, ყოფა-ცხოვრების ულლისაგან ქალთა განმანთავისუფლებელი მუშაობის გაძლიერება ყოფა-ცხოვრებით დაწესებულებებისა და კომისიების ორგანიზაციის გზით. ამასთანავე ერთად, ცეკას მ. და გ. ქალთა განყოფილებამ აღნიშნა, რომ თითქმის სრულიად არ სწარმოებდა მუშაობა ღარიბ გლეხ ქალთა და მოჯამაგირე ქალთა შორის. მცირე ყურადღება ექცეოდა აგრეთვე მუშა ქალთა შორის მუშაობას, მათგან აქტივის მომზადებას და მუშა, მოჯამაგირე და საშუალო გლეხ ქალთა დაწინაურებას პარტიულ, საბჭოთა და სხვა საზოგადოებრივ სამუშაოზე. სუსტად სწარმოებდა მუშაობა ეროვნულ უმცირესობათა ქალების ჩასაბმელად წარმოებაში და გლეხი ქალების გასაერთიანებლად საწარმოო კოოპერაციაში.

ც. კ.-ის მუშა ქალთა განყოფილება საჭიროდ სცნობს, რომ შემდგომ მუშაობაში მთავარი ყურადღება მიექცეს კულტურულად ჩამორჩენილ რაიონებს და ეროვნულ ოლქებს. ამავე დროს აუცილებლად მხედველობაში მიღებულ იქნას მათი ეროვნული და სოციალურ-ყოფა-ცხოვრების თავისებურებანი. საქართველოს მუშა და გლეხ ქალთა განყოფილებების მუშაობის ცენტრალური ამოცანა ის უნდა იყოს, რომ ფართოდ შეუწყონ ხელი გლეხ ქალთა მასების, პირველ ყოვლისა, ღარიბ გლეხ ქალთა და მოჯამაგირე ქალთა, კოოპერაციაში გაერთიანებას. სამისოდ საჭიროა, უახლოეს ხანში პრაქტიკულად დამუშავდეს საკითხი ქალების საწარმოო კოოპერაციაში გაერთიანებისა და კოლექტიურ მეურნეობებში ჩაბმის შესახებ.

ქალთა აქტივთან მუშაობაში საჭიროა მიღწეულ იქნას აქტივის სოციალური შემადგენლობის გაუმჯობესება. ეს განსაკუთრებით შეეხება სასოფლო, სარაიონო საბჭოების წევრებს და ქვედა საფეხურის პროფესიონალურ და კოოპერატიული ორგანიზაციების მუშაკებს. საჭიროა ყველა საარჩევნო კამპანიის გამოყენება იმ მიზნით, რომ მუშა ქალები, მოჯამაგირე ქალები და ღარიბი გლეხი ქალები ჩაბმული იქნან საბჭოებში, საფაბრიკო-საქარხნო კომიტეტში და სხვ.

მოეწყოს სხვადასხვა სპეციალური კურსები მოჯამაგირე, ღარიბ გლეხ და მუშა ქალებისათვის მათგან საბჭოთა და სხვა მუშაკების მოსამზადებლად; განხორციელდეს მუდმივი გეგმიანი დაწინაურება ქალებისა დამოუკიდებელ სამუშაოზე. კულტურულად ჩამორჩენილ რაიონებში მუშაობისათვის მუშაკ ქალთა მოსამზადებლად საჭიროა მოეწყოს გრძელვადიანი კურსები; ამ კურსებმა უნდა მოამზადონ ქალთა ორგანიზატორები ძირითად ეროვნებათა ქალებიდან.

რადგან საქართველოს ქალთა შორის ყოფა-ცხოვრების გაუმჯობესებისაკენ მიმართულ მუშაობას მეტის-მეტად დიდი მნიშვნელობა აქვს, წინადადება ეძლევა საქ. ც. კ.-ის მუშა და გლეხ ქალთა განყოფილებას ეცადოს მიიღოს მუშათა ყოფა-ცხოვრების გასაუმჯობესებელი ფონდიდან დაწესებული ანარიცხები ბაგების მოსაწყობად; სასოფლო-სამეურნეო მუშაკთა კავშირთან ერთად დაამუშაოს საკითხი იმის შესახებ, რომ პრაქტიკულად განხორციელდეს მთავრობის დადგენილებანი მოჯამაგირე ქალებისა და სეზონურ მუშა ქალების ინტერესების დასაცავად. საჭიროა გაძლიერდეს ქალების დაწინაურება სასამართლოს ორგანოებში და ქალთა აქტივის ფართოდ ჩაბმა იმ მუშაობაში, რომელსაც მიზნად აქვს ჩადრის მოხსნის გატარება აჭარისტანში.

ქალთა შორის მასიურ და კულტურულ-განმანათლებელ მუშაობაში საჭიროა უზრუნველყოფილ იქნას ცალკე ლიკპუნქტების შექმნა ყველაზე უფრო ჩამორჩენილ რაიონებისათვის; საჭიროა სპეციალურ კურსებზე მომზადნენ წერა-კითხვის უცოდინარობის ლიკვიდატორები ადგილობრივ ეროვნებათა ქალებიდან და მიღებულ იქნას ზომები, იმისთვის, რომ მშობლიურ ენაზე გამოიცეს მასიური და დამხმარე ლიტერატურა ქალებისათვის.

საბჭოთა მედიცინის ათი წლის თავი

მისალმება საქართველოდან

დეპეშა რუსეთის ჯანმრთელობის სახალხო კომისარს — ამხ. სემაშკოს

„საქართველოს ჯანმრთელობის სახალხო კომისარიატი და მედიცინის მუშაკები მხურვალე სალამს უძღვნიან რუსეთის ს.ფ.ს. რესპუბლიკის ჯანმრთელობის სახალხო კომისარიატს საბჭოთა მედიცინის ათი წლის თავის გამო.

ჩვენ თქვენთან ერთად ვდღესასწაულობთ პირველი, უძნელესი ეტაპის დამთავრებას მშრომელთა გაჯანსაღების გზაზე.

ვიზიარებთ თქვენს სიხარულსა და კმაყოფილებას საბჭოთა მედიცინის წარმატების გამო, რომელიც გამოიხატა საბჭოთა მედიცინის მთლიანობასა და სწორ საორგანიზაციო ფორმებში. მეორე ათწლედის დამდეგს გისურვებთ შემდგომ მიღწევებს შრომისა და ყოფა-ცხოვრების გაჯანსაღების საქმეში და თქვენთან ერთად აღთქმას ვდებთ, რომ მტკიცედ დავიცავთ ოქტომბრის მედიცინის პრინციპებს.

თქვენი სახით, ძვირფასო ნიკოლოზ ალექსანდრეს ძევ, მივესალმებით საბჭოთა მედიცინის საფუძვლის ჩამყრელსა და იდეოლოგს და გისურვებთ მხნეობას და ენერგიას თქვენს სახელოვან პოსტზე.

გაუმარჯოს საბჭოთა მედიცინას!

გაუმარჯოს საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკების კავშირს!

საქართველოს ჯანმრთელობის სახალხო კომისარი **ქუჩაიძე.**

ჯანმრთელობის სახალხო კომისრის მოადგილე **მამალაძე.**

კოლეგიის წევრები: **ფრანგულიანი, გერია, გოცირიძე, ნაზარეტიანი; მარკოზოვი.**

მედსანშრომის მუშაკთა კავშირის თავმჯდომარე **ჯიჯაძე.**

საერთაშორისო მიმოხილვა

(კვირიდან—კვირამდე)

კლასობრივი ბრძოლები ევროპაში.—ლოძის ფეიქართა გაფიცვა.—მაკდონალდის უტიფარი სიცრუე.—იტალია და ინგლის-საფრანგეთის შეთანხმება. — ინგლის-ამერიკის სანავთო ტრესტების შეთანხმების ახალი ცდა

ამჟამად ჩვენ მოწმენი ვართ კლასობრივ ბრძოლის გამწვავებისა კაპიტალისტურ ქვეყნებში. მუშათა გაფიცვების მძლავრი ტალღა მოედო პოლონეთს, საფრანგეთს, გერმანიას, ჩეხოსლოვაკიას, ბელგიას და მთელ რიგ სხვა სახელმწიფოებს.

სხვანაირად არც შეიძლება იყოს. კლასთა ბრძოლის გაძლიერება აუცილებელი შედეგია კაპიტალიზმის სტაბილიზაციის, რომელიც მუშების ხარჯზე ტარდება. კაპიტალისტები თავის მდგომარეობის განმტკიცებას აღწევენ სამუშაო ხელფასის შემცირების და სამუშაო დღის გადიდების გზით. ამავე დროს კაპიტალისტური სტაბილიზაციის ერთი ძირითადი პირობათაგანია წარმოების რაციონალიზაცია. უკანასკნელი კი კაპიტალიზმის პირობებში ნიშნავს ერთი მხრივ უმუშევრობის ზრდას, მეორე მხრივ მუშის ექსპლოატაციის უკიდურესობამდე გაძლიერებას.

ამგვარად, კაპიტალიზმის სტაბილიზაცია და მისი ორგანიული ელემენტი —წარმოების რაციონალიზაცია— აღრმავებენ წინააღმდეგობას შრომასა და კაპიტალს შორის და დიდ სოციალურ ბრძოლებს აუცილებელს ხდიან.

არა ნაკლებ და შეიძლება უფრო საგულისხმოა თანამედროვე კაპიტალიზმის საერთაშორისო წინააღმდეგობანი. კაპიტალისტური მრეწველობა განიცდის გასაღების და ნედლეულის კრიზისს. სხვადასხვა ქვეყნების კაპიტალისტები ცდილობენ სათანადო ბაზრების დაპყრობას, რაც ქმნის ომის მუქარას ცალკე იმპერიალისტურ სახელმწიფოებს შორის და იწვევს მათ შეიარაღების ზრდას. ომის მოლოდინში მყოფი ბურჟუაზია კი ლამობს შინ ზურგის გამაგრებას და რევოლიუციონურ მოძრაობის აღკვეთას.

ასეთ დროს სოციალ-დემოკრატია მთლიანად ბურჟუაზიის მხარეზე დგას და მასთან ერთად მშრომელ მასების წინააღმდეგ გამოდის. ინგლისის ტრედიუნიონები, გერმანიის პროფკავშირები, ინგლისის მუშათა პარტიის ყრილობები და სხვა უამრავი ფაქტები გვიჩვენებენ, რომ რეფორმისტები ყოველნაირად ცდილობენ დაეხმარონ ბურჟუაზიას, მუშათა კლასის დამორჩილებაში. „სამრეწველო მშვიდობიანობის" და „სამეურნეო დემოკრატიის" ლოზუნგების წამოყენებით მათ სურთ დააბნელონ პროლეტარიატის კლასობრივი შეგნება და მას ბრძოლაზე ხელი ააღებინონ. ხოლო როცა ეს ბრძოლა მაინც ჩაღდება სოციალ-გამცემელთა მთელი მეცადინეობა— მისი ჩაშლისაკენაა მიმართული. მოლაპარაკება ბურჟუაზიასთან სრულიად უმნიშვნელო დათმობების გზით მებრძოლ მუშების „მოსათვინიერებლად", პროლეტარულ რიგების დეზორგანიზაცია, შტრეიხბრეხერებისათვის ხელშეწყობა, ბურჟუაზიულ პოლიციასთან ერთად გაფიცულების წინააღმდეგ აშკარა რეპრესიებისთვის მიმართვა, კომუნისტების დევნა—ასეთია მათი „მოღვაწეობის" შინაარსი.

ამასთან, სოციალ-მოღალატენი იმპერიალისტების გულმოდგინე აგენტების როლს ასრულებენ. ერთა ლიგის ხოტბა, ცილისწამების კამპანია საბჭოთა კავშირის წინააღმდეგ, განიარაღების საბჭოთა პროგრამის გაშავების და მიფუჩეჩების ცდა, შეიარაღების გადიდება (ჯავშნოსნების აგების საკითხი გერმანიაში, საფრანგეთის სამხედრო კანონი, რომელიც ბონკურმა შეიმუშავა და სხვ.), ამ მხრივ თავის თავად მეტყველებენ.

ამრიგად, სავსებით განხორციელებულია ბურჟუაზიის და სოციალ-დემოკრატიის მთლიანი ფრონტი. ამ გაერთიანებულ ძალას, უდავოა, ჯერ კიდევ შეუძლია შეაფერხოს მუშათა რევოლიუციონური მოძრაობა, არა ერთი და ორი დამარცხება არგუნოს პროლეტარიატს, მაგრამ ისიც ეჭვს გარეშეა, რომ კაპიტალისტების და მათი ლაქიების საქმე საბოლოო ანგარიშით წაგებულია. სოციალ-დემოკრატების ახდილი გამცემლობა და კაპიტალისტური სტაბილიზაციის წინააღმდეგობათა გაღრმავება აუცილებლად დააჩქარებენ მუშათა მასების რევოლიუციონურ მობილიზაციას კომპარტიის ხელმძღვანელობით და ნიადაგს მოამზადებენ გადამჭრელი კლასობრივი ბრძოლებისათვის. ამის წინასწარი ნიშნები უკვე გვაქვს ეხლანდელი მასიური გაფიცვების სახით.

⁂

ყველა ამ გაფიცვათა შორის თავისი მასშტაბით და ბრძოლის სიწევით განსაკუთრებით განირჩევა ლოძის ფეიქართა გაფიცვა.

პოლონეთის კაპიტალისტები ფაშისტურ ხელისუფლების დახმარებით მკაცრ შეტევას აწარმოებენ მუშათა კლასზე. მთავრობამ გამოსცა ახალი კანონები, რომელნიც ეხებიან შრომის მოწესრიგებას და რომელნიც მუშებს პირდაპირ მონურ მდგომარეობაში აყენებენ. კაპიტალისტებს რაციონალიზაციის გასატარებლად უფლება ეძლევა უსასტიკეს ზომებს მიმართონ მუშების წინააღმდეგ. ამავე დროს უკანასკნელთა ძალზე მცირე ხელფასი ოდნავადაც ვერ აკმაყოფილებს მათ საარსებო მოთხოვნილებებს. რვა საათის სამუშაო დღეზე ხომ ლაპარაკიც ზედმეტია. კერძოთ ლოძის ფეიქართა უმწეო მდგომარეობა ამ მხრივ ცნობილია.

კომუნისტური პარტია დიდ წინასწარ მუშაობას აწარმოებდა ლოძის მუშების დასარაზმავად. ეს ადვილი საქმე არ იყო. გარდა პოლიციურ რეპრესიებისა, მხედველობაშია მისაღები ის გარემოება, რომ ლოძის რაიონში არსებობენ ფაშისტური, ქრისტიანული და რეფორმისტული პროფკავშირები, რომელნიც ცდილობენ მუშების აცდენას კლასობრივ ბრძოლის გზიდან. მიუხედავად ამისა, კომორგანიზაციამ მიაღწია იმას, რომ მუშებმა ჯერ კიდევ მაისში უარი სთქვეს მომქმედ საარბიტრაჟო ხელშეკრულების აღდგენაზე და მოითხოვეს ხელფასის მომატება 25 პროცენტით, რვა საათის სამუშაო დღის შემოღება, მუშათა ორგანიზაციების უფლებების აღდგენა და სხ.. თუ ეს მოთხოვნილებები არ იქნებოდა დაკმაყოფილებული, გაფიცვა უნდა გამოცხადებულიყო. მოსალოდნელი გაფიცვის ჩაშლის მიზნით რეფორმისტულმა ბელადებმა მუშათა ფართე მასების დაუკითხავად მრეწველებთან დასდევს ხელშეკრულება, ხელფასის ექვსი პროცენტით გადიდების შესახებ. მაგრამ საქმე ამით არ გათავებულა. მუშები, რა თქმა უნდა, უკმაყოფილო იყვნენ ასეთი ხელშეკრულებით. და კომპარტიაც ნიადაგს ამზადებდა გაფიცვის ჩასატარებლად. მომენტიც შესაფერი დადგა. სექტემბრის მეორე ნახევრიდან ლოძელი მრეწველები, მთავრობის ზევით ხსენებულ კანონების საფუძველზე, შეუდგენ „სამუშაო რეგლამენტის" და „ჯარიმის სისტემის" გატარებას, რამაც მუშების საყოველთაო აღშფოთება გამოიწვია. დაიწყო გაფიცვები, რომლებშიაც სულ მეტი მუშათა მასები ებმებოდენ. მთავრობა იძულებული შეიქმნა ჯარიმები გაეუქმებია. პროფკავშირებმა ამით ისარგებლეს და გაფიცვა დასრულებულად გამოაცხადეს. გაფიცვა შეწყდა. ამის შემდეგ დაიწყო ველური ტერორი მუშების წინააღმდეგ.

ამავე დროს მუშებს წამოყენებული ქონდათ მოთხოვნა ხელფასის გადიდების შესახებ, რაზედაც მრეწველებს პასუხი უნდა გაეცათ 25 სექტემბრამდე. კაპიტალისტებმა, რა თქმა უნდა, არ მოისურვეს ამ მოთხოვნის დაკმაყოფილება და გაფიცვა ხელმეორედ გამოცხადდა, ამჟამად გაცილებით უფრო ფართე მასშტაბით—მასში ეხლა მონაწილეობას იღებს ას ათას მუშაზე მეტი.—გაფიცვა კიდევ ფართოვდება. ამასთან სხვა დარგების მუშებიც აყენებენ სხვადასხვა მოთხოვნებს და გაფიცვით იმუქრებიან.

რეფორმისტულ კავშირების მესვეურები არაფერს იშურებენ, რომ მრეწველებსა და მთავრობასთან ვაჭრობის გზით მცირეოდენი დათმობები მიიღონ, რომ მუშების რევოლიუციონური ბრძოლა ჩააქრონ, ან ხელთ იგდონ საგაფიცვო მოძრაობის ხელმძღვანელობა—მისი ლიკვიდაციის მიზნით.

როგორადაც არ უნდა გათავდეს საქმე, ლოძის ფეიქართა გაფიცვა ააშკარავებს კომპარტიის უდიდეს გავლენას მუშათა კლასზე და უკანასკნელის რევოლიუციონურ ნებისყოფას. მიუხედავად ფაშისტური რეჟიმისა, მიუხედავად „სოციალისტების" გამცემლობისა, პოლონეთის პროლეტარიატი არ არის განადგურებული და მედგრად იბრძვის.

ამასთან ხაზგასასმელია, რომ ეს ბრძოლა არ არის მარტო ეკონომიური ხასიათის. გაფიცულნი აყენებენ პილსუდსკის დიქტატურასთან ბრძოლის, საბჭოთა კავშირის დაცვის და სხვა პოლიტიკურ ლოზუნგებს. ეს სერიოზული გაფრთხილებაა პოლონელ იმპერიალისტებისათვის, რომელნიც ჩვენს მუშურ-გლეხურ სახელმწიფოს წინააღმდეგ გალაშქრებაზე ოცნებობენ.

⁂

ჩვენ ზევით აღვნიშნეთ, რომ სოციალ-გამცემლები იმპერიალიზმის მორჩილი მსახურნი არიან. მაკდონალდი ამ მხრივ უეჭველად ერთი პირველთაგანია. სხვათა შორის, მისი გამოსვლა მუშათა პარტიის ყრილობაზე ამას ერთხელ კიდევ ადასტურებს.

თუმცა ეს ყრილობა პარტიულ და პროფკავშირულ ბიუროკრატებისაგან შესდგებოდა, მაგრამ იქ მაინც აღმოჩნდენ თითო-ოროლა ისეთები, რომელთა სიტყვებმა ბევრი უსიამოვნება მიაყენეს „ლიდერებს".

აიღეთ, მაგალითად, განიარაღების საკითხი. ამ საკითხის შესახებ „თვითონ" მაკდონალდმა გააკეთა მოხსენება. მაგრამ მან წინდახედულად ერთი სიტყვაც არ ახსენა განიარაღების საბჭოთა წინადადებაზე. ხოლო როცა ზოგიერთი ურჩი დელეგატები შეეხნენ მათ, ისიც დადებითად, მაკდონალდმა ვერ მოითმინა და პირდაპირ განაცხადა: „მე უკვე დავიღალე იმ ლაპარაკის მოსმენით, რომელიც განიარაღების საბჭოთა წინადადებას შეეხება"-ო. უნდა ვიფიქროთ, რომ მისი ყურადღება დატვირთულია უფრო მნიშვნელოვანი საკითხებით, ვიდრე საერთაშორისო განიარაღების ნამდვილი პროგრამაა. მას უფრო სასიამოვნოდ მიაჩნია, მაგ., ავსტრიის მუშების ჯალათ ზეიპელთან დარბაზობა და საუბარი, ინდოეთის დასამონავებლად შექმნილ საიმონის კომისიის დაცვა და სხ., ვინემ სისხლის გაფუჭება განიარაღების საბჭოთა პროექტების შესახებ ლაპარაკის მოსმენით.

მაგრამ რა კი ამას მაკდონალდს აიძულებენ, ის მზად არის „სათანადო განმარტება" წარმოადგინოს; აი რა თქვა მან: „საბჭოთა წინადადებები იმდენად დაუმუშავებელია, რომ არ შეიძლება ისინი განხილვის საგნად გადაიქცნენ. ეს აშკარა გახდა თვით საბჭოთა მთავრობისათვის, რომელმაც უკან წაიღო თავისი პირვანდელი წინადადებები და შეიტანა სხვა წინადადებები. საბჭოთა მთავრობის ახალი წინადადება არ ნიშნავს საყოველთაო განიარაღებას".

მაკდონალდი აქ უტიფრად ცრუობს. რა თქმა უნდა, სრულებით არ შეეფერება სინამდვილეს, თითქო ჩვენს მთავრობას უკან წაეღო წინადადება საყოველთაო განიარაღების შესახებ, რადგან ის არ ყოფილიყოს დამუშავებული, რაშიაც ვითომ საბჭოთა მთავრობა დარწმუნებულიყოს. საქმის ვითარება სულ სხვაგვარია, სრული განიარაღების პროექტი ჩვენს დელეგაციას კი არ წაუღია უკან, არამედ იგი უარყვეს კაპიტალისტურმა სახელმწიფოების წარმომადგენლებმა. მხოლოდ ამის შემდეგ წარადგინა ჩვენმა დელეგაციამ ახალი წინადადება ნაწილობრივი განიარაღების შესახებ, რომელიც „თუმცა არ სპობს შეიარაღებულ კონფლიქტებს, მაგრამ მაინც ამცირებს მილიტარიზმის ტვირთს". (ამხ. ლიტვინოვის სიტყვები). ცხადია, ლაპარაკიც არ შეიძლება იმაზე, რომ საბჭოთა მთავრობას უარი ეთქვას საყოველთაო განიარაღების წინადადებებზე. იმავე ამხ. ლიტვინოვმა ნაწილობრივი განიარაღების წინადადების შეტანისას განაცხადა, რომ საბჭოთა მთავრობას „სრული განიარაღება მიაჩნია მშვიდობიანობის ერთადერთ ნამდვილ გარანტიად და იტოვებს უფლებას დაუბრუნდეს თავის პროექტს განიარაღების საერთაშორისო კონფერენციაზე". მაკდონალდმა ყველაფერი ეს იცის, მაგრამ განზრახ ცრუობს, რომ ჩრდილი მიაყენოს საყოველთაო განიარაღების საქმეს, რომლისათვის საბჭოთა მთავრობა იბრძვის, და გაამართლოს თავისი გამცემლური პოლიტიკა.

შემდეგ: რატომ არაფერი სთქვა მაკდონალდმა ნაწილობრივ განიარაღების საბჭოთა პროექტზე, თუ უკანასკნელი უმნიშვნელო რამაა? აშკარაა, რომ იგი უარყოფს ნაწილობრივ განიარაღებასაც, რამდენადაც, რა თქმა უნდა, საქმე ინგლისს ეხება და არა მის მოწინააღმდეგეებს.

ბოლოს, თუ როგორ „ზრუნავს" მაკდონალდი განიარაღების საქმეზე, ამას გვიჩვენებს მისი სიტყვები: „განიარაღების საკითხი განხილულ უნდა იქნეს „დიპლომატიური" გულმოდგინებით"-ო. „დიპლომატიურ გულმოდგინებით" დაუსრულებლივ არჩევენ ამ საკითხს იმპერიალისტები, შედეგი კი აქედან ერთადერთია: შეიარაღების გაძლიერება. და მაკდონალდი, თუ ის კვლავ მოევლინა ძალა-უფლებას სათავეში, ცხადია, ამავე გზით ივლის, როგორც ამას ადგილი ჰქონდა ინგლისის პირველი „მუშათა" მთავრობის დროს, რომლის ერთ-ერთი ნაბიჯი იყო გადაწყვეტილების გამოტანა ახალ კრეისერების აგების შესახებ.

⁂

როგორც ვიცით, ინგლისის და საფრანგეთის მთავრობებმა წინადადება მისცეს იტალიას, რომ შეერთებოდა მათ მიერ დადებულ საზღვაო შეთანხმებას. უკვე გამოქვეყნდა რომის მთავრობის პასუხი.

ჩვენ თავის დროზე აღნიშნული გვქონდა, რომ ინგლის-საფრანგეთის ბლოკი, რომელიც ნაწილობრივ აუცილებლად იტალიის ხარჯზე შეიძლება განხორციელდეს, უკანასკნელისათვის მიუღებელია. ზევით ხსენებული პასუხიც ამას ადასტურებს.

აქ ვკითხულობთ: „იტალია მზადაა თავის შეიარაღების საზღვრად სცნოს რომელიც გნებავთ ციფრი, მხოლოდ ერთი პირობით: ამ ციფრს არ უნდა გადააჭარბოს ევროპის კონტინენტის არც ერთმა სახელმწიფომ". ამ სახელმწიფოებში, ცხადია, იგულისხმება საფრანგეთი. და აი, იტალია აყენებს წინადადებას შეიარაღების, პირველ ყოვლისა საზღვაო შეიარაღების დარგში საფრანგეთთან გათანასწორების შესახებ.

ეს საფრანგეთის იმპერიალიზმის პირდაპირი გამოწვევაა. ასეც შეაფასეს იტალიის პასუხი საფრანგეთში. „ევრ" ამბობს: „სამხედრო გემების დიდი რაოდენობა გვესაჭიროება ჩვენ მიმოსვლის გზების უზრუნველსაყოფად. რად ესაჭიროება იტალიას სამხედრო გემების ამდენივე რაოდენობა, თუ არა იმისათვის, რომ დაემუქროს ამ გზებს"-ო; პერტინაკსი „ეკო დე პარი"-ში სწერს: „საფრანგეთის და იტალიის საზღვაო თანასწორობა იმის მაჩვენებელი იქნებოდა, რომ ჩვენ ხმელთა შუა ზღვაზე მეორეხარისხოვანი ადგილი უნდა დავიკავოთ. ჩვენ არ გვსურს დავსთმოთ გაბატონებული მდგომარეობა საზღვაო გზებზე. ამგვარად, საკითხი ეხება საფრანგეთ-იტალიის მეტოქეობას ზღვებისა და კოლონიების დაუფლებისათვის. საფრანგეთი დიდი კოლონიალური სახელმწიფოა, მაგრამ ამ კოლონიების შენარჩუნებას ის ახერხებს მხოლოდ ძლიერი საზღვაო ფლოტის საშუალებით ხმელთა შუა ზღვაზე. იტალიას ნაკლებად გააჩნია კოლონიები და ის ცდილობს ხელთ იგდოს საფრანგეთის აფრიკული სამფლობელოები. ამას ის მიაღწევს მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუ საფრანგეთის საზღვაო ძლიერება შეასუსტებს. ამ მიზანს ისახავს იტალიის პასუხი.

გასაგებია, რომ იტალიის ასეთი მიდრეკილება პარიზში იწვევს მოუსვენრობას და საფრანგეთის მხრით სათანადო ზომების მიღებას. უკვე იყო ცნობა, რომ საფრანგეთი ამუშავებს ფართე გეგმას აფრიკის სანაპიროების გასამაგრებლად. ამგვარად, ჩვენ მოწმენი ვართ ამ ორ ქვეყანას შორის წინააღმდეგობათა გაძლიერების და ომისათვის სამხედრო მზადების.

აგრეთვე საგულისხმოა პასუხის ერთი მუხლიც: იტალიის მთავრობა აცხადებს, რომ ის მომხრეა შეზღუდულ იქნეს საერთო ტონაჟი და არა გემების ცალკე კატეგორიები. თუმცა იტალიისათვის ფინანსიური და ტექნიკური მოსაზრებით სასარგებლოა შეზღუდოს დიდი გემების რიცხვი და დაშვებულ იქნეს შედარებით უფრო პატარა გემების მშენებლობის განუსაზღვრელობა, როგორც ამას ინგლის-საფრანგეთის შეთანხმება ითვალისწინებს, მაგრამ ის ამის წინააღმდეგ ილაშქრებს და ამერიკის თვალსაზრისს უერთდება, რომ ამით დაშალოს ინგლის-საფრანგეთის ბლოკი. ეს გარემოება ამერიკას უადვილებს ინგლისთან ბრძოლას.

⁂

საბჭოთა ნავთი მოსვენებას არ აძლევს ნავთის კაპიტალისტურ მფლობელებს. ჩვენი ნავთი ახალ-ახალ ბაზრებისაკენ იკაფავს გზას. თვით ინგლისში, სადაც დეტერდინგი თავის მთავრობის დახმარებით გააფთრებულ ბრძოლას ეწევა მის წინააღმდეგ, საბჭოთა ნავთმა ფართოდ მოიკიდა ხელი.

დეტერდინგი ცდილობს ჩვენი ნავთი განდევნოს არა მარტო ინგლისიდან, არამედ საერთოდ მსოფლიო ბაზრიდან. ამ ნიადაგზე მას მწვავე შეხლა-შემოხლაც ჰქონდა ამერიკულ „სტანდარტ ოილ"-თან, რომელიც საბჭოთა ნავთს იძენს ინგლისის ნავთის პატრონებისათვის კონკურენციის გაწევის მიზნით. მაგრამ ამ მხრივ ვერაფერმა გასჭრა: ვერც ეკონომიურ ზეგავლენამ, ვერც დეტერდინგის „მორალურმა" არგუმენტაციამ, რომ თითქო „ნაქურდალი" საბჭოთა ნავთის შესყიდვა შეუფერებელი იყოს. „სტანდარტ ოილ" განაგრძობს საბჭოთა ნავთის შეძენას და ნავთის ბაზარზე ინგლისის ამარცხებს.

უკანასკნელი ცნობებით, ინგლისის და ამერიკის ნავთის კომპანიები თითქო მოლაპარაკებას აწარმოებენ ნავთის საერთაშორისო კარტელის ორგანიზაციის შესახებ, რათა განახორციელონ ნავთის მსოფლიო მონოპოლია და გაანაპირონ საბჭოთა ნავთი. დღემდე ცდა, მიმართული ინგლის-ამერიკის სანავთო ტრესტების შეთანხმებისაკენ, მუდამ უშედეგოდ მთავრდებოდა, კიდევ მეტი — მას მოსდევდა მათ შორის ურთიერთობის ახალი გამწვავება. უნდა ვიფიქროთ, რომ აწიც ვერ გამონახავენ ისინი საერთო ენას, მით უმეტეს, როცა ინგლის-ამერიკის ინტერესთა წინააღმდეგობა საერთოდ ასე გაღრმავებულია. გარდა ამისა, ნავთის საერთაშორისო მონოპოლისტურ ორგანიზაციის შექმნა მიუღებელია ნავთის მომხმარებლებისათვის, რადგანაც ის ჰგულისხმობს ნავთის ფასების აწევას. ამიტომ ნავთის მსოფლიო კარტელის მოწყობის იდეა აუცილებლად წააწყდება სერიოზულ წინააღმდეგობას.

გ. კ—ლი.

მუშათა და გლეხთა ინსპექციის ფურცელი

მასების კონტროლის გზით

თვითკრიტიკის გატარების მომავალი შემოწმება

საკავშირო კომპარტიის (ბ) ცეკას მომართვაში („პარტიის ყველა წევრს და ყველა მუშას") ნაჩვენებია თვითკრიტიკის ლოზუნგის ცხოვრებაში გატარების პრაქტიკული ნაბიჯები. მაგრამ დასახულ ღონისძიებათა განხორციელებისათვის საჭიროა წინასწარ გათვალისწინებულ იქნას, რომ არსებობს ამ ლოზუნგის ბიუროკრატიულ - აპარატული დამახინჯების საშიშროება.

უკვე პირველი შედეგებიდანაც ცხადია, რომ ასეთი საშიშროება რეალურია. ბევრი შემთხვევაა, როდესაც ზოგიერთ ორგანიზაციათა პარტიულმა კომიტეტებმა თვითკრიტიკა ისეთი რეზოლიუციების გამოტანით დაიწყეს, რომლებშიაც თვალსაჩინო მიღწევებს აღნიშნავენ. ცდილობენ განსაზღვრონ თვითკრიტიკა წარმოებათა და დაწესებულებების ფარგლებით, დევნიან ყველას, ვინც ამ ფარგლებს გასცილდება და კრიტიკულად შეხებას გაუბედავს ხელმძღვანელ პარტიულ, საბჭოთა და პროფესიონალური ორგანიზაციების საქმიანობას.

ზოგჯერ პირდაპირაც გამოდიან თვითკრიტიკის წინააღმდეგ, სთვლიან მას ყოველი უბედურების სათავედ, დაწესებულებებსა და წარმოებებში შრომის დისციპლინის დაცემის,და სხვ. არანორმალობათა მიზეზად.

საერთოდ არსებობს საკმაოდ ბევრი ხერხი ცეკას მომართვის მიფუჩეჩებისა, მისგან ფორმალურად თავის დაღწევისა. ამოცანა იმაში მდგომარეობს, რომ სისტემატიურად გაისინჯოს, თუ რამდენად ტარდება ცხოვრებაში მოწოდებაში ნაჩვენები დირექტივები, ამასთანავე შემოწმებას ქვედა საფეხურებიდან ზედა საფეხურებამდე ყოველ-დღიური მასიური ხასიათი უნდა ჰქონდეს, ამავე დროს თვითკრიტიკის გატარებაში არსებულ დეფექტების აღნიშვნასთან ერთად, პერიოდულად ჯამი უნდა უკეთდებოდეს მიღწევებსაც.

კომპარტიის (ბ) ცენტრ. საკონტროლო კომისიის უკანასკნელმა პლენუმმა განიხილა ცეკას დირექტივების შესრულების პირველი შედეგები; ამჟამად საქართველოს კომპარტიის (ბ) ცენტრალური საკონტროლო კომისიაც შეუდგა საქართველოში თვითკრიტიკის შედეგების გამოკვლევას. შემოწმება შეეხება პარტიულ, პროფესიონალურ და საბჭოთა ორგანიზაციებს და პრესას. გამოკვლეული იქნება საკითხი, თუ რამდენად შეასრულეს დირექტივა ამ ორგანიზაციების ხელმძღვანელმა ცენტრებმა და აგრეთვე რა სახე მიიღო დირექტივების გატარებამ ქვედა უჯრედებში.

გამოკვლევამ უნდა გამოააშკარაოს, თუ რამდენად გახდა სინამდვილეში თვითკრიტიკის ლოზუნგი პარტიულ, კომკავშირულ და უპარტიო ფართო მასების კუთვნილება. რამდენად პოპულიარული და გასაგებია ის, რამდენად ჩაექსოვა მუშაობის სისტემას, თვითეული მშრომელის ყოფა-ცხოვრებას; უზრუნველყოფილია თუ არა თვითკრიტიკის გაფართოების საქმისთვის პარტიული, პროფესიონალური და საბჭოთა ორგანიზაციების ხელმძღვანელობა.

გამოკვლევამ უნდა გვიჩვენოს, თუ რამდენად იქონია გავლენა თვითკრიტიკის ლოზუნგმა პარტიული და კომკავშირული მუშაობის საერთო მდგომარეობაზე, სახელდობრ: შინაპარტიული და კომკავშირული დემოკრატიის გატარების დარგში, პარტიული და კომკავშირის ორგანოების არჩევნების ჩატარებაში, პარტიულ და კომკავშირულ სამუშაოზე ახალ კადრების წამოყენების საქმეში, მთელი ორგანიზაციის აქტივობის ამაღლებაში, არანორმალურ მოვლენებთან და პარტიული ეთიკის დარღვევასთან ბრძოლაში, უპარტიო მასებში მუშაობის გაუმჯობესებაში, მუშათა და მუშა-ახალგაზრდობის ახალი ფენების ჩაბმის საქმეში, უპარტიო ორგანიზაციების ხელმძღვანელობაში ადმინისტრატიული ზომების მოსპობაში, მუშათა ახალი ფენების ხარჯზე პარტიის ზრდისა და პარტიაში დისციპლინის ამაღლების საქმეში.

ამავე დროს შემოწმება უნდა გამოააშკარაოს თვითკრიტიკის გავლენა პროფკავშირულ მუშაობაზე, როგორიცაა: პროფკავშირული დემოკრატიის გატარება, დაცვა არა მარტო საერთო ,არამედ ცალკე მუშა - მოსამსახურეთა ინტერესებისა. მუშათა ჩამორჩენილი ფენების ჩაბმა კავშირში, კიდევ უფრო მეტი ჩაბმა ბიუროკრატიზმთან და ჩვენი სამეურნეო მშენებლობის დეფექტებთან ბრძოლაში, ეკონომიური თათბირების და წარმოებაში საკონტროლო კომისიების აქტივობის ამაღლება და მათი საქმიანობის გამოცოცხლება, და, ბოლოს, სპეციალისტების მონაწილეობის გაძლიერება და მშენებლობის ნაკლთა გამომჟღავნება.

არა ნაკლებ მასალას მოგვცემს ჩვენ გამოკვლევა იმ მხრივ, თუ რამდენად მოახდინა თვითკრიტიკამ გავლენა ქალაქისა და თემის საბჭოებსა და საბჭოთა სექციების გამოცოცხლებაზე, რამდენად გადაიქცნენ ეს საბჭოები თვითკრიტიკის მეოხებით, ისეთ ორგანოებად, რომელთა საშუალებით მასები უშუალოდ ებმებიან სახელმწიფო მმართველობაში და ფართო მასიურ კონტროლს ანხორციელებენ.

კომპარტიის (ბ) ცენტრალურ საკონტროლო კომისიის უკანასკნელმა პლენუმმა აღნიშნა თვითკრიტიკის თვალსაჩინო მიღწევა ბეჭდვითი სიტყვის დარგში. ზოგიერთ ორგანიზაციებში, წინააღმდეგ პარტიულ, პროფესიონალურ და საბჭოთა ორგანოებისა, პრესა ძირითადი ძალაა, დეფექტებთან საბრძოლველად მასების დამრაზმავი. მაგრამ აქაც გვაქვს გადახრათა მთელი რიგი: წინასწარი კონტროლის ორგანიზაციის ცდა, სენსაციების გამოდევნება, კრიტიკის ობიექტების არასაკმარისად გაფართოვება, კერძოდ პარტიულ და პროფესიონალური ორგანიზაციების დეფექტების სუსტად აღნიშვნა, სუსტი მუშაობა მუშკორებს შორის და მასალათა არასაკმარისი კონკრეტიულობა.

თვითკრიტიკის წარმატება პირველ რიგში იმისგანაა დამოკიდებული, თუ რამდენადაა პარტიულ, პროფესიონალურ და საბჭოთა ორგანიზაციებში შექმნილი პირობები კრიტიკის თავისუფლად წარმოებისათვის, უზრუნველყოფილია თუ არა სწრაფი და გადაჭრილი გატარება ღონისძიებებისა იმ სიმახინჯეთა ალმოსაფხვრელად, რომლებიც მჟღავნდება თვითკრიტიკის წესით. ხომ არა აქვს ადგილი მიფუჩეჩებას და ასეთი საქმეების შინაურული წესით გარჩევას. ხომ არ სდევნიან იმას, ვინც კრიტიკას ეწევა.

— საკითხი კრიტიკისათვის რეპრესიებისა და დევნის შესახებ განსაკუთრებით მნიშვნელოვანი საკითხია. ხშირად ეს რეპრესიები იღებს მეტად მოხდენილად ფარულ ფორმას. ხშირად აკვიატებულ კრიტიკოსს უცბად „დაწინაურების“ წესით „საპასუხისმგებლო სამუშაოზე“ გზავნიან იმისათვის, რომ ან ამ „დაწინაურებით კლიტე დაადონ პირზე“ ან მისი კრიტიკა ამ გზით უვნებელი და ნაკლებ საშიში გახადონ. ძალიან ხშირად სახელს უფუჭებენ იმას, ვინც კრიტიკას ეწევა, მის კრიტიკას უწოდებენ კინკლაობას, ხსნიან მას როგორც პირადი უკმაყოფილების გამოხატვას, აძლებენ კარიერიზმად და სხვ. ხშირია აგრეთვე შემთხვევები, როდესაც კრიტიკოს გამეჯვს წარმოებიდან ან დაწესებულებიდან ითხოვენ შემოკლების წესით, ან სხვა რაიმე მიზეზით, აქვეითებენ ხელფასის ხარისხით, გადაჰყავთ სხვა სამუშაოზე და სხვ.

ერთ-ერთი ასეთი ფაქტი კი მეტად უარყოფით მოვლენას ახდენს თვითკრიტიკის საქმის წარმატებით მსვლელობაზე. ასეთ მაგალითებს შეუძლია ჩაჰკლას აქტივობა, ინიციატივა, დაუკარგოს რწმენა მუშას იმ ღონისძიებებისადმი, რომლებსაც ატარებს პარტია და ხელისუფლება, და გავლენა მოახდინოს პარტიულ და საზოგადოებრივი ორგანიზაციების მთელი მუშაობის სისუსტეზე. ამიტომ თვითკრიტიკის დამხშობ პირების წინააღმდეგ, ვინც არ უნდა იყვნენ ისინი, უნდა სწარმოებდეს გაბედული ბრძოლა. ყოველი ასეთი ფაქტი თვითკრიტიკის დახშობისა უნდა გამოტანილ იქნას პარტიულ და საბჭოთა საზოგადოებრივების სამსჯავროზე.

მომავალმა გამოკვლევამ უდიდესი როლი უნდა ითამაშოს თვითკრიტიკის საქმეში არა მარტო ცალკე დეფექტების გამომჟღავნებაში, არამედ მან უნდა ითამაშოს შემაკავშირებელი როლი თვითკრიტიკის შემდგომ გაფართოებაში და გაძლიერებაში მისთვის ფართო მშრომელი მასების ყურადღების მიქცევის გზით. მაშინ თვითკრიტიკა მიიღებს თავის ნამდვილ მიმართულებას და ის მთელი ჩვენი აღმშენებლობის უდიდეს ფაქტორად გადაიქცევა.

ა. გოლდბაუმი.

ვინ აფერხებს ხილის დამზადებას

(ამხ. ვასო ქურდაძის წერილის გამო)

გაზეთ „კომუნისტი“-ს სექტემბრის 30-ის № 227-ში დაბეჭდილი იყო ამხ. ვასო ქურდაძის წერილი სათაურით „ვინ აფერხებს ხილის დამზადებას“.

ამ წერილის შინაარსი ასეთია: ა) ხილის დამზადება გორის მაზრაში ფერხდება, ბ) კოოპერაცია (სოფლის კავშირის და მისი ძირითადი ქსელის სახით) არის დამნაშავე ამ შეფერხებაში და გ) კოოპერაციის მიერ ამ საქმიანობაში დაშვებული უწესობანი უკმაყოფილებას იწვევს გლეხობაში.

ყველა ეს ბრალდებების ავტორია გორის მაზრის ერთი პასუხისმგებელი მუშაკთაგანი, რომელიც თავისი მდგომარეობით მოწოდებულია ჩახედული იყოს მის მაზრის ფარგლებში წარმოებულ საქმიანობაში. ეს გარემოება აძლიერებს წამოყენებულ ბრალდებათა მნიშვნელობას და წონას.

თუ დავუჯერებთ ამხ. ქურდაძეს, გამოდის, რომ სასოფლო-სამეურნეო კოოპერაციისათვის ხილის დამზადების დაკისრებამ ცუდი შედეგები გამოიღო, კოოპერაცია „ამ საქმეში სისუსტეს იჩენს“, ხილის მისაღებ ფარდულების რიცხვი ფრიად მცირეა, რაც იწვევს გლეხების კვირაობით დგომას რიგში, მიღების დროს ხდება ეგრედწოდებული „ბრაკის“ გადარჩევა, რომელსაც გლეხებისაგან არ ღებულობენ და გლეხმა კი არ იცის სად წაიღოს ეს „ბრაკი“.

წინა წლებში მრავალი ორგანიზაცია გამოდიოდა ხილის დამამზადებლად. ამ ორგანიზაციათა შორის არ იყო გამიჯნული საქმიანობის რაიონები და ხშირად ერთსა და იმავე სოფელში რამოდენიმე დამამზადებელი მუშაობდა ერთი - მეორის მოქიშპედ. მას შემდეგ, რაც გამოტანილ იქნა დადგენილება იმის შესახებ, რომ მიმდინარე წელს მხოლოდ სასოფლო-სამეურნეო კოოპერაცია გამოდის ხილის დამამზადებლად და რომ იგი ჩააბარებს ხილს ამ პროდუქციით დაინტერესებულ ყველა დაწესებულებებსა და ორგანიზაციებს, საჭირო იყო გორის მაზრის სასოფლო სამეურნეო ამხანაგობების შორის სამუშაოს განაწილება; ასეც მოხდა: გორის, ქარელის და შინდისის სასოფლო- სამეურნეო ამხ-ბებს დაევალა ხილის დამზადება სოფლის კავშირისათვის, რომელიც ამ ხილს ჩააბარებდა „ამ.-კავ. სახელმწიფო ვაჭრობას“, მეჯვრისხევის ამხ-ბას დაეკისრა ხილის დამზადება და უშუალოდ ჩაბარება თბილისის კომ. ბანკის სავაჭრო განყოფილებისათვის, ტყვიავის ამხ-ბას — „საქ. სახელმწ. ვაჭრობისათვის“. ხელშეკრულებები, რომელიც დაიდო ამ ორგანიზაციებსა და დაწესებულებებს შორის, გულისხმობდა სათანადო წინასწარ სამუშაოების შესრულებას იმ რაიონებში, სადაც ხილის დამზადება უნდა ჩატარებულიყო. ყველა ამ რაიონებში ზემო დასახელებულ სავაჭრო დაწესებულებათა ხარჯზე (თანახმად ხელშეკრულებისა), უნდა ჩატარებულიყო ბაღების მასიური წამლობა და დაზღვევა; ამას გარდა იგივე ორგანიზაციები მოვალენი იყვნენ თავის დროზე აეგოთ ამ რაიონში ფარდულების რაც შეიძლება ფართო ქსელი და მოეზიდათ საჭირო ტარა. ბაღების წამლობა და დაზღვევა ჩატარებულ იქნა ყველა რაიონებში, რაც შეეხება ფარდულების აგებას, აქ კი ცოტაოდენ შეფერხებას ჰქონდა ადგილი: სოფლის კავშირი მოითხოვდა, რომ „ამ.-კავკ. სახელმწ. ვაჭრობას“ აეგო ისეთი რაოდენობა ფარდულებისა, რომელიც გაუადვილებდა გლეხებს ხილის მოზიდვა-ჩაბარებას. ამ ნიადაგზე დიდი დავა ატყდა სოფლის კავშირსა და „ამ.-კავ. სახელმწ. ვაჭრობა“-ს შორის და საჭირო შეიქნა მომწესრიგებელ ორგანოების სპეციალი გამოკვლევა და ჩარევა ამ საქმეში, რომ სოფლის კავშირის კანონიერი მოთხოვნა შესრულებულიყო. ამჟამად „ამ.-კავ. სახელმწიფო ვაჭრობა“-ს მოწყობილი აქვს სულ 20-მდე ფარდული იმ რაიონებში, სადაც სოფლის კავშირი გამოდის გლეხებისაგან ხილის მიმღებად, ესე იგი გორის, ქარელის და შინდისის რაიონებში. ფარდულების ეს რაოდენობა სრულიად შეუძლებლად ხდის ისეთ მოვლენას, როგორსაც აგვიწერს ამხ. ქურდაძე, თითქოს გლეხობას კვირაობით უხდება რიგში დგომა. თუ ტყვიავის და მეჯვრისხევის რაიონებში ადგილი აქვს ფარდულების სიმცირეს და ეს ქმნის გლეხობაში უკმაყოფილებას, ამაში კოოპერაციას არავითარი დანაშაული არ მიუძღვის. ამ რაიონში ხილის მიმღებ დაწესებულებებს უნდა მიეღოთ ზომები ფარდულის საკმაო რაოდენობის ასაგებად. ეს არა ერთხელ მოახსენა და მოაგონა სოფლის კავშირმა ამ დაწესებულებებს.

ასეთივე ხასიათი აქვს ამხ. ქურდაძის ბრალდებას „ბრაკის“ შესახებ. გორის მაზრის ხელმძღვანელმა ამხანაგებმა აღძრეს საკითხი „ბრაკის“ შესყიდვის შესახებ და ამ საკითხის მომწესრიგებელ ორგანოებში განხილვის შემდეგ დაწესდა ფუთი „ბრაკის“ ფასი 35 კაპ. და სას.-სამ. ამხანაგობისათვის მისაცემი საორგანიზაციო — ფუთზე 5 კაპ. აღნიშნულ ფასებში ეს „ბრაკი“ უნდა მიეღო ფარდულებიდან გორის ტრესტს. უკანასკნელი კი ფარდულებიდან მიღებაზე უარს აცხადებს და მოითხოვს, რომ „ბრაკი“ ამხანაგობებმა ჩააბარონ ტრესტს ქ. გორში. ამას უზარალოდ ამხ-ბები ვერ შეასრულებენ. მიუხედავად ამისა, ამხ. ქურდაძე მაინც კოოპერაციას სთვლის ამ საქმეში დამნაშავედ.

ზემოაღწერილი სურათი აშკარად არ გავს დამზადების იმ სურათს, რომელიც ამხ. ქურდაძემ მოგვცა თავის წერილში. სოფლის კავშირმა სათანადო საორგანიზაციო ღონისძიებების ჩატარებით იმდენად, რამდენადაც ეს სხვა დაწესებულებებისაგან არ იყო დამოკიდებული, უზრუნველჰყო თავის სამოქმედო რაიონში დამზადების წესიერად ჩატარება.

ამას ადასტურებს ის გარემოება, რომ ხილის დამზადების ბაზრიდან კერძო ვაჭარი დღეს თითქმის სავსებით განდევნილია. ამასვე ადასტურებს ის გარემოებაც, რომ იმ 214.000 ფუთიდან, რომელიც სოფლის კავშირს უნდა მიეღო, მან დამზადების დაწყების დღიდან, ესე იგი 18—21 სექტემბრიდან, დღემდე მიიღო 70.000 ფუთი ხილი და ეს მიუხედავად იმისა, რომ ჯერჯერობით სწარმოებს მხოლოდ ხუთიოდე ჯიშის მიღება.

დასასრულ უნდა აღვნიშნოთ, რომ გასულ თვეში ამ.-კავ. შინავაჭრობის სახ. კომისარიატის რწმუნებულმა საქართველოში გამოკვლევის შემდეგ ფრიად დადებით შეფასება მისცა ჩვენი სასოფლო-სამეურნეო კოოპერაციის მიერ გორის მაზრაში ხილის დამზადებისათვის საჭირო წინასწარ მუშაობას. ეს დასკვნა მოწონებულ იქნა შემდეგ საქ. უმაღლეს ეკონომ. საბჭოს მიერაც. ამ ავტორიტეტულ ორგანოთა ასეთი დასკვნის მიუხედავად ,ამხ. ქურდაძეს მაინც სურს დამნაშავედ გამოიყვანოს სას.-სამ. კოოპერაცია იმაში, რაშიაც მას დანაშაული არ მიუძღვის და მოითხოვს მუშათა და გლეხთა ინსპექციისაგან, რომ მას პასუხი მოსთხოვოს ხილის დამზადების ოპერაციის შემფერხებელთ და კერძოდ სას.-სამ. კოოპერაციის გამგეობის წევრ ამხ. ბესელიძეს.

ჩვენ ასეთ შემფერხებლად არ ვცნობთ სასოფლო-სამეურნეო კოოპერაციას და ვფიქრობთ, რომ მუშათა და გლეხთა ინსპექციის კვლევა-ძიება და დასკვნა საბოლოოდ ალკვეთავს კოოპერაციის ავტორიტეტისათვის ასეთი უვარგისი საშუალებებით სახელის გატეხის ყოველ ცდას.

სოფლის კავშირის გამგეობა.

როგორ არ უნდა ხდებოდეს დამნაშავეთა გამოსწორება

დამნაშავეთა გასწორებას არ ექცევა სათანადო ყურადღება.—მძიმე ბოროტმოქმედების ჩამდენი ხშირად ადვილად აღწევს თავს სასჯელს.—ბევრჯერ არ სრულდება სასამართლოს განაჩენი—ყოფილი პოდპოლკოვნიკი „აგრონომი პრაქტიკოსი“.—ციხის „კნიაზები“

ცნობილია, რომ სასამართლოსა და გამასწორებელ დაწესებულებებს დაკისრებული აქვთ საზოგადოებრივათ საშიშ პიროვნების გასწორება. ეს ორგანოები მოწოდებული არიან შეთანხმებულად ემსახურონ ერთ მიზანს: სასამართლო, საქმის გარჩევის დროს, შეისწავლის დამნაშავის პიროვნებას, მის მიერ ჩადენილ დანაშაულის პირობებს და ბოროტმოქმედს შეუფარდებს სათანადო ღონისძიებას, რის შემდეგაც მსჯავრდადებული ღონისძიების მოსახდელათ გადადის გამასწორებელ დაწესებულების განკარგულებაში. ეს უკანასკნელი ვალდებულია განაგრძოს დამნაშავის და მის მიერ ჩადენილ დანაშაულის შესწავლა და ამის მიხედვით მსჯავრდადებულს შეუქმნას ესა თუ ის რეჟიმი. ამ საპასუხისმგებლო საქმეში იუსტიციის სახ. კომისარიატს ევალება ზედამხედველობა გაუწიოს გამასწორებელ ორგანოების მუშაობას, მაგრამ, სამწუხაროდ, ამ მხრივ სინამდვილეში მის მიერ თითქმის არაფერი გაკეთებულა.

ზედმეტი არ იქნება აქვე ითქვას, რომ მუშათა და გლეხთა ინსპექციაც, რომელსაც მეტი აქტივობის გამოჩენა მართებს ამ საქმეში, ნაკლებათ არის დაინტერესებული ამ მუშაობით. ამის საილუსტრაციოდ აღვნიშნავთ, რომ მისი წარმომადგენელი შინაგან საქმეთა სახ. კომ.' განმანაწილებელ კომისიაში მიმდინარე წლის განმავლობაში 17-ჯერ მოწყობილ სხდომიდან მხოლოდ 6 სხდომას დაესწრო. გასწორების საქმისადმი ასეთ გულგრილობის შედეგად ჩვენ გვაქვს არანორმალური მდგომარეობა, როცა განსაკუთრებით საშიში ბოროტ-მოქმედებანი თითქმის დაუსჯელნი რჩებიან, რაიც სამართლიან უკმაყოფილებას იწვევს ფართო მასაში და სასამართლოსაც უმცირებს ავტორიტეტს. გამოდის ისე, რომ ვისაც სასამართლოს მიერ ხანგრძლივი თავისუფლების აღკვეთა აქვს მისჯილი და ვინც საზოგადოებისათვის საშიშ პიროვნებებათ არის ცნობილნი, ის მალე აღწევს თავს პატიმრობას და ფაქტიურად დაუსჯელი რჩება. ეს ისეთ შთაბეჭდილებას სტოვებს, თითქოს ჩვენ დამნაშავეს არ ვსდევნით, ან ზედმიწევნით ლმობიერად ვეპყრობით.

განმანაწილებელი კომისიის მუშაობას გასწორების პოლიტიკაში უეჭველად აქვს მნიშვნელოვანი ნაკლი. ეს კომისია არ იცნობს ხშირად სასამართლოს განაჩენს არსებითად და ეყრდნობა მხოლოდ მეთვალყურე კომისიის დასკვნებს, რის მიხედვით მსჯავრდადებულს ეძლევა ესა თუ ის შეღავათი; მეთვალყურე კომისია კი ხშირად ფორმალურად უყურებს ბოროტმოქმედის გამოსწორების საკითხს და თავის დასკვნას ასაბუთებს იმით, რომ ესა თუ ის მსჯავრდადებული არ ყოფილა შემჩნეული რაიმე უარყოფით საქციელში სასჯელის მოხდის პერიოდში. ჩვენ კი ვიცით, თუ რას წარმოადგენენ გამფლანგველნი ან სამსახურში დანაშაულის ჩამდენნი პირნი. ეს პირებია უმთავრესად მოსამსახურე ინტელიგენტები, რომლებიც ადვილათ „ულებენ ალღოს“ საქმეს. ჯერ სასამართლოს განაჩენი გამშრალიც არ არის, რომ ისინი ახერხებენ საქმის მოჭახრაკებას მეთვალყურე კომისიებში თავიანთი მდგომარეობის გასაუმჯობესებლად. ამიტომაა, რომ გამფლანგველები, რომლების საქმეებმაც მიიპყრო ფართო საზოგადოების ყურადღება, რომლებსაც დიდი სასჯელი აქვთ შეფარდებული, მაინც სარგებლობენ პრივილეგიებით. მათ ამუშავებენ ისეთ საქმეზე, რომელიც დაკავშირებული არ არის თავისუფლების აღკვეთასთან. ისინი დასეირნობენ თავისუფლად ქუჩებზე და ყოველივე ეს მასის თვალში უარყოფითი შთაბეჭდილებას სტოვებს. მაგალითისათვის აღსანიშნავია ასეთი შემთხვევები ა.კ. რკ. გზების სამმართველოდან, თუთუნის ტრესტიდან, ელექტრონის სადგურის სამმართველოდან და სხვ.

განმანაწილებელი კომისიის მუშაობა, რომელიც განაგებს მსჯავრდადებულთა საქმეს, მოკლეთ ასეთია კომისიის წევრებს ეგზავნებათ მსჯავრდადებულთა ანკეტები კომისიის სხდომაზე მოხსენების გასაკეთებლად. თუ რამდენათ საიმედოა`ეს ანკეტები, ეს იქიდან სჩანს, რომ ყოფილი პოდპოლკოვნიკი, რომელიც განაჩენით ცნობილია საშიშ პიროვნებად, ანკეტაში თავის ძირითად პროფესიათ აჩვენებს — „აგრონომ-პრაქტიკოსი“... თურმე ნუ იტყვით, ამ სამხედრო პირს გამსახლში უმუშავნია საყვავილეში. აი მეორე მაგალითიც: ორ მსჯავრდადებულთაგანს, რომლებიც თანაბრად არიან შეფარდებულნი სოციალურ დაცვის ღონისძიებას, როგორც ერთი დანაშაულის თანამონაწილენი, ერთი გადაყვანილია იძულებით სამუშაოზე და მუშაობს გამსახლის გარეშე, სარგებლობს ყველა შეღავათებით, ხოლო მეორე დარჩა და მუშაობს გამსახლში. როდესაც ამ უკანასკნელმა აღძრა საკითხი შეღავათის შესახებ, კომისიამ მას უთხრა უარი იმ მოტივით, რომ „დანაშაულის სიმძიმის მიხედვით შეღავათი მას არ ეკუთვნის“. ისმება საკითხი: რით დაიმსახურა ერთმა შეღავათი, რატომ ეთქვა უარი მეორეს? აქ იუსტსახკომისარიატმა უსათუოდ უნდა განახორციელოს ზედამხედველობა.

დამნაშავეთა გასწორების დარგში მომუშავეების კადრის შერჩევაც აუცილებელია. მათ უფრო ღრმათ და დაწვრილებით უნდა შეისწავლონ ესა თუ ის მსჯავრდადებული. განმანაწილებელი კომისიები განსაკუთრებული სიფრთხილით უნდა ექცეოდნენ სოციალურად საშიშ და მძიმე დამნაშავეებს. ეხლა კი ხშირად ამ კატეგორიის ბოროტმოქმედებზე უფრო ვრცელდება შეღავათები, ვიდრე შემთხვევით მცირე ბოროტმოქმედებზე.

გამსახლში კომისიის მზრუნველობის ქვეშ მყოფი ბოროტმოქმედნი დიდათ განირჩევიან პატიმართა დანარჩენ მასისაგან. ეს განსხვავება ერთობ თვალში ეცემა იქ მისულ კაცს. ისინი ციხის ერთგვარი „კნიაზებია“, ასედაც უწოდებენ მათ ტუსაღები. ასეთი მდგომარეობის გამოსწორებისათვის საუკეთესო საშუალება იქნება, რომ სხვადასხვა ქალაქის გამსახლებმა გაცვალონ ერთმანეთში ბოროტების ჩამდენნი. მაშინ ისინი იოლათ ველარ „დაიმსახურებენ“ შეღავათ-პრივილეგიებს პროტექციით და სხვა კომბინაციებით.

თუ ამ საკითხს დროზე არ მიექცა ყურადღება, სასამართლოების მუშაობას დაეკარგება აზრი და მნიშვნელობა, ხოლო ბოროტება კი უფრო იმატებს.

ვანო ბერბერაშვილი.

ორი თვე სირბილი უარის მისაღებად

მოქ. ვალერიან მამულაშვილი ჩვეულებრივი სიწყნარით იჯდა თავის მოძველებულ ოთახში და სწერდა განცხადებას უქსის სახელზე.

„ნება მომეცით შევაკეთო ჩემი ბინა, რადგანაც ჩემს ხარჯზე 8 სული იმყოფება, გთხოვთ დახარჯული თანხა ბინის ქირაში გამიბაროთ.

ჩემს ბინაში დიდი ხნის შეუკეთებლობის გამო ათასგვარ ქია-ღუებმა გაიკეთეს ბუდე“-ო.

მეტად თავაზიანად გადაეცა განცხადება სახლის კომენდანტს. თავის მხრივ კომენდანტმა გადმოატრიალა განცხადება და დიდი ასოებით წააწერა — სამნეო მაგიდის გამგეს, ამხ. ტოროშელიძეს.

„ვადასტურებ, რომ მოქ. მამულაშვილის ბინა სასწრაფო შეკეთებას საჭიროებს“.

ამის შემდეგ ეს განცხადება უქსის ბიუროკრატიულ მანქანის კლანჭებში მოექცა, რომელიც რეზოლიუციების წერაში გავარჯიშებულმა ხელებმა წითელი ფერებით ააჭრელეს.

უპირველესად სამნეო მაგიდის უფროსი აწერს ვრცელ რეზოლიუციას. სთხოვს სარემონტო სექციას შეადგინოს სათანადო ხარჯთ-აღრიცხვა. ეს გახლდათ 8 აგვისტოს. „იატაკისა და კედლების შეღებვა, საერთოდ, სახლის მმართველობას არ დაევალება“— წააწერა „საერთო“ ხასიათის რეზოლიუცია უქსის ტეხნიკოსმა. განცხადება ერთ ხელიდან მეორეში გადადიოდა. მოქ. მამულაშვილს კი აღარ დაჰქონდა ის, თვითონ განცხადება ატარებდა მას. 8 აგვისტოდან დაწყებული 19 სექტემბრამდე უშედეგოთ სეირნობდა განცხადება უქსის კედლებს შორის; ბოლოს, როგორც იყო, მას სარემონტო სექციის რეგისტრატორის ხელიც მოხვდა. შემოსავალ წიგნში გაიარა განცხადებამ და უზარმაზარი ციფრებით გამოისახა ზედ № 25.400.

ამავე დღეს უქსის გამგე მიუთითებს ინჟენერ მოსეშვილს, შეადგინოს ხარჯთ-აღრიცხვა და ნება მიეცეს მამულაშვილს ბინის ქირაში შეაკეთოს ოთახები.

თურმე საქმისათვის საჭიროა ორი-სამი ინჟენერი და შეიძლება რამოდენიმე ტეხნიკოსიც. სწორედ ამიტომ იყო, რომ ინჟენერმა მოსეშვილმა ვერ „გადასჭრა“ ეს „დიდი“ საკითხი და მეორე ინჟენერიც წამოიხმარა. გასცა ბრძანება: ინჟ. ფხალაძეს.

„შეადგინეთ ხარჯთ-აღრიცხვა“.

ამნაირად, გადავალებული დავალება დღესაც შეუსრულებელია. მამულაშვილი ყოველ დღე უქსში ფხაკრეფით და მოკრძალებით კითხულობს თავის განცხადების ბედს.

პასუხს ძალიან მოკლეს იღებს:

„დღეს არ გვცალიან, ხვალ შემოიარეთ“. ვინ იცის რამდენ დღეს ივლიდა კიდევ უქსში მოქ. მამულაშვილი, რომ ბოლოს ვიღაც „მადლიანს“ არ წაეწერა ქაღალდზე საბოლოო რეზოლიუცია: „იატაკის შეღებვა და კედლების შეთეთრება ჩვენს ვალდებულებას არ შეადგენს“-ო. აქ დასრულდა, როგორც იყო, განცხადების ისტორია. ამრიგად ორი თვე მოუნდა კაცი რბენას პასუხის მისაღებად და თავიდან გარკვეულ საკითხის გამორკვევას.

ნ. ფურცელაძე.

ასეთი გამგე არ გამოგვადგება

(სართიჭალა, თბილ. მ.)

სართიჭალა მრავალ წლების განმავლობაში დიდ კრიზისს განიცდიდა სკოლის შენობის უქონლობის გამო. ხელისუფლების დახმარებით მასაც ეღირსა ამ ორი წლის წინეთ ახალი სკოლის შენობა. ახალ შენობას მოჰყვა ახალი გამგე კორძახია. ეს გამგე საზოგადოებრივ მუშაობაში არაფერს აკეთებს, მასწავლებელთა საგრძნობი ნაწილი გამგეს ერთგულად ბაძავს ამ მხრივ.

კორძახია ვალდებულია თემში არსებული სკოლები თვეში სამჯერ დაათვალიეროს და მისცეს მათ დირექტივები, მაგრამ თემში არის ისეთი სკოლები, რომლებიც კორძახიას ჯერ არც კი უნახავს. ამავე დროს იგივე კორძახია თბილისში 5 დღეში ერთხელ გარბის. გამგე კარგ ჯამაგირს ღებულობს, მაგრამ ის ანგარების მიზნით სხვა ხრიკებსაც მიმართავს. აი ფაქტიც: გასულ წელს სართიჭალის სკოლის მასწავლებელი კვანტალიანის ქალი ავადმყოფობის გამო წავიდა 4 თვის შვებულებაში, მისი გაკვეთილები თავს იდვა კორძახიამ. ოთხი თვის განმავლობაში კორძახიამ სამი თვე გააცდინა, მაგრამ მიუხედავათ ამისა, „შრომა“ მაინც აიანაზღაურა ოთხი თვის კვალობაზე. განათლების განყოფილებიდან მოსულმა რევიზიამ მოუსწრო კორძახიას და აღმოაჩინა, რომ კვანტალიანის ქალის მოწაფეები დიდათ არიან ჩამორჩენილი. კორძახიამ აქედან თავი იოლად დააძვრინა. მთელი დანაშაული გადაულოცა კვანტალიანის ქალს.

კორძახიას, როგორც აღვნიშნეთ, დიდი ლტოლვა აქვს თბილისისაკენ. პატარა მიზეზია საჭირო, რომ დაიძრას იგი სართიჭალიდან. მაგალითად ამა წლის 12 სექტემბრიდან 18-მდე ალმასკომის განკარგულებით სართიჭალის სკოლის შენობა მარტო ღამით უნდა დაეკავებია ღამის გასათევად წვევამდელებს. ამის გაგონებაზე კორძახიამ გასცა განკარგულება ერთი კვირით სკოლაში მეცადინეობის შეწყვეტის შესახებ. ამ „მანიფესტმა“ მოწაფეებში დიდი კმაყოფილება გამოიწვია, მაგრამ არც თვით გამგე დარჩა უკმაყოფილო, რადგანაც იმავე საღამოს თბილისისაკენ მოკურცხლა. ადგილობრივი სკოლას ყავს დარაჯები, რომლებისათვისაც განათლების განყოფილება იძლევა სპეც-ტანსაცმელის შესაძენად განსაზღვრულ თანხას, კორძახიას დროს დარაჯებს სიზმარშიაც კი არ უნახავთ სპეცტანისამოსი.

კორძახიას, ალბად, იმიტომ ვერავინ უბედავს რასმე, რომ მას „ღმერთი სწყალობს“.

გასულ წლის ზაფხულში მარტყოფის მონასტერში მღვდლით იქორწინა. ასეთი გამგე ჩვენ საბჭოთა ახალ თაობას ვერ აღვზრდის.

სტელი.

ეს ხულიგნობაა

იკითხავთ ვინ ხულიგნობდა? ისეთი ხალხი, რომელიც თვით არის ვალდებული ხულიგნობას და ყოველივე ბოროტმოქმედებას ებრძოლოს. ესენი გახლავთ თბილისის მე-7 სამილ. რაიონის უფროსი მამალაძე, მისი თანაშემწე იორდანიშვილი, აგენტი და სხვა. ეს ხალხი ორ ოქტომბერს, ღამის ორ საათზე, შევიდა პლეხანოვის და ყორღესის ქუჩის კუთხეში სასადილო ლურჯ ფრინველში. დაიწყეს ღვინის სმა, როცა შეიქნა ღამის 3 საათი მიკიტანი მათ ეუბნება „ნება არა გვაქვს სამი საათის შემდეგ ვივაჭროთ, თქვენ გენაცვალეთ, საწყენად ნუ დაგრჩებათ, წაბრძანდით თუ ქეიფი გქვთო. მოქეიფეებს სულ სხვა ქეიფი ქონდათ. მათ იუკადრისეს მიკიტნის გაფრთხილება და დაუწყეს ლანძღვა-გინება მას. ჩვენ ვართ წესების დამცველი. ვინ რას გაბედავს აქ?

ვაგრძელდა სმა დილის ხუთ საათამდე, მაგრამ ჭირვეულობითა და ლანძღვა-გინებით.

მთვრალებმა სხვათა შორის, დაამტვრიეს ბოთლები. მიკიტანმა მათ მოსთხოვა ნახარჯი. ყმაწვილებს ფულის გადახდა დაეზარათ. ამაზე შეიქნა მეტი ყვირილი და ლანძღვა-გინება.

იქ მდგომი მოგუშავე მილიციელი ჩუბინაშვილი შევიდა სასადილოში, სადაც დაუხვდენ ზემოხსენებული პირები. რაშია საქმე? კითხულობს მილიციელი. მამალაძე ეუბნება, შენ შენი მოვალეობა კარგად გცოდნია, ისიც კარგად იცი ვინცა ვართ ჩვენ. წადი და მოახსენე შენს უფროსს, მეტი არაფერი.

მილიციელი მართლაც მიდის რაიონში და უამბობს ამის შესახებ მორიგე უფროს მილიციელს. მორიგე აგზავნის მილიციელებს, მაგრამ მათ მისვლამდე მოქეიფეები წავიდენ და რესტორანის პატრონს ნახარჯი სრულად მაინც არ გაუსწორეს. თან ეუბნებიან შენს „დუხს“ მოვსპობთ აქიდანო.

ასეთი მილიციის უფროსი არ ვარგა. მილიციის ასეთი შემარცხვენელ პირები უნდა გავაძეთ ჩვენს რიგებიდან.

მილიციელი.

უნდა გავაერთიანოთ

თბილისის მაზრის დაბ. ღაბულაღში არის ბავშთა ახალშენი, რომელიც თბილისის აღმასკომს ექვემდებარება, იქვეა განათლების სახკომის საბავშო სახლი. მათი ბინები დაშორებულია ერთი მეორესაგან 150—200 საჟენით. ბავშების ნაციონალური შემადგენლობა ერთი და იგივეა (სომხები და რუსები), (შტატიც ერთნაირია- გამგეები, მოადგილეები, მნე, აგრონომები, აღმზრდელები და სხვ.მხოლოდ იმ განსხვავებით, რომ პირველის შტატი აღემატება მეორეში მყოფ თანამშრომელთა რიცხვს რადგან ახალშენში 350 ბავშია. ხოლო სახლში 80.

ახალშენი ძლიერია, იქ მოწყობილია სხვადასხვა სახელოსნოები, არის სამეურნეო იარაღები, მათ შორის ტრაქტორიც. მის განკარგულებაში არის საკმაო სახნავ- სათიბი, საბოსტნე მიწები და სხვა. ასე, რომ ახალშენის ბავშები საერთო აღზრდის გარდა, სწავლობენ ხელობას და ეჩვევიან მეურნეობასაც.

სულ სხვა მდგომარეობაა საბავშო სახლში, რომელსაც არც სახნავ- სათიბი მიწა, სამეურნეო იარაღები და სახელოსნოები აქვს.

გარდა ამისა ტანსაცმელში და კვებაშიაც არის განსხვავება, მაგალითად სახლის ბავშები უკეთ არიან ჩაცმულნი, ვიდრე ახალშენის. ასეთი მდგომარეობა უსათუოდ შექმნის ბავშთა შორის ცუდ განწყობილებას.

როგორც ვიცით, ამ ორ დაწესებულებათა მიზანი ერთია, სახელდობრ: მისცეს სახელმწიფოს საღი თაობა. ამ ორ ერთნაირ დაწესებულებათა შორის არავითარი კავშირი არ არსებობს, თუ არ მივიღებთ მხედველობაში იმას, რომ ზოგჯერ ახალშენი აწვდის სახლს პურს. სახლში თავისებური რეჟიმია, რომელიც განსხვავდება ახალშენის რეჟიმისაგან. არ შეუდგები იმის განხილვას, ახალშენში, თუ საბავშო სახლშია უკეთ დაყენებული აღზრდის საკითხი: ეს უნდა იქნეს გამორკვეული სპეციალ. კომისიის მიერ. მე მხოლოდ მინდა აღვნიშნო, რომ ამ ორ ერთნაირ დაწესებულებათა გაერთიანება იქნებოდა მიზანშეწონილი ეკონომიური და აგრეთვე, ჩემის აზრით უმთავრესად ბავშთა აღზრდის საკითხის სწორედ დაყენების თვალსაზრისითაც.

ახალშენის შტატი შესდგება 55, ხოლო საბავშო სახლის—25 კაცისაგან. მათი გაერთიანებით ჩვენ მივიღებდით საგრძნობ ეკონომიას, რომლის გამოყენებაც შესაძლებელი იქნებოდა ამ დაწესებულების გაფართოებაზე და მისი მდგომარეობის გაუმჯობესებაზე.

საჭიროა ამ მდგომარეობას მიექცეს სათანადო ორგანოების ყურადღება.

ნ. ვ.

ის, ვისაც მუშები არ მოსწონს

(ახალ. სენაკი)

29 სექტემბერს საღამოთი ახალ სენაკის სადგურზე მფრინავი რაზმის უფროსმა ალექსანდრე (საშა) კახაძემ რამოდენიმე რკინის გზის მილიციელის დახმარებით დააპატიმრა საბარგო ვაგონებზე უბილეთოთ მიმავალი მგზავრები, რომელთა შორის ათამდე კერძო მოქალაქეები იყო და 25-30-მდე რკინის გზის მუშები.

აღნიშნული მუშები ბრუნდებოდნენ სახლებში სამუშაოებიდან. კახაძემ გადაარჩია „მოინტელიგენტო“ მოქალაქენი და საპატიმრო ვაგონში მოათავსა ისინი. მუშები კი შეშის საწყობში შეყარა. ვინ ასწავლა კახაძეს საზოგადოების ასეთი განხარისხება? როგორ ბედავს ასეთ თავხედობას საბჭოთა ხელისუფლების პირობებში?

როგორც დაპატიმრებულები, აგრეთვე იქვე მდგომი სხვა მუშები აღელვებული გაიძახოდნენ: „რკინის გზელებს ყოველთვის ქონდათ ნება მატარებელს გაყოლოდნენ სამუშაოდან სახლამდე, რაშია საქმე, რომ კახაძე თავის წესებს იგონებსო. სად გაგონილა ადამიანის ასეთ შენობაში დამწყვდევაო? მოსთხოვეს რკინის გზელები გაენთავისუფლებია, მაგრამ მან მორთო ყვირილი: დამეკარგეთ აქედან, თორემ თქვენც მაგათთან ჩაგყრითო.

ასე ექცეოდა ყველას, ვინც კი მიმართავდა მას თხოვნით, რომ მუშები გამოეყვანა გარედ ნაგვიან ფარდულიდან. რამოდენიმე საათის შემდეგ, როდესაც კახაძე კარგ გუნებაზე დადგა, მან ინება მუშების განთავისუფლება. განთავისუფლებულ მუშებს უკან მიაძახა: „მიფრთხილდით, მე კაძახე ვარ; ხელში თუ ჩამივარდით, არ გაგახარებთო“.

ს. მ.

რატომ სდუმს აღმასკომი?

(ყაზბეგის თემი, სოც. სნო)

ყაზბეგის თემის სოფ. სნოში არის ვაჭარი ვასო ხართიაშვილი, რომელიც ამ სოფლის მოსახლეობას ტყავს აძრობს. სოფელში კოოპერატივი არ არის და გლეხობა მის კლანჭებშია. ხართიაშვილი ორმაგად აფასებს ყველაფერს. თან სასმელებითაც ვაჭრობს, რისი ნებართვაც მას არა აქვს.

ყოველივე ამის გარდა, ვაჭარმა ხართიაშვილმა მიწის ყიდვა-გაყიდვაც დაიწყო. მას ქონდა სამოსახლო მიწა, რომელიც მიყიდა თავის ბიძაშვილებს. ამ მიწის გვერდზე მის მეზობელ გოგია შიოლაშვილს ქონდა მიწა. ხართიაშვილმა იმდენა ხერხი იხმარა, რომ შიოლაშვილს გამოსტყუა მიწა, რომელშიაც მისცა 300 მანეთი.

როდემდის უნდა ითარეშოს ასე დაუსჯელად ვაჭარმა. ამბობენ, აღმასკომის ხელმძღვანელებმა ყოველივე ეს იციან, მაგრამ თავი ისე უჭირავთ, თითქოს აქ არაფერია.

ჯოყო.

„ნათესავიზაციის“ სრულიად საკავშირო რეკორდი

(თბილისის მთავარი ტელეგრაფი)

არის საყოველთაოდ ცნობილი უდაო საზოგადოებრივი მორალი, რომელიც სათანადო სახელმწიფო დაწესებულების დადგენილებითაა დადასტურებული. ჩვენ ვლაპარაკობთ ისეთ შემთხვევაზე, როცა ერთსა და იმავე დაწესებულებაში ოჯახის რამდენიმე წევრი მსახურობს. თავისთავად იგულისხმება, რომ იმ დროს, როცა ჩვენ ბირჟაზე საკმაოზე მეტი გვყავს უმუშევრები, ფორმალურად და მორალურადაც დაუშვებელია, რომ ერთ და იმავე ოჯახიდან და ისიც ერთსა და იმავე დაწესებულებაში რამდენიმე პირი მუშაობდეს. ეს რომ გამოწვეული იყვეს საქმის ინტერესით, ე. ი. რომ ერთ და იმავე დაწესებულებაში მომუშავე ერთი ოჯახის წევრები იყვნენ რაიმე განსაკუთრებული სპეციალური ცოდნით აღჭურვილი, ამ შემთხვევაში ასეთ მდგომარეობას კიდევ გაამართლებდა კაცი. სინამდვილეში კი ძალიან ხშირად წინააღმდეგს ვხედავთ.

დაწესებულებაში ერთად მომუშავე ერთი და იმავე ოჯახის წევრები თითქმის ყოველთვის არავითარი განსაკუთრებული კვალიფიკაციის მქონე არ არიან. ისინი მოწყობილან სამუშაოზე ნათლიმამობით, ძმა-ბიჭობით და სხვა უკანონო გზით.

ნათესავების ერთად მუშაობის სენი საკმაოდ გავრცელებულია ჩვენს დაწესებულება - წარმოებებში. ამიტომ ჩვენ მიერ ქვემოდმოყვანილი მაგალითი გამონაკლისად, რა თქმა უნდა, არ ჩაითვლება. ის გამონაკლისია იმ მხრივ, რომ აქ დაწესებულების „ნათესავიზაცია“ უმაღლეს, სარეკორდო მწვერვალამდე არის აყვანილი. ვეჭვობთ, რომ ასეთ მიღწევებს ნათესავებისა და ცოლქმრების ერთ და იმავე დაწესებულებაში მოწყობის მხრივ მთელ საბჭოთა კავშირში სადმე კიდევ აქვს ადგილი. გადაუჭარბებლად შეიძლება ითქვას, რომ ამ შემთხვევაში ქვემოდდასახელებულ დაწესებულებას აღებული აქვს „ნათესავიზაციის“ სრულიად საკავშირო რეკორდი.

ჩვენ მოგახსენებთ თბილისის მთავარ ტელეგრაფის შესახებ. ძალიან საეჭვოა, რომ ამ პირთა შორის, რომელთაც ჩვენ ქვემოთ ვასახელებთ, ყველას იმდენად დიდი სპეციალობა ჰქონდეთ, რომ მათი შეცვლა უმუშევრებით საქმეს ზიანს მიაყენებს. აი, ეს პირნიც:

1. აზნაუროვი პავლე (ქმარი) მექანიკოსი და
2. აზნაუროვი ევგენია (ცოლი) დეპეშის განმანაწილებელი;
3. ბოში კარლო (ქმარი) მოანგარიშე და
4. ბოში ევგენია (ცოლი);
5. გუდკოვი ალექსანდრე (მამა) დირიჟორი;
6. ნერონი ლიუდმილა (გუდკოვის შვილი) ექსპედიტორის თანაშემწე;
7. გუდკოვი სერგო (შვილი) კონტროლი და
8. კარეტინა ნინო (სერგო გუდკოვის ცოლი) „ბოდისტკა“;
9. ჭახელიძე ალექსანდრე (ქმარი) მექანიკოსი და
10. ჭახელიძე ანა (ცოლი) „ბოდისტკა“;
11. სარქისოვი ვიქტორ (ქმარი) სამობილაშ. განყ. უფროსი და
12. პოზოვი ელენე (სარქისოვის ცოლი);
13. მჭედლიშვილი სიმონ (ქმარი) იუზისტი და
14. მჭედლიშვილი ეკატერინე (ცოლი) ბოდისტკა;
15. შილო ალექსანდრე (ქმარი) ბოდისტი და
16. შილო ნინო (ცოლი) ბოდისტკა;
17. გრიგორიანცი დერენიკი (ქმარი) და
18. ლარანტი ოლღა (ცოლი);
19. პეტროსიანცი მკრტიჩი (ქმარი) დირიჟორი და
20. პეტროსიანცი ოლღა (ცოლი) „კლოფერისტკა“;
21. მაზური იაკობ (ქმარი) რკ. გზის ფოსტის კანტ. და
22. მაზური ნინო (ცოლი) კონტროლი;
23. კალინინი ლეონიდა;
24. კალინინი ხამ. ცოლ-ქმარი;
25. სარაფ ასლანიანცი არტაშესი (ქმარი) რადიოკვანძი და
26. სარაფ-ასლანიანცი აზინა (ცოლი) რადიო-კვანძი;
27. სალუქვაძე მელენტი (ქმარი) ზედამხედველი და
28. სალუქვაძე ნინო (ცოლი) კლოფერისტკა;
29. ყიფიანი გური (ქმარი) და
30. სოხაძე ლიუბა (ყიფიანის ცოლი) ბოდისტკა;
31. შარაშენიძე (ქმარი) და
32. შარაშენიძე სოფიო (ცოლი) კლოფერისტკა...

ვფიქრობთ, აქ შეიძლება წერტილის დასმა. თბილისის მთავარ ტელეგრაფში გამეფებულ ნათლიმამობის სურათის გამოსამჟღავნებლად ესეც საკმარისია.

საყურადღებოა აქ ერთი მომენტი: სახელდობრ ის, თუ როგორი აზრისაა ამ საკითხის შესახებ თბილისის მთავარი ტელეგრაფის პარტუჯრედი და ადგილობრივი პროფესიონალური კომიტეტი. ამდენადვე აუცილებელია ადმინისტრაციის აზრის მოსმენა. რამ გამოიწვია ცოლ-ქმრებისა და ერთი ოჯახის წევრთა ასეთი მასიური შეჯგუფება მთავარ ტელეგრაფში? იქნებ ტელეგრაფის პროფესია ისეთი სპეციფიური თვისებისაა, რომ უთუოდ საჭიროა შტატი ცოლ-ქმრისაგან, მამაშვილისაგან და ძმებისაგან შესდგებოდეს?

ჩვენ კომპეტენტური არა ვართ ამ საკითხში. ჩვენ აღვნიშნავთ ამ ყოვლად წარმოუდგენელ ფაქტს, ჩვენ ვამბობთ, თბილისის მთავარი ტელეგრაფის დაწესებულება თითქმის ცოლ-ქმართა დაწესებულებას წარმოადგენს. ჩვენ გვსურს, რომ ეს ასე არ იყვეს, ჩვენ მოველით გაზეთის საშუალებით, სათანადო პასუხისმგებელ პირების დამაკმაყოფილებელ და არა ფორმალურ პასუხს.

მ. ხ—ლი.

ვინ თაღლითობს?

(ფ.-ტ. სამმართველოს საყურადღებოთ)

სადგურ ჯუმათიდან 26 სექტემბერს გავგზავნე ლიხაურის თემში ფული 20 მანეთი. მე ვარ მოსამსახურე, ჩემი ოჯახის ყოველდღიური მოთხოვნილების დაკმაყოფილება ფულზეა დამოკიდებული. გავიდა 15 დღე და სახლიდან მწერენ: „ვკვდებით შიმშილით, რას გვიშვრები“-ო? ლიხაურის ფოსტა-ტელეგრაფის სააგენტოს გამგეს 11 ოქტომბერს გამოუცხადებია ჩემი ოჯახის წევრებისათვის, რომ თქვენი ფული ფოსტაში მოსულიო.

ნუთუ ჯუმათიდან ლიხაურამდე 25 ვერსის მანძილზე გაგზავნილ ფულს უნდა დააგვიანდეს გზაში 15 დღეზე მეტი? ამ ხნის განმავლობაში კუს ნაბიჯით მთელს გურიას შემოივლიდა კაცი.

საინტერესოა მიაქცევს თუ არა ამას ყურადღებას ფოსტა-ტელეგრაფის სამმართველო. ასეთი შემთხვევები ერთი და ორი ხომ არ არის? ჩვენ ვფიქრობთ, რომ აქ მარტო დაუდევრობას არ უნდა ქონდეს ადგილი.

ალექსანდრე საჯაია.

ხელუხლებელი „აბლაკატი“

(რაჭა)

საქ. იუსტსახკომისარიატმა გასულ წელს ჩაატარა დამცველთა კოლეგიის წევრების გადასინჯვა, რის შემდეგაც კოლეგიაში თითქოს ადგილი აღარ უნდა ჰქონოდა საბჭოთა სასამართლოსათვის მიუღებელ ელემენტებს.

მიუხედავათ იმისა, რომ ამაზე ბევრი იწერებოდა ჩვენს პრესაში, ზოგიერთ ადგილებში სხვადასხვა მახინაციებით კიდევ შერჩენ ძველი მოსე მწერლები დამცველთა კოლეგიას. ამის თვალსაჩინო მაგალითს ჩვენ ვხედავთ ონის სასამართლოსთან არსებულ დამცველთა კოლეგიაში. ამ კოლეგიაში ირიცხება ერთი ძველი თავადი და მემამულე, მეფის დროის მოსე მწერალი და საბჭოთა სასამართლოსათვის ყოვლად მიუღებელი ელემენტი კონსტანტინე გიორგის ძე წულუკიძე. რაჭის თითქმის ყველა ორგანოები კატეგორიულად მოითხოვდნენ მის გამორიცხვას დამცველთა კოლეგიის შემადგენლობიდან. ამის შესახებ არა ერთხელ ეცნობა იუსტიციის კომისარიატს. მაგრამ წულუკიძემ მაინც მოახერხა დამცველთა კოლეგიის წევრად დარჩენა.

ამით წათამამებული ყოფილი თავადი განაგრძობს ხელისუფლებისა და საბჭოთა კანონიერების აბუჩად აგდებას.

ნათქვამის დასადასტურებლად მრავალი ფაქტები მოგვეპოვება.

რა უნდა მეფის გაუსწორებელ ჩინოვნიკს და ძველ ფეოდალს საბჭოთა სასამართლოში?

საჭიროა გამოირკვეს ვისი წყალობით ახერხებს წულუკიძე, წინააღმდეგ ადგილობრივი ორგანოების დადგენილებისა, განაგრძოს თავისი მუშაობა საბჭოთა სასამართლოში.

პირელი.

გამოძახილი

გლეხკორის ხმამ გასჭრა

„კომუნისტი-“ს № 180-ში მოთავსებულ წერილზე, სათაურით: ზედასიმონეთის მოღვაწენი“, ამით გაცნობებთ, რომ სკოლის გამგე ლომთაძე ჩამოყენებულია მასწავლებლად, თემში შენდება ახალი სკოლა. რობაქიძის ქალი დათხოვნილია პედაგოგიურ საბჭოს მიერ.

რაც შეეხება თემალმასკომის თავმჯდომარეს, ის უკვე მოხსნილია თანამდებობიდან.

წერილში აღნიშნულ დანარჩენ პირების მიმართაც მიღებულია შესაფერი ზომები.

ქუთ. სამალმასკომის თავმჯდომარის მოადგილე.

ნ. კაკაბაძე.

დამნაშავეთა საქმე გადაეცა პროკურორს

გაზეთ „კომუნისტი“-ს ა. წ. 14 აგვისტოს ნომერში მოთავსებული იყო წერილი სათაურით: „ისევ განაგრძობენ“ (სოფ. ვანი, გურია). წერილში მოყვანილი ფაქტები მახარაძეების მიერ მიწის ყიდვა-გაყიდვის შესახებ მოხდენილ კვლევა-ძიებით სავსებით დადასტურდა. დამნაშავეთა პასუხისგებაში მისაცემად საქმე გადაეგზავნა ოზურგეთის მაზრის პროკურორს.

მაზრის მილიციის უფროსის მაგიერ

პ. ზოგუაძე.

კორესპონდენციის მითითება შესრულებულია

გაზ. „კომუნისტი“-ს ა. წ. 5 აგვისტოს № 180 მოთავსებული იყო წერილი სათაურით „პროტექციონიზმი და ბიუროკრატიზმის ერთი მაგალითი“, რომელიც შეეხება სტატისტიკის სამმართველოს საალწერო განყოფილების გამგეს მ. ს. ყოჩიაშვილს. სტატისტიკის სამმართველომ თავის დროზე მიიღო საჭირო ზომები წერილში აღნიშნულ ფაქტების შესახებ და მისცა თანამშრომლებს ფარიშვილს და თალაკვაძეს კუთვნილი შვებულება, ხოლო შრომის ბირჟის გარეშე მოწვეული თანამშრომელი თოთიბაძე მოხსნილ იქნა სამუშაოდან.

საქ. სტატ. ცენტრ. სამმართველო.

საბჭოთა საქართველო

წერილები

მეტი ყურადღება კულტურულ-განმანათლებელ მუშაობას

საქართველოს მშრომელი მოსახლეობის კულტურული დონე ყველგან თანაბარი როდია. თუ დასავლეთ საქართველოში გლეხობის დიდი უმრავლესობა წერა-კითხვის მცოდნეა, სამაგიეროდ აღმოსავლეთ საქართველოში და კერძოდ ეროვნულ უმცირესობებით დასახლებულ მაზრებში, სულ სხვა სურათს ვხედავთ. აქ გლეხობის უმრავლესობა წერა-კითხვის უცოდინარია, მისი კულტურული დონე გაცილებით დაბლა სდგას დასავლეთ საქართველოს გლეხობაზე. განსაკუთრებით ეს შეიძლება ითქვას ახალციხის, ახალქალაქის, ბორჩალოს, ყოფ. დუშეთის, სამხრეთ-ოსეთის და ნაწილობრივ კახეთის მაზრის განაპირა კუთხეებზე. ამ მაზრებში წერა-კითხვის უცოდინარობასთან ერთად საკმაოდ აქვს ფესვები გადგმული ცრუმორწმუნეობასაც.

ქვემოდ ჩვენ ვათავსებთ წერილს ბორჩალოს მაზრის ერთ-ერთ სოფლიდან, სადაც გლეხობის ჩამორჩენილობით, მათი უვიცობით, ჯერ კიდევ ფართოდ სარგებლობენ მოლები და ყოფილი მემამულეები. ამ ანტისაბჭოთა ელემენტების გავლენა იმდენად დიდია, რომ გლეხობა — კორესპონდენტის გადმოცემით,—სკოლის შენობის მაგიერ აშენებს მეჩეთს. კიდევ მეტი: ხსენებულ სოფლის ღარიბ გლეხობას არც კი ესმით საბჭოთა ხელისუფლების პრინციპები მშრომელი მოსახლეობის ინტერესების დაცვის საქმეში.

ყველაფერი ეს გამოწვეულია მშრომელი გლეხობის ჩამორჩენილობით. ასეთი მდგომარეობა მარტო ბორჩალოს მაზრის სოფლებში კი არ არის, არამედ მას ვხვდებით სხვაგანაც.

სწორედ ამიტომ იყო, ცეკას უკანასკნელ პლენუმმა განსაკუთრებული ყურადღება მიაქცია ასეთ ჩამორჩენილ კუთხეებს. მან დაავალა განათლების კომისარიატს და პოლიტგანმანათლებელ ორგანოებს, ამიერიდან გაცილებით უფრო მეტი თანხები იქნას გადადებული ნაციონალურ უმცირესობებით დასახლებულ და კულტურულად ჩამორჩენილ მაზრებში სკოლებისა და სამკითხველოების რიცხვის გასამრავლებლად. პარტიისა და ხელისუფლების ხაზი იქითკენ არის მიმართული, რომ ამ ჩამორჩენილ კუთხეების კულტურული წინსვლა ხდებოდეს გაცილებით უფრო ჩქარი ტემპით, ვინემ დღემდის. ამ მაზრების მშრომელი მოსახლეობა კულტურულად უნდა დაეწიოს დანარჩენი, კულტურულად უფრო მაღლა მდგომ მშრომელ მოსახლეობის დონეს.

მხოლოდ ამის შემდეგ იქნება შესაძლებელი, რომ მშრომელმა გლეხობამ თავი დააღწიოს ცრუმორწმუნეობას, ანტისაბჭოთა ელემენტების გავლენას და მტკიცედ მოკიდოს ხელი მეურნეობის სოციალისტურად გარდაქმნის საქმეს.

ამ ამოცანის განხორციელებაში ხელისუფლებას უნდა დაეხმაროს ყველა საბჭოთა, პროფესიონალური, პარტიული და საზოგადოებრივი ორგანიზაციები.

ლი.

მიხედეთ ჩამორჩენილ კუთხეს

ს. ყიზილაჯილო, ბორჩალოს მაზრა.

სოფ. კიზილაჯილო დასახლებულია თათრებით, რომელთა ზნე-ჩვეულება და ყოფა-ცხოვრება არ განსხვავდება დანარჩენ მუსულმანებიდან. აქ იმდენად მოისუსტებს კულტურულ-პოლიტიკური მუშაობა, რომ გლეხობის უმრავლესობამ არც კი იცის, თუ ვის ინტერესებს იცავს საბჭოთა ხელისუფლება. მოლების გავლენა იმდენად დიდია, რომ გლეხობა, ნაცვლად იმისა, რომ სკოლის შენობა ააგოს და თავის შვილებს სწავლა-განათლება მიაღებინოს, მეჩეთს აშენებენ, რომელიც უჯდებათ რამოდენიმე ათასი მანეთი. სამკითხველო სოფელში არსებობს, მაგრამ მასში არავინ დადის. სოფლის ახალგაზრდობა მხოლოდ ლაზღანდარობაში ატარებს დროს. კულაკები ღარიბ გლეხებს სჩაგრავენ მოლების ზეგავლენით და ამას ადგილობრივი საბჭო ნაკლებ ყურადღებას აქცევს. ხელისუფლების კანონები სათანადოდ ვერ ტარდება. საბჭოში კიდევ შედიან კულაკური ელემენტები. მილიციის უფროსი ლოთობაში ატარებს დროს და გლეხობის მოთხოვნილების დაკმაყოფილებისათვის არ ზრუნავს. გლეხობის დიდი უმრავლესობა წერა-კითხვის უცოდინარია, რომლის აღმოსაფხვრელად თავს არავინ იწუხებს.

საერთოდ უნდა აღინიშნოს, რომ ს. კიზილაჯილოს გლეხობა ყოველგვარ კულტურულ განმანათლებელ მუშაობას ჩამოშორებულია, რასაც პარტიული და საბჭოთა ორგანიზაციებმა დროზე უნდა მიაქციონ ყურადღება და დაიცვან ღარიბი გლეხების ინტერესები.

ოკ—ლი.

აღმშენებლობა გაცხოველდა

ლანჩხუთის თემი, გურია

ლანჩხუთის თემი ეკონომიურად და კულტურულად ერთ-ერთ მძლავრ თემად ითვლება გურიაში. თუმცა უნდა აღინიშნოს, რომ ამ ოთხი წლის განმავლობაში აღმშენებლობითი მუშაობა სუსტად სწარმოებდა.

მიმდინარე წელში, სულ მოკლე ხნის განმავლობაში ლანჩხუთის თემს უკვე დაეტყო აღორძინების ელფერი. შეკეთებულ იქნა თეატრის საზაფხულო შენობა, რომელიც თემს გამოადგება ზამთარშიაც. მოწვეულია გამოცდილი სცენის მუშაკი, რომელიც უხელმძღვანელებს სათეატრო საქმეს. უკვე შეუდგა მუშაობას დრამწრე, შეკეთებულ იქნა სასულე ორკესტრი. შეკეთებულია ლანჩხუთის საავადმყოფოს შენობა, რომელიც დღეიდან სავსებით დააკმაყოფილებს ადგილობრივ მოთხოვნილებას. დღემდე ლანჩხუთს არ ყავდა კბილის ექიმი, ჯანმრთელობის კომისარმა ამხ. კუჭაიძემ მიაქცია რა ამას ჯეროვანი ყურადღება, გადმოსცა ლანჩხუთის საავადმყოფოს კბილის საექიმო იარაღები და ამ მოკლე ხანში მოწვეული იქნება კბილის ექიმი. მიღებულია ზომები გზების შესაკეთებლადაც.

აღმასკომმა მიზნად დაისახა მექანიკური აგურხანის აგება. ამ მიზნით გადადგმულია სათანადო ნაბიჯები. საჭიროა ამ საქმეში უმაღლესმა ორგანოებმა გაუწიონ დახმარება, რაც პირველ ყოვლისა უნდა გამოიხატოს გრძელვადიან სესხის მიწოდებაში. ზემოხსენებული მუშაობის სასურველად ჩატარება უნდა მიეწეროს პარტიულ კომიტეტის, აღმასკომის და მილიციის ენერგიულ და კონტაქტიურ მუშაობას, რასაც გასულში ადგილი არ ქონდა.

ლანჩხუთს აქვს ერთი დიდი ნაკლი, რაც გამოიხატება შემდეგში. 1921 წელში დაწყებული სახალხო სახლის შენობა დღემდე ვერ იქნა დამთავრებული. საამისოთ უკვე შეგროვილია თანხა — 20.000 მანეთის რაოდენობით. საამშენებლო კომისიის დაუღალავმა მუშაობამ მოგვცა ნაწილი სახლისათვის საჭირო ხე-ტყე. ყველაფერი ეს იმედს იძლევა, რომ ზემოხსენებული პირები მაზრის ხელმძღვანელ ამხანაგების დახმარებით მოკლე ხანში შესძლებენ დაწყებულ საქმის დამთავრებას.

ადგილობრივი.

სენი აგვაცილეთ

(ს. კასპი, გორის მაზრა)

სოფ. კასპი 500 კომლ მცხოვრებელს აერთიანებს. გარდა ამისა, აქ შენდება ცემენტის ქარხანა, რომელშიაც გაცხოველებული მუშაობა სწარმოებს და მუშებიც ბლომათაა. ამის გამო კერძო ვაჭრები და გლეხები ხშირად კლავენ საქონელს, რომელსაც ასაღებენ ადგილობრივ. ხორცს ყიდიან ექიმის შეუმოწმებლად, მიუხედავად იმისა, რომ აქ არსებობს საექიმო პუნქტი და არიან სპეციალისტი ექიმებიც. ხშირია შემთხვევა, როცა დასაკლავი საქონელი ავადმყოფია და ხალხს სენი უჩნდება. აი მაგალითიც: ამას წინად გლეხმა სოლო ფარეგუზაშვილმა დაკლა ძროხა და გაყიდა მეზობლებში. შემდეგ გამოირკვა, რომ ხორცი „ყვავილით“ ავადმყოფი იყო და სენი რამდენიმე ოჯახს გადაედო.

ამიტომ საჭიროა დაკლული ხორცი უსათუოდ შემოწმდეს სპეციალისტების მიერ.

შ. შაველაშვილი.

წერილებიდან

ყაზბეგის თემი, (თბ. მაზრა). 5 ოქტომბერს მოსულ თოვლმა საგრძნობი ზიანი მიაყენა მინდვრად მოსამკელ ყანებს. ამასთანავე ყიზლიარის ოლქისაკენ გამგზავრებული ცხვრის ფარას და მეცხვარეებს დიდის გაჭირვებით უხდებათ ღრმა თოვლში გზის გაკვლევა. არის შემთხვევები ცხვრის ნაწილობრივი დაზარალებისაც.

მეცხვარე.

ბორჯომი. ბორჯომში წითელი სასადილოს უქონლობის გამო, მუშები იძულებულია კერძო სასადილოებში ისადილონ და ორმაგი ფასები გადაიხადონ. ნუ თუ ადგილობრივ კოოპერატივის გამგეობას ერთხელაც არ მოუვიდა აზრად გაეხსნა კოოპერატიული სასადილო?

პალიკო.

მამათის თემი (გურია). თემში დიდი ხანია გვქონდა საექიმო პუნქტი და გვყავდა ექიმის თანაშემწე ი. ხარაიშვილი, რომელიც პირნათლად ასრულებდა თავის მოვალეობას. მისი წასვლის შემდეგ მოსახლეობა ცუდ პირობებშია. რვა-ათი კილომეტრიდან ექიმის მოყვანას გლეხობა ვერ შესძლებს. ამიტომ საჭიროა სამაზრო ჯანმრთელობის განყოფილებამ ამ გარემოებას მიაქციოს ყურადღება.

გრ. ხელაძე.

ნოქალაქევი (სენ. მაზრა). ადგილობრივი სამკითხველოს გამგე პ. ზარქუა თავის მოვალეობას არ ასრულებს. სამკითხველო ხშირად დაკეტილია. წრეების მუშაობა არ სწარმოებს. საჭიროა არა მოხეტიალე, არამედ საქმის მოყვარული გამგის მოწვევა.

მეხი.

მუშათა ცხოვრება

ნედლი მასალა მიზანშეწონილად გამოვიყენოთ

ნედლი მასალის მიზანშეწონილად გამოყენება მთავარი საშუალებაა წარმოებაში შრომის ნაყოფიერების ასაწევად, ზედმეტი ხარჯების მოსასპობად და საერთოდ წარმოების ასაღორძინებლად. ადგილობრივი საწარმოო თათბირები ამ საკითხს განსაკუთრებულ ყურადღებას უნდა აქცევდენ და კონტროლს უნდა უწევდენ ნედლი მასალის გამოყენების საქმეს. ეს ასეც ხდება. საწარმოო თათბირების მუშაობა ბევრ ადგილას უმთავრესად ამ საკითხზეა დამყარებული, მაგრამ ბევრგან კი ძალიან ნაკლები ყურადღება ექცევა.

მარტო ის კი არ არის საქმე, რომ წარმოება და თითეული მუშა უზრუნველჰყო ნედლი მასალით, რათა დროზე დამზადდეს შეკვეთა, არამედ საქმე ის არის თვალყური ადევნო ამ მასალის დამუშავებას და მიიღო ყოველგვარი ზომები მის მიზანშეწონილად და ნაყოფიერად გამოსაყენებლად. ამით ჩვენ არ გვინდა ვთქვათ, რომ თითქოს წარმოებებში ადგილი ჰქონდეს ნედლი მასალის გაფლანგვას და მის ბოროტად გამოყენებას, მაგრამ არის შემთხვევები, როდესაც ნედლი მასალა კი არ იფლანგება უყურადღებობით, არამედ მუშავდება არა რაციონალურად, უგეგმოთ. ეს ითქმის განსაკუთრებით ლითონის დამამუშავებელ წარმოებებზე, სადაც შეუძლებელია ნედლი მასალის ისე დამუშავება, რომ არ დარჩეს რაიმე გამოსადეგი ნაწილი ამ მასალის. მაგალითად დასამზადებელია რომელიმე ხელსაწყო იარაღი, თუნდაც ურო; ამ იარაღს ისე ვერ დაამზადებს ხელოსანი, რომ სანამ გამოიყვანდეს, არ ჩამოაჭრას ნედლ მასალას რაიმე ნაწილი. და აი ეს ნედლი მასალიდან ჩამონაჭერი, რომლის გამოყენებაც არამც თუ შეიძლება, არამედ აუცილებელიც არის, ხშირად უყურადღებობის გამო, იყრება ნაგავში, ან ე. წ. „ხარახურაში“, რომელიც გადასაყრელად გროვდება.

რომ შეიაროთ მთავარ სახელოსნოებში, თითქმის ყოველ ფეხის ნაბიჯზე შეხვდებით ასეთ ჩამონაჭრებს, ან ორთქლმავლებისა და ვაგონების რომელიმე ნაწილს, რომლებიც ყრია უყურადღებოთ ღია ცის ქვეშ და ჟანგდება. განსაკუთრებით სამჭედლო საამქროს წინ მთელი მთაა დადგმული ასეთ მასალებიდან. ამასვე შეხვდებით ლითონის სხვა წარმოებაშიც.

საწარმოო თათბირის მთავარი ამოცანაა მეტი ყურადღება მიაქციოს ნედლი მასალის მიზანშეწონილად დამუშავების საქმეს.

მელითონე.

მეტი ყურადღება მასიურ გამოკვლევებს

ახლოვდება საბჭოების ხელახალი არჩევნები. ამ უდიდეს კამპანიის მოლოდინში და საარჩევნო მუშაობის სამზადისის პერიოდში საჭიროა აგრეთვე სექციების მასიური მუშაობის ხასიათის შესწავლა და გათვალისწინება.

თბილისის საბჭო, სექციების საშუალებით მასიურ მუშაობას აწარმოებს. ამ მხრივ დიდი მნიშვნელობა აქვს მასიურ გამოკვლევებს, რომელიც გულისხმობს ჩვენი წარმოება-დაწესებულებების, ბაზრის მდგომარეობის, მრეწველობის, საბინაო მშენებლობისა და სხვა მნიშვნელოვან ორგანოების მუშაობის შესწავლას.

საბჭოს სექციები უკვე შეუდგენ ამ მუშაობას. კომუნალური სექცია ამ ჟამად ინტენსიურ მუშაობას აწარმოებს სექციის სხვადა სხვა კომისიებს შორის და ახლო მომავალში გადავა სამრეწველო წარმოებათა მასიურ გამოკვლევებზე.

სავაჭრო-კოოპერატიულმა სექციამ უკვე მოახდინა ბაზრის მდგომარეობის გამოკვლევა, ხოლო ამ ჟამად აწარმოებს სამზადისს კოოპერატიულ სავაჭრო წერტების გამოსაკვლევად. ამ გამოკვლევის ჩასატარებლად, გარდა კოოპერატიულ სექციის წევრებისა გამოყოფილი არიან აგრეთვე საბჭოს სხვა სექციების წევრები და მიმაგრებული აქტივი.

გამოკვლევაში ჩაბმულია საბჭოს 150-მდე წევრი, რომლებიც ერთდროულად შეუდგება დაკისრებული მოვალეობის შესრულებას.

ამ გამოკვლევამ უნდა გამოარკვიოს ის, თუ რამდენად აკმაყოფილებს ამა თუ იმ რაიონის კოოპერატიული სავაჭრო წერტილები მოსახლეობის მოთხოვნილებას პირველ საჭიროების საგნებით, რა როლს თამაშობს კოოპერაცია საქონლის საერთო ბრუნვაში, როგორ არის დაყენებული კოოპერატიულ სავაჭროებში სანიტარული დაცვის პირობები და სხვა. ყოველივე ეს ნათელ წარმოდგენას მოგვცემს კოოპერაციის სამოქმედო ასპარეზის შესახებ და შესაფერისს შინაარს მისცემს იმ მშრალ ციფრებს, რომლითაც ვსარგებლობთ ხოლმე სტატისტიკურ გამოკვლევის დროს.

საბჭოს სექციის მომავალ მუშაობაში განსაკუთრებული ყურადღება უნდა მიექცეს ფართო მასიურ გამოკვლევებს.

ჯაფარ-ფაშა.

მოჯამაგირეთა შორის მუშაობა ქუთაისის მაზრაში

მიწა-ტყის კავშირის ქუთაისის სამაზრო განყოფილება, დღიდან მისი გადახალისებისა, ენერგიულ მუშაობას აწარმოებს ქუთაისის მაზრის მოჯამაგირეებში. მან გამოიმუშავა ახალი გეგმა მოჯამაგირეთა შორის მუშაობისა, რომლის ძალით ნაცვლად მოჯამაგირეთა შორის მომუშავესა, მოჯამაგირეებში მუშაობას აწარმოებენ მოჯამაგირეთა კომიტეტები. ამ კომიტეტში შედიან, როგორც თვით მოჯამაგირეები, ისე თემის ა. ლ. კ. კ-ს მიერ გამოყოფილი მომუშავე კომკავშირელებიც. ამ გეგმით მოჯამაგირეობა ჩაებმება პროფესიონალურ მუშაობაში.

ამის გარდა კავშირის სამაზრო განყოფილება აწარმოებს წერილობით მიწერ-მოწერას მოჯამაგირეთა კომიტეტებთან და მოჯამაგირე მომუშავეებთან. ასეთი კავშირის დაჭერამ სასურველი შედეგები გამოიღო. კავშირმა შესძლო მოჯამაგირეების ახალი აღრიცხვის ჩატარება. პირველ აგვისტოსათვის აღრიცხულია სულ 627 მოჯამაგირე.

ინდივიდუალური შრომის ხელშეკრულება დადებულია 520 მოჯამაგირეზე. დაიარჩენებზეც მოკლე ხნის განმავლობაში დაიდება. წარსულ წელში მოჯამაგირის ხელფასი იყო 11 მან. 25 კაპ. სმა-ჭამის, ბინის და ტანსაცმელის ღირებულების ჩათვლით კი 18 მ. 50 კ. ახალი ხელშეკრულების დადების შემდეგ წმინდა ხელფასი უდრის 17 მ. 50 კ. სმა-ჭამით—23 მან. 50 კაპ. მოჯამაგირეების დაზღვევა დამქირავებლის ხარჯზეა. ხელშეკრულებაში შეტანილია 8—10 საათის სამუშაო დღე სეზონის მიხედვით. მხოლოდ საშუალოდ დღიური მუშაობა არ უნდა აღემატებოდეს 8 საათს. ამ ნიადაგზე ხშირია უთანხმოება დამქირავებელსა და დაქირავებულს შორის. მაგრამ კონფლიქტები წყდება უმთავრესად მოჯამაგირეთა სასარგებლოდ.

კულტურული მუშაობაც მოჯამაგირეებში სასურველ დონეზეა დაყენებული. მოჯამაგირეები ჩაბმულნი არიან საბჭოებში, გლეხკომებში და სხვ. ეწყობა კინო-სურათები. კავშირის ხარჯზე გაგზავნილია ერთი მოჯამაგირე მუშფაკში სასწავლებლად. ტარდება სხვადასხვა საუბრები მოჯამაგირეებში და სხვ.

ასეთია ქუთაისის მიწა-ტყის კავშირის სამაზრო განყოფილების მოჯამაგირეთა შორის მუშაობა. იმედია მომავალში უფრო გაცხოველდება ეს მუშაობა.

ივანე ბუხაიძე.

საქმის „მცოდნე“ მდივანი

(წერილი ჭიათურიდან)

შორაპნის მაზრის დამზღვევი სალაროს მდივნად ითვლება გრიგოლ გუნიავა. ამ კაცმა როგორღაც დაიმსახურა ადმინისტრაციის თვალში „საქმის მცოდნე“ მდივნის სახელი და ისე განაგებს საქმეს, როგორც მას მოეპრიანება. ნამდვილად კი მოქ. გუნიავას საქმის მცოდნეობის არაფერი ეტყობა. პირიქით იგი ნამდვილი ძველი დროის ჩინოვნიკი და ბიუროკრატია.

აი ამის მაგალითები: გასული წლის დეკემბერს დ-სალაროს საექიმო-საკონტროლო კომისიამ ავადმყოფობის გამო პენსიონერად ჩარიცხა მუშა მიხეილ გამყრელიძე. გამყრელიძემ მეორე დღესვე შეიარა დ-სალაროს მდივანთან და ჰკითხა თუ როგორ იყო მისი საქმე, რას ნიშნავს პენსიონერობა, ან რა უფლებით სარგებლობს იგი და სხვა. იმის მაგიერ, რომ გუნიავას განემარტა ავადმყოფ მუშისათვის, მან ყვირილით მიმართა: „მე ვერ შეგაგნებინებთ რას ნიშნავს პენსიონერიო“ და სხვ. ამრიგად უკმაყოფილებით სავსე გამყრელიძე ბრუნდება უკან პასუხის მიუღებლად. ასეთი შემთხვევები ძალიან ხშირია. გარდა ამისა, გუნიავა სულ უბრალო საქმისათვის ტელეფონოგრამას აძლევს ერთი ოთახიდან მეორე ოთახში კავშირების ადგილკომებს. ადგილკომები სთხოვენ მას, რომ არ არის საჭირო ვინც და მაინც ტელეფონოგრამები რადგან უამისოდაც შეიძლება მიღებულ იქნეს ეს დავალება, მაგრამ გუნიავა ჯიუტობს და რამოდენიმე საათით აცდენს კავშირის მუშაკებს და თითონაც ცდება.

რა საჭიროა ტელეფონოგრამა, სადაც პირადი ლაპარაკით შეიძლება გაკეთდეს ესა თუ ის საქმე. გუნიავას ბიუროკრატობას ისიც კი ამტკიცებს, რომ დამზღვევ სალაროში შემოსულ ქაღალდს ხშირად ორი თვე ვერ ეღირსება ის თანამშრომელი, რომელსაც ეს ქაღალდი ეკუთვნის. ვინ მოსთვლის რამდენი შემთხვევაა ისეთი, რომ საჭირო ქაღალდები სრულიად იკარგება. ასეთ მახინჯ თვისებებთან ერთად გუნიავა ცოტა არ იყოს დამზღვევი სალაროს თანხებს ხელგაშლილად იყენებს, ვისაც სურს მას მისცემს დახმარებას, თუნდაც მრეწველი და ვაჭარი იყოს.

გუნიავას წყალობით უმუშევრებისათვის დახმარება დაენიშნა სააქციო საზოგადოება „ქართ. მარგანეცი“-ს ერთ-ერთ თანამშრომელს მოქ. ფირჩხს, რომელსაც თითონ ჰყავს დაქირავებული თავის შინა მოსამსახურეები. მიუხედავათ მრავალი საჩივრებისა, იმის შესახებ, რომ მოქ. ფირჩხი შეძლებული პიროვნებაა და მას ჰყავს რამდენიმე შინა-მოსამსახურე, გუნიავა ამას ყურადღებას არ აქცევს.

ასე ეხმარება „საქმის მცოდნე“ გუნიავა „საწყალ“ ფირჩხს.

ნუ თუ მოქ. გუნიავაზე უკეთესი საქმის მცოდნე არ მოიპოვება.

ქ. ღვალაძე.

თათბირი ენის სიწმინდის შესახებ

სატერმინოლოგიო კომიტეტის სხდომა

გუშინ, საქ. ცაკ-ში ამხ. ფილიპე მახარაძის თავმჯდომარეობით შესდგა სატერმინოლოგიო კომიტეტის მორიგი სხდომა, რომელსაც დაესწრო ახლად არჩეული წევრებიც.

ამხ. ფილიპე მახარაძის სიტყვა

ამხ. ფილიპე მახარაძემ თავის სიტყვის შესავალში ახლად მოწვეულ წევრებს გააცნო კომიტეტის მიზანი და დანიშნულება და შემდეგ შეეხო ქართული ენის ზედმეტ, დამახინჯებულ სიტყვებისაგან გაწმენდის საკითხს.

დღევანდელი სამწერლო ენა—განაცხადა ამხ. ფ. მახარაძემ,—შებღალულია. ჩვენი გაზეთები, ჟურნალები და წიგნები, სავსეა დამახინჯებული სიტყვებით, გამოთქმებით უკარგავს ნამდვილ აზრს და ფონეტიურ ბუნებრივ სილამაზეს. ბეჭდვითი სიტყვის გამოცემებში ხშირად რუსულიდან თარგმნილი მასალები გადმოცემულია სიტყვა-სიტყვით, რის გამო არა თუ ჰირს წინადადების წაკითხვა, არამედ ხშირად მისი აზრის გაგებაც შეუძლებელი ხდება.

გარდა ამისა მრავალი ისეთი უცხო სიტყვები იხმარება, რომელთა სანაცვლო მოიპოვება ქართულ ენაში და ხალხშიაც გავრცელებულია. ამავე დროს კი ზოგიერთ უცხო სიტყვების მაგიერ, რომლებიც უკვე იხმარება ხალხში და რომელთა შინაარსის გამომხატველი სხვა სიტყვა არ მოიპოვება ქართულში, ხელოვნურათ იგონებენ ახალ სიტყვებს.

ასეთი გამოგონებული სიტყვები ხშირია ჩვენს გამოცემებში. საკითხავია ვისთვისაა, ან რისთვისაა საჭირო ისეთი სიტყვების გამოგონება, რომლებიც ყურსაც ეხამუშება და არც მკითხველთა უმრავლესობას ესმის.

მაგალითად, გამოიგონეს პარკის მაგიერ **ფარეხი**, ვაგონის მაგიერ **როწოდა**, რელსების ნაცვლად **როწები** და სხვ.

სიტყვა არტელის სანაცვლოდ შემოიღეს **ნადი**. ნადი დასავლეთ საქართველოში კი იმავე შინაარსის სიტყვა—**მამითადი** აღმოსავლეთ საქართველოში, იხმარება სულ სხვა მნიშვნელობით და სრულებით არ შეეფერება **არტელის** შინაარს.

აგრეთვე გამოიგონეს პუნქტის მაგიერ **წერტი**, სამხედრო ორკესტრის ნაცვლად, **სასულე** ორკესტრი და სხვ. ასეთი გამოგონებული სიტყვების მოყვანა შეიძლება დაუსრულებლივ.

ამ გამოგონებულ სიტყვებს გარდა გაზეთებში შეხვდებით, რუსიციზმებს და ისეთ გამოთქმებს, როგორიცაა „**კიშკის ქარხანა**“, „საქართველოს **ფასიან** მომუშავე ქალთა ორგანიზატორების პირველი თათბირი“ და სხვ.

სატერმინოლოგიო კომიტეტის მოვალეობას შეადგენს მიიღოს ზომები ენის ასეთ აღრევის წინააღმდეგ და შესაძლებელი გახადოს მისი ერთ მთლიან ფორმაში ჩამოყალიბება.

კამათი

ამხ. ფილიპე მახარაძის სიტყვის გარშემო გაიმართა აზრთა გაცვლა-გამოცვლა.

ლ. მეტრეველი აღნიშნავს, რომ დახახინჯებულ სიტყვების ხმარებასთან განდევნასთან ერთად საჭიროა ყურადღება მიექცეს წინადადების დალაგებას და მის სუფთათ გამოთქმას.

ქართული ენის დახვეწა და განთავისუფლება ყოველგ უხეშ და უვარგის სიტყვებისაგან შესაძლებელი გახდება მხოლოდ ტერმინოლოგის გამომუშავების შემდეგ. მანამ კი საჭიროა თავიდან ავიცილოთ გამოთქმის ისეთი უდაო დამახინჯებანი, რომლებსაც ადგილი აქვს დღეს ქართულ გამოცემებში.

მიხ. ჯავახიშვილი ამბობს რომ ქართული ენის დამახინჯებას ხელს უწყობს უხეირო თარგმანები. ამაში ბრალი მიუძღვით ჩვენს საგამომცემლო ორგანოებს, კერძოთ სახელგამს, რომელიც ამა თუ იმ წიგნის და მასალის თარგმნას ავალებს ქართული ენის უცოდინარებს და უვიცებს, იმ დროს, როცა გამოცდილ მთარგმნელებს და ლიტერატორებს ცუდათ უხდებათ ყოფნა.

გ. ქიქოძე აღნიშნავს, რომ ქართულ ენაში ასეთი დამახინჯებული სიტყვებისა და გამოთქმების ხმარება გამოწვეულია ქართულ ენის ერთიანი ფორმის უქონლობის გამო, ქართული მართლწერა დამოკიდებულია პირად გემოვნებაზე და შეხედულებაზე.

რაც შეეხება გაზეთებს, როგორც ვიცით რედაქციებში შექმნილ ობიექტიურ პირობების და გარემოების გამო შეუძლებელი ხდება მთელი ყურადღება მიაქციონ ენის სისუფთავეს.

საერთოდ ქართული ენის ჩამოყალიბება დამოკიდებულია ტერმინოლოგიის შექმნაზე რისთვისაც საჭიროა ამ მხრივ მუშაობის გაძლიერება.

მარიამ ორახელაშვილი ამბობს, რომ ქართული ენა ამჟამად ერთგვარ ცვლილებას და განახლებას განიცდის. თანამედროვე ცხოვრებას ენაშიაც შეაქვს მრავალი ცვლილებანი და საკუთარ განვითარების გზას აძლევს მას. ამ პროცესიდან ჩვენ უნდა შევინარჩუნოთ ის, რაც კარგი იქნებოდა ენის სისუფთავისათვის დასაცავად.

აკაკი შუღნია ასახელებს საგაზეთო მუშაობის პრაქტიკიდან ენის დამახინჯების რამდენიმე დამახასიათებელ მაგალითს. ის აღნიშნავს, რომ გაზეთების წინაშე სდგას არა მარტო ტერმინოლოგიის, არამედ ენის ფორმების დაკანონების საკითხიც. სწერენ: „სჭამენ“ და „ჭამენ“, „წავიდნენ“ და „წავიდენ“, „წრევანდელი“ და „წლევანდელი“, მიწათმოწყობა“ და „მიწადმოწყობა“ „ეხლა“ და „ახლა“ და ასე შემდეგ. არ არის საბოლოოდ მიღებული ფორმა. სატერმინოლოგიო კომიტეტმა უნ და მიიღოს ზომები ამ მხრივ შემჩნეულ უხეშ შეცდომების გასასწორებლად.

ამის შემდეგ აკ. შუღნია ადასტურებს, რომ გაზეთებში მართლაც აქვს ადგილი ენის დამახინჯებას და ახსენს, რომ ეს გამოწვეულია სარედაქციო მუშაობის სპეციფიური პირობებით. მთარგმნელთა შტატი შერჩეულია შედარებით კარგი ძალებისაგან, არის სტილისტიც, მაგრამ ხშირად გაზეთებს უხდება ტელეგრაფით გადმოცემულ პეტიტით აწყობილ 1-2 გვერდი მასალის გადათარგმნა და გასწორება 4-5 საათის განმავლობაში.

დასასრულ აკ. შუღნიას მეტად სასარგებლოდ მიაჩნია სატერმინოლოგიო კომიტეტის არსებობა. ის სურვილს გამოსთქვამს, რომ კომიტეტმა თავისი მუშაობა გააცხოველოს და უფრო მჭიდრო კავშირი დაიჭიროს რედაქციებთან.

ვ. ბერიძეს საჭიროდ მიაჩნია დამახინჯებულ სიტყვების თავიდან აცილების გარდა, ყურადღება მიექცეს ენის კონსტრუქციას, სინტაქსის და წინადადების ნათლად გამოთქმას.

ბერიძეს წინადადება შეაქვს თვით სატერმინოლოგიო კომიტეტის შემადგენლობიდან გამოყოფილ იქნეს კომისია, რომელიც გამოიმუშავებს როგორც ტერმინებს, ისე ფორმებს ყოველდღიურათ დაშვებულ თვალსაჩინო შეცდომების გამოსასწორებლად.

სხდომამ აირჩია კომისია შემდეგი შემადგენლობით: ვ. ბერიძე, ნ. კიკნაძე, მ. ჯავახიშვილი, გ. ქიქოძე, ლ. მეტრეველი და ლ. ქიაჩელი.

რ. გ—ძე.

გაიყვანეთ ტრამვაი

(თბილისის აღმასკომის უყურადღებოდ)

ამხ. ლენინის სახელობის პოლიტეხნიკურ ინსტიტუტი, რომელიც აერთიანებს დაახლოებით 3.000-4.000 სტუდენტს, იმყოფება ქალაქის გარე-უბანში. ეს ინსტიტუტი ტრამვაის ხაზიდან ვერსნახევრით არის დაშორებული და ისიც უვარგისი გზით. ინსტიტუტში მიმავალი ქუჩები არ არის შეკეთებული და არც განათებულია საკმარისად. სტუდენტებს უხდებათ რკ. გზის ლიანდაგის გადასვლა, რაც საშიში და სახიფათოა, მეტადრე ღამის 9-10 საათზე, როდესაც ბრუნდებიან სახლში მეცადინეობისაგან დაქანცულები.

სახელმწიფო პოლიტექნიკურ ინსტიტუტში მზადდებიან ისეთი სპეციალისტები, რომელთა ნაკლებობას დიდათ განიცდის ჩვენი სოციალისტური წარმოება ამიტომ უსათუოდ საჭიროა ინსტიტუტის სტუდენტობას მიექცეს შესაფერი ყურადღება. დაჩქარებით უნდა იქნეს გაყვანილი ინსტიტუტისაკენ ტრამვაის ხაზი. საბჭოს ქუჩიდან ამხ. ბოჭორიშვილის ქუჩით და ბოჭორიშვილის შესახვევით რკინის გზის ლიანდაგამდე. აქ კი უნდა გაკეთდეს ხიდი, რკინის გზის ლიანდაგზე.

გარდა ამისა, უნდა შეკეთდეს და განათდეს პოლიტექნიკურ ინსტიტუტში მიმავალი ქუჩები.

ქალაქის აღმასკომმა ამ საკითხს მეტი ყურადღება უნდა მიაქციოს.

კ. ხომერიკი.

ამხ. იოსებ ლომიძის ხსოვნას

10 ოქტომბერს ტრაღიკულად გარდაიცვალა ხაშურის დეპოს ძველი რევოლიუციონერი მუშა, კომპარტიის წევრი ამხ. **იოსებ პეტრეს ძე ლომიძე**.

ამხ. ლომიძე დაიბადა 1868 წელს ღარიბი გლეხის ოჯახში. სიღარიბის გამო მან ვერ შესძლო რაიმე განათლების მიღება. 1849 წელს ის შედის ზეინკლის მოწაფედ ხაშურის დეპოში, სადაც დღიური ხელფასად 8 კაპ. ეძლეოდა. წარმოებაში ამხ. იოსებმა საუკეთესო უნარი გამოიჩინა და 4 წლის შემდეგ უკვე ზეინკლის თანაშემწედ გახდა.

1890 წელ. ხაშურის მუშებში ფეხს იკიდებს რევოლიუციონური მოძრაობა, ამხ. ლომიძე ამ მოძრაობის პირველ რიგებში სდგას. ხაშურში მოწყობილ საპირველმაისო დღესასწაულის საორგანიზაციო კრება მოწვეულ იქნა თვით იოსების ინიციატივით მისავე ოჯახში.

1908 წ. ხაშურის მუშების გაფიცვებში ამხ. იოსები აქტიურ მონაწილეობას ღებულობდა. ამის გამო ის დაატუსაღეს და სამი თვით გორის საპატიმროში მოათავსეს.

საპატიმროდან გამოსვლის შემდეგ ამხ. იოსები ჩაება 1905 წ. რევოლიუციონურ მოძრაობაში, რისთვისაც მას ხელმეორედ აპატიმრებენ. ერთი წლის განმავლობაში ამხ. იოსები იმყოფება ყარსის ციხეში, შემდეგ კი მას დონის ოლქში ასახლებენ.

1910 წელში ამხ. ლომიძე ახერხებს დონის ოლქიდან გამოპარვას და იწყებს ფარულად მუშაობას ჭიათურის ერთ-ერთ ქარხანაში.

1927 წლიდან იოსები მუშაობს უფროს ზეინკლად ხაშურის დეპოში.

ამხ. იოსები დღემდე აქტიურ პარტიულ და საზოგადოებრივ მუშაობას ეწეოდა, ითვლებოდა პარტიის რაიონული კომიტეტის წევრად და საბჭოს წევრად.

10 ოქტომბერს ის მატარებელმა გაიტანა და ამრიგად უდროოდ გამოგვეცალა რიგებიდან. ამხ. იოსების ხსოვნა ყოველთვის ცოცხალი იქნება ხაშურის ორგანიზაციის წევრებს შორის.

ირ. მითაიშვილი.

საქართველოს ფეიქართა მე-7 ყრილობა

13 ოქტომბრის დილის სხდომაზე ყრილობამ მოისმინა ცენტრალური გამგეობის, მომავალი მუშაობის შესახებ შემუშავებული პრაქტიკული წინადადებები.

აზრთა გაცვლა-გამოცვლის შემდეგ ცენტრალური გამგეობის მომავალი მუშაობის პროგრამა მიღებულ იქნა ზოგიერთი დამატებებით. პროგრამა ითვალისწინებს მუშაობის გაუმჯობესებას პროფესიონალური ხაზით, საწარმოო თათბირების საქმიანობის გამოცოცხლებას, კავშირის მასების თვითმოქმედების გაძლიერებას და სხვა.

ამავე სხდომაზე ყრილობამ მიიღო რეზოლიუციები ცენტრალური გამგეობის მოხსენებისა და ს.მ.უ.ს. წარმომადგენლის ამხ. ყურულაშვილის მოხსენების გარშემო.

საღამოს სხდომაზე მოსმენილ იქნა სამანდატო კომისიის მოხსენება, რის შემდეგ ყრილობამ აირჩია კავშირის ახალი ცენტრალური გამგეობა 19 წევრისა და 5 კანდიდატის შემადგენლობით. სარევიზიო კომისია არჩეულ იქნა 3 წევრისა და 2 კანდიდატისაგან.

ახალი ცენტრალური გამგეობის პლენუმზე კავშირის თავმჯდომარეთ აირჩიეს კ. მატინიანი და კავშირის პას. მგ. მდივნად, ალ. ტაბიძე.

რის შემდეგ ყრილობა დაიხურა.

რემედასის კვირეული

საქ. რემედასის ცენტრალურმა კომიტეტმა რემედასის კვირეულის ჩატარება გადასწყვიტა 28 ოქტომბრიდან — 4 ნოემბრამდე.

რემედასის კვირეულის ძირითადი ამოცანებია: რემედასის ორგანიზაციაში ახალი წევრთა ჩაბმა, რემედასის ძირითად უჯრედებში პოლიტიკურ-აღმზრდელობით და ინტერნაციონალური მუშაობის გაღრმავება, საერთოდ რემედასის მუშაობის გამოცოცხლება, რემედასის ლიტერატურის გავრცელება მასებში, ადგილობრივ ორგანიზაციებსა და საზღვარ გარეთის საპყრობ ციხეებთან და აგრეთვე მოძმე ორგანიზაციებთან კავშირის გაღრმავება-გაძლიერება.

რემედასის კვირეული მიმართულია საქართველოს რემედასის ორგანიზაციის ფინანსიურ მდგომარეობის გასაუმჯობესებლად.

კვირეულის ჩასატარებლად რემედასის ადგილობრივ კომიტეტებთან ჩამოყალიბდება სათანადო კომისიები, პარტიულ, კომკავშირულ, პროფესიონალურ და რემედასის ორგანიზაციების და სხვა დაინტერესებულ დაწესებულებათა წარმომადგენლებისაგან.

კომისიებს ხელმძღვანელობას გაუწევენ ავტ. რესპუბლიკების ცაკისა და სამაზრო აღმასკომების თავმჯდომარეები.

ანალოგიური კომისიები დაარსდება თემკომებთან.

კვირეულის დაწყებამდე ადგილობრივ ჩატარდება ფართო მოსამზადებელი მუშაობა.

კვირეულის განმავლობაში პოლიტიკურ-აღმზრდელობით მუშაობის ჩატარებასთან ერთად გატარდება: შემოწირულებათა შეგროვება (ხუთი დღის განმავლობაში), ჩატარდება ხელის მოწერის ფურცლები (ვინ რამდენი შემოსწირა), პროცენტული ანარიცხების შეკრება, კინოებიდან, თეატრებიდან, კლუბებიდან და საზოგადო გასართობ ადგილებიდან. ამას გარდა მოეწყობა ფასიანი საღამოები რემედასის სასარგებლოთ.

მოეწყობა გამოწვევა პრესის საშუალებით. აგრეთვე ჩატარებულ იქნება პროცენტულ ანარიცხების შეგროვება, სასადილოებში, საშაქარლამოებში და სხვაგან.

თათბირი „უქს“-ში

საქართველოს კომპარტიის (ბ) თბილისის კომიტეტის საორგანიზაციო-განმანაწილებელი განყოფილება სთხოვს ქვემოთ დასახელებულ ამხანაგებს 14 ოქტომბერს, დილის სრულ 9 საათზე გამოცხადდნენ თათბირზე თბილისის აღმასკომის უძრავ ქონებათა სამმართველოში (ამხ. ბრევაძის კაბინეტში):

მიხეილ ფომინი (თუქა), ალექსი გერასიმენკო („სამტეხი“), ირაკლი (ირადიონ) ჩარგიეშვილი (ტყავეულობის ქარხანა № 1), ნინა მოიჩევა (თამბაქოს ფაბრიკა „პროლეტარი“), გიორგი ხანამიანი (ტყავტრესტი—ფეხსაცმელების ფაბრიკა), სერგო სუკიაშვილი (საკვები პროდუქტების კომბინატი), გიორგი თოფჩიშვილი (ამიერ-კავკასიის რკინისგზების გარაჟი), გიორგი ათაბეგოვი (მთავარი სახელოსნო), ივანე ზარაფოვი (ამიერ-კავკასიის სამხედრო სამომხმარებლო საზოგადოება), ილია სხირტლაძე (სასაკლაო), თეოდორე პერჩანცი (სამთო ტრესტი), ანტონ ხამილოვი (პოლიგრაფტრესტის სკოლა), ივანე ნაცვლიშვილი (ამიერ-კავკასიის რკინისგზების სტამბა), ვასილ კვიტინი (ამიერ-კავკასიის რკინისგზების სტამბა), გიორგი ვალიშვილი (ამიერ-კავკასიის რკინისგზების სტამბა), დავით ლოსუტოვი (ამიერ-კავკასიის რკინისგზების სტამბა), ლევ პეტრეს ძე რუვიმსკი, სიმონ ბეიან, არტემ მათეოსის ძე მათეოსოვი („ტექსტილტორგი“), გიორგი ივანეს ძე ოქიტაშვილი, სერგო გიორგის ძე გოგოხალიშვილი, ვასილ ტომიძე ძე მეზბი, დავით გიორგის ძე პაპავაშვილი, ვალერიან კოხრეიძე (ტრამვაის სახელოსნო), პოლიკარპე ბეგუაშვილი (მთავარ სახელოსნოს სახარატო საამქრო), გრიგოლ კოპალეიშვილი (მთავარ სახელოსნოს სადურგლო საამქრო), ალექსანდრე ფარემუზოვი (ამიერ-კავკასიის რკინისგზების გარაჟი), ივანე კორიძე (მთავარ სახელოსნოს სამჭედლო საამქრო), კლემენტი მანჩხავა (მთავარ სახელოსნოს ხელსაწყოების საამქრო).

საქ. პროფკავშირთა საბჭოს პრეზიდიუმი
აცხადებს მუშა-მოსამსახურეთა საყურადღებოდ,

რომ ა. წ. 15 აგვისტოდან ს.პ.კ. საბჭოში და კავშირების ც. გამგეობაში **მუშაობა** ორშაბათობით, სამშაბათობით და ოთხშაბათობით **იწარმოებს**, დილის სრულ 9 საათიდან დღის 1-ლ საათამდის და საღამოს 6 საათიდან 8 საათამდის. დანარჩენ დღეებში მუშაობა იწარმოებს ჩვეულებრივ საათებში.

ნ. 1706 ს.პ.კ.ს. პრეზიდიუმი.

მეცნიერება და ტექნიკა

125 წელი ფულტონის გამოგონებიდან

ადამიანმა ადრევე იცოდა ბუნების ორი ძალის—წყალისა და ქარის გამოყენება. მრავალ საუკუნის განმავლობაში ადამინი ყოველგვარ მუშაობას ბუნების ამ ორი ძალის გამოყენებით და საკუთარი და ცხოველების კუნთების ენერგიით ასრულებდა. ცხადია, რომ ბუნების მხოლოდ ამ ორი ძალის გამოყენებით შეუძლებელი იყო ადამიანის სულ ახალ და ახალ მოთხოვნილებათა დაკმაყოფილება და ტექნიკის განვითარება. ტექნიკის განვითარებას და საერთო ეკონომიურ აღორძინებას ამ 100—150 წლის წინ საფუძვლად დაედო ორთქლის ენერგიის გამოყენება და ორთქლის მანქანის გამოგონება. მართალია ორთქლის მანქანის გამოგონება მეთვრამეტე საუკუნეს ეკუთვნის, მაგრამ არის ცნობები, რომ ადამიანი უძველეს დროიდან დაინტერესდა ორთქლით, სწავლობდა და ცდილობდა მის გამოყენებას. არის ცნობა, რომ **არქიმედმა** (287—212წ. ჩვენ ერამდე), რომელსაც მათემატიკურ მეცნიერების წინაშე დიდ დამსახურებასთან ერთად მიაწერენ 40 სხვადასხვა მანქანის გამოგონებას, მოაწყო ორთქლის ზარბაზანი, რომელიც წყალის ორთქლის წოლვის ძალით ისროდა ყუმბარას. ცნობილია აგრეთვე **გერონ ალექსანდრიელის** (ეგვიპტელი ბრძენი, სცხოვრობდა ალექსანდრიაში ჩვენი ერის დაწყების ახლო ხანში) მიერ გამოგონილი ორთქლის ძალით მბრუნავი შიგნივ ცარიელი ბირთვი ტრიალებდა ისე, როგორც წყალის დენით მბრუნავი, ე. წ. სეგნერის ბორბალი. საშუალო საუკუნეებში ძლიერ გავრცელებული იყო კიდევ მეორე მბრუნავი ე. წ. ეოლის ბირთვი. მის გამოგონებას მიაწერენ რომაელ **ვიტრუვის**.

ძველი დროის სწავლულთა წარმოდგენა სითბოზე, ორთქლზე და მის ბუნებაზე შეცდარი იყო და მათი „ორთქლმანქანებიც“ პრაქტიკულად სრულიად გამოუსადეგარი იყვნენ, ისინი სამუშაო იარაღებს კი არა, არამედ უფრო გასართობს, სათამაშო საგნებს წარმოადგენდნენ.

მხოლოდ მეთვრამეტე საუკუნიდან დიონისე პაპინის, თომა სავერის, ნიუკომენის და სხვათა მუშაობით და ცდებით გამოგონილ იქნა პირველი პრაქტიკულათ გამოსადეგი ორთქლის მანქანა. ნიუკომენის მიერ 1705 წელს მოწყობილი ორთქლის მანქანა შემდეგ, 1769 და 1774 წ. წ., რადიკალურად გააუმჯობესა შოტლანდიელმა მექანიკოსმა **ჯემს უატმა (1736—1819)**.

ორთქლის ენერგიის გამოყენების დიდი მნიშვნელობა მარტო იმაში კი არ მდგომარეობდა, რომ შესაძლებელი გახდა საფაბრიკო-საქარხნო წარმოების მექანიზაცია და მისი პროდუქციის ძლიერი გაზრდა, არამედ ორთქლის მანქანის გამოყენების შემდეგ შესაძლებელი შეიქნა ადამიანთა და ხალხთა ურთიერთობის უდიდეს დარგის—ტრანსპორტის სრულიად ახალ საფუძველზე მოწყობა. ჯემს უატის სიცოცხლეშივე გამოყენებული იქნა ორთქლით მავალი ხმელეთის ტრანსპორტის საშუალება—რკინის გზა და ორთქლის ძალით მოძრავი გემები, და აი ამ უკანასკნელის გამოყენებიდან წელს შესრულდა 125 წელი.

ორთქლის მანქანის გამოგონება არ შეიძლება მიეწეროს მხოლოდ ჯემს უატს, ორთქლის მანქანის გამოგონებაზე მუშაობდნენ ზემოთ დასახელებული პირნი და სხვანი. უატს კი უმთავრესად ეკუთვნის იმდენად მნიშვნელოვან, რადიკალურ გაუმჯობესებათა შეტანა ორთქლის მანქანის მოწყობილობაში, რომ მხოლოდ ამის შემდეგ ხდება იგი პრაქტიკულად გამოსაყენებელი და ეკონომიურად ხელსაყრელი. ამით აიხსნება, რომ ორთქლის მანქანის გამოგონებას უატს მიაწერენ.

ასევე ითქმის ორთქლის მანქანის ენერგიით მოძრავ გემის გამოგონების შესახებ. მის გამოგონებას ჩვენ **რობერტ ფულტონს** (1765—1815) მივაწერთ. რასაკვირველია, მის მუშაობას გადამწყვეტი და დიდი მნიშვნელობა ჰქონდა წყალის ტრანსპორტის მექანიზაციის საქმეში, მაგრამ ფულტონის დიდ მიღწევას ნიადაგი ჰქონდა მომზადებული მის წინამორბედთა ცდებით. ესენი იყვნენ პატრიკ მილერი, ტაილორი, სიმინგტონი, ფიტჩი, რემსეი.

რობერტ ფულტონი დაიბადა 1765 წელს შეერთებულ შტატების ლანკასტერის საგრაფოში. პირველ ხანებში იგი მხატვრობას სწავლობს ლონდონში, მაგრამ მალე მას საინჟინერო ხელოვნება იტაცებს, გადადის პარიზში და იქ 1802 წელს შეერთებულ შტატების ელჩს ლივინგსტონს უდგენს ორთქლის ქვაბის პროექტს. მეორე წელს მან უკვე ორთქლის მანქანით მოძრავ ნავის მოდელი დაუკვეთა. 1803 წლის გაზაფხულზე უკვე ნამდვილი ორთქლის გემი გააკეთა, მაგრამ მისი კორპუსი სუსტი გამოდგა, ვერ გაუძლო ორთქლის მანქანის სიმძიმეს და წყალში ჩაიძირა. ამავ ზაფხულს მეორე გემი ააშენა, უფრო გამძლე და მასზე დადგა წყალიდან ამოღებულ გემის ორთქლის მანქანა.

125 წლის წინად, 1803 წ. (აგვისტოში) საფრანგეთის აკადემიის კომისიის მრავალ მეცნიერთა, სწავლულთა და სამხედრო პირთა თანდასწრებით მდინარე სენაზე იწყო ცურვა პირველმა ორთქლის გემმა. მიუხედავათ ამ ცდის წარმატებისა, საფრანგეთის მთავრობამ არავითარი ყურადღება არ მიაქცია მას.

მაგრამ ამ საქმეში ფულტონს ძლიერ ეხმარებოდა შეერთ. შტატების ელჩი ლივინგსტონი, რომელმაც მას ნიუ-იორკის შტატში ახალ გემების აგების მონოპოლია აუღო. ამის შემდეგ ფულტონი მიდის ინგლისში და ბულტონის და ვატის ქარხანას უკვეთს ახალ ორთქლის მანქანას.

ორთქლის მანქანა დასრულებული იქნა 1806 წ. დამლევს და გადატანილი ნიუ-იორკში. 1807 წლის ზაფხულზე ნიუ-იორკის გაზეთები იუწყებიან; რომ ქ. ნიუ-იორკსა და ქ. ალბანს შორის მდ. გუძონზე იწარმოებს რეგულიარული მიმოსვლა ახალი გემითო. გემის პირველ გასვლის დღეს, 1807 წ. 11 აგვისტოს მდინარის ნაპირზე ბევრმა ხალხმა მოიყარა თავი, მაგრამ ისინი უფრო სეირის საყურებლათ მოვიდნენ და ვერც ერთმა მათგანმა ვერ გაბედა მგზავრობა ორთქლით მოძრავ გემზე. მხოლოდ ალბანიდან ნიუ-იორკში დაბრუნებისას, ერთმა მოქალაქემ გაბედა შესვლა გემზე. სიხარულით აკანკალებული რობერტ ფულტონი მივარდა თავის პირველ მგზავრთან, რამდენჯერმე ჩამოართვა ხელი და ათრთოლებული ხმით უთხრა „ერთ ბოთლ ღვინოზე დაგპატიჟებდით იმ ნდობისათვის, რომელიც თქვენ გამოიჩინეთ ჩემი გემისადმი, მაგრამ მე ეხლა იმდენად ღარიბი ვარ, რომ ერთი ბოთლი ღვინის ყიდვაც არ შემიძლიაო“.

რამდენიმე მგზავრობის შემდეგ ხალხი უკვე ნდობით მოეპყრო ახალ გამოგონებას და მალე კიდევ 4 გემი ააშენა ფულტონმა.

სიცოცხლის უკანასკნელ წუთებში ფულტონმა სამხედრო გემის „ფულტონ პირველის“ აგება დაიწყო, მაგრამ მის დასრულებას ვერ მოესწრო. რობერტ ფულტონი გარდაიცვალა 1815 წელს 24 თებერვალს.

პირველი ხანის და კერძოთ ფულტონის მიერ აგებულ გემებს გვერდებზე ჰქონდათ დიდი ბორბლები, რომელთა მოძრაობით ცურავდენ გემები, მაგრამ უკვე 1838 წელს ინგლისში აშენებულ იქნა პირველი ხრახნიანი გემი „არქიმედი“.

ფულტონის გარდაცვალებიდან 3 წელიწადი არ იყო გასული, რომ გემმა „სავანა“-მ ნიუ-იორკიდან ლივერპულამდე გადაცურა ატლანტის ოკეანე.

ნაოსნობის მიღწევების გასაცნობათ შევადაროთ მდგომარეობა ამ 125 წლის წინად და თანამედროვე. ფულტონის პირველი გემის „კლერმონტ“-ის წყალწყვა 150 ტონას უდრი და და მანქანის სიმძლავრე 18 ცხ. ძალას. „კლერმონტ“-ი, როგორც ვიცით, მდ. გუძონზე ნიუ-იორკსა და ალბანს შორის დაცურავდა და სწორეთ ამავ ადგილზე ამჟამად ცურავს გემი „ვაშინგტონ ირვინგ“-ი რომელიც 6.000 მგზავრს იტევს. პირველ საოკეანო გემის „სავანას“ ზომები ასეთი იყო: სიგრძე—30,5 მეტრი, სიგანე—7,9 მეტრი. მანძილი ამერიკა-ევროპის შორის გემმა 26 დღეს დაჰფარა. თანამედროვე უდიდეს საოკეანო გემის „მაჟესტიკი“-ს სიგრძე უდრის—291 მეტრს, სიგანე—30,5 მეტრს, ტვირთ-ზიდვა 3 ნახ. მილიონ ფუთს, ძრავების სიმძლავრე 66.000 ცხენის ძალას და სისწრაფე 47 კილომეტრს საათში. 1.110 მოსამსახურეს გარდა „მაჟესტიკ“-ი იტევს 4.000 მგზავრს. გემზე მოწყობილია მრავალი სხვადასხვა დანიშნულების დარბაზები, ბაღები, თეატრი, კინო. მარტო საზამთრო ბაღს და რესტორანს 525 კვადრატიული მეტრი სივრცე უკავია.

გარდა სიდიდის მხრივ განვითარებისა, ნაოსნობის მიღწევები მდგომარეობს თვით ძრავების შეცვლა-განვითარებაში. ორთქლის ძრავთა გაუმჯობესებასა და სიმძლავრის ზრდასთან ერთად უკანასკნელ ხანებში სწარმოებს შინაგანი წვის მანქანების გამოყენება გემებზე და უკანასკნელათ-კი გემის სრული ელექტროფიკაცია.

კ. გ—ძე.

ვარსკვლავების აღწერა

პულკოვის (ლენინგრადის ახლოა) ობსერვატორია შეუდგა ფრიად საინტერესო მუშაობას; ცის თაღის ხილულ ვარსკვლავების ფოტოგრაფიულად გადაღებას—ყველა იმ ვარსკვლავების აღსარიცხავად, რომელთა აღბეჭდვა შეიძლება განსაკუთრებით მგრძნობიარე ფოტოგრაფიულ ფირფიტაზე.

ეს მუშაობა დიდ მეცნიერულ ინტერესს წარმოადგენს, რადგან დღემდე ასტრონომებს არ ჰქონდათ ვარსკვლავების „აღრიცხვის“ საშუალება. ასტრონომიის—როგორც მეცნიერების—არსებობის განმავლობაში არა ერთხელ უცდიათ ვარსკვლავებიანი ცის აღწერა, მაგრამ ეს ცდები ვერ აღწევდნენ შედეგს, რადგან ვერ იძლეოდენ აღწერის სისწორის გარანტიას, გარანტიას იმისას, რომ აღრიცხულია თუგინდ თვალით ხილული ყველა ვარსკვლავები. ამის მიზეზი ის არის, რომ დღემდე სარგებლობდენ ე. წ. „ვიზუალური მეთოდით“, ე. ი. მეთოდით, როცა აღწერის დროს ემყარებოდნენ მხოლოდ და მხოლოდ ადამიანის თვალის „ჩვენებას“.

უკანასკნელი მუშაობა ვარსკვლავების აღსარიცხავათ ჩატარებული იქნა წარსული საუკუნის 70-იან წლებში. აღრიცხვაში სხვადასხვა ქვეყნების მრავალი მეცნიერი იღებდა მონაწილეობას, მაგრამ შედეგებმა ვერც ერთი ობსერვატორია ვერ დააკმაყოფილა. იმ დროს ასტრონომებს არ მოეპოვებოდათ აპარატი, რომელიც შემოწმებულ საათის მექანიზმის საშუალებით აღბეჭდავდა ყველაფერს, რაც ცის ამა თუ იმ კუთხეში ხდებოდა.

ასეთ აპარატს წარმოადგენს ასტროგრაფი, რომელიც ამ რამდენიმე ხნის წინად პულკოვის ობსერვატორიამ გამოიწერა გერმანიიდან. ჩარჩოში მოთავსებულია ორი, სხვადასხვა დიამეტრის მქონე მილი. ერთი მათგანია ტელესკოპი—თვალებით თვალყურის სადევნებლად, მეორე კი წარმოადგენს ასტრონომიულ ფოტო-აპარატს, რომელიც იღებენ ვარსკვლავებს. ვარსკვლავების ფოტოგრაფიულად გადაღებაში აუცილებელია მონაწილეობა ასტრონომის, რომელიც პირველი მილით—ტელესკოპით განუწყვეტლივ ადევნებს თვალს გადასაღებ ვარსკვლავს.

ასტროგრაფის ერთ მეტად მნიშვნელოვან თავისებურებას წარმოადგენს ის გარემოება, რომ სპეციალური საათის მექანიზმის საშუალებით ორივე მილი მათემატიკური სისწორით მოძრაობს ვარსკვლავებთან ამა თუ იმ ჯგუფის მოძრაობასთან შეფარდებით.

ვარსკვლავების აღრიცხვას—ამ უდიდეს მუშაობას—აწარმოებს არა მარტო საბჭოთა მეცნიერები, არამედ ინგლისის, საფრანგეთის და უმთავრესად გერმანიის ობსერვატორიებიც.

საბჭოთა მეცნიერებსა და ამ სახელმწიფოების მეცნიერებს შორის მიღწეულ შეთანხმების თანახმად, მთელი ცა „გაყოფილია“ რამდენიმე „უბნად“. საბჭოთა ასტრონომებს გადასაღებად აქვს მინდობილი მთელი „ჩრდ. უბანი“ (განიდის 60 გრადუსი-დან ჩრდ. პოლიუსამდე).

მუშაობა დასრულებული იქნება 3 წლის შემდეგ.

ფრანც კრუკენბერგის პროექტი



გერმანელმა გამომგონებელმა **ფრანც კრუკენბერგმა** შეადგინა გამოკიდებული ელექტრონის რკინის გზის პროექტი.

ელექტრონის რკინის გზის ვაგონებს, რომელთაც სიგარის ფორმა აქვთ და რომლებიც პროპელერით (საჰაერო ხრახნილით) მოძრაობენ, საათში შეუძლიათ 300 კილომეტრის გავლა.

მიუხედავათ იმისა, რომ ეს პროექტი მოიწონეს ევროპიელმა სპეციალისტებმა, მის განსახორციელებლად გერმანიაში არაფერი გაუკეთებიათ. ფრ. კრუკენბერგი გაემგზავრა ამერიკაში, სადაც აიღო პატენტი თავის გამოგონებაზე.

მაგნიტი და ქირურგია

ბერლინის ერთ-ერთ კლინიკაში გააკეთეს არაჩვეულებრივი ოპერაცია: ამოიღეს ლითონის ნატეხი, რომელიც თვალში მოხვდა. რაიმე ქირურგიული ხელსაწყოს გამოყენება შეუძლებელი იყო, რადგან პაციენტს, შესაძლებელია, მაშინ მხედველობა დაეკარგა. ამიტომ ოპერაცია შეასრულეს ელექტრო-მაგნიტის საშუალებით.

ზემოთ-მოყვანილ სურათზე გადაღებულია ოპერაციის მომენტი: ოპერაცია - გასაკეთებელი პიროვნების თავი დამაგრებულია ლითონის ჩარჩოში, პროფესორი კი ლანცეტით მიმართავს ლითონის ნამტვრევს, რომელსაც ელექტრო-მაგნიტი იზიდავს და გარეთ გამოაქვს.

უდიდესი თერმომეტრი

მიუნქენის (გერმანია) მუზეუმის კოშკზე დადგმულია მსოფლიოში უდიდესი თერმომეტრი. მისი სიმაღლე უდრის 21 მეტრს, განი—2-ს, თვითეულ 10 გრადუსს სართული უჭირავს.

რადიო და ავიაცია

ყველასათვის ცნობილია, თუ რა უდიდესი როლი ითამაშა რადიომ ნობილეს ექსპედიციის მონაწილეთა გადარჩენაში. რომ დირიჟაბლის მგზავრებს რადიო-აპარატი არ ჰქონოდათ, შეიძლება თამამად ითქვას, რომ ძებნა დღემდე გაგრძელდებოდა უშედეგოდ და არავინ არ იქნებოდა ნაპოვნი ისევე, როგორც დღემდე არ არის ნაპოვნი ალესანდრის ჯგუფი, რომელსაც რადიო-აპარატი არ მოეპოვებოდა და ამუნდსენი თავისი თანამგზავრებით, რომელთა გადამცემი აპარატი გაფუჭებული უნდა იყოს. თუ საერთოდ გიდროპლანი, რომლითაც ისინი გაფრინდენ, არ ჩავარდა ზღვაში. ტყუილად კი არ უწოდეს ნობილესა და მისი თანამგზავრების გადარჩენას ავიაციისა და რადიოს უდიდესი გამარჯვება.

ნობილეს ექსპედიციის შემდეგ ყველა ქვეყნებმა განსაკუთრებული ყურადღება მიაქციეს რადიო-კავშირს ავიაციაში. პირველი შედეგები უკვე მიღწეულია. ამერიკაში გამოიგონეს მოწყობილობა, რომელიც საგრძნობლად უადვილებს მფრინავს სწორი კურსის აღებას: მიმართულებას მას დედამიწიდან უჩვენებენ რადიოს საშუალებით. თუ იტალიელი მფრინავი მადდალენა, რომელმაც ნობილეს ჯგუფი იპოვა უკანასკნელის რადიო-ნიშნების მიხედვით, სარგებლობდა სპეციალური ხმის გამაძლიერებელი აპარატით, ამერიკელ კონსტრუქტორის გამოგონება შესაძლებლად ხდის სწორი კურსის დაჭერას განსაკუთრებული მოწყობილობის ციფერბლატზე ისრის მდგომარეობის მიხედვით. თუ ისარი მარცხნივ გადიხარა, მფრინავი მარცხნივ ასცდა გზას. სწორი კურსის დროს ისარის წვერი 0-ზე დგას.

ახალი მიკროსკოპი

გერმანელმა ექიმმა ფონ-ვილლერმა გამოიგონა მიკროსკოპი, რომელიც შესაძლებლად ხდის ცოცხალ ორგანიზმების შინაგან ორგანოების არაჩვეულებრივად დეტალურად შესწავლას. ამ აღმოჩენას, რომელიც მაქსიმალურად გადიდების პირობებში შესაძლებლად ხდის დღემდე მიუწვდომელ ბიოლოგიური პროცესების შესწავლას, შეუძლია გადატრიალება მოახდინოს მედიცინაში.

რა ჯდება ჟანგი

გერმანიის სპეციალური პრესის ცნობით, ლითონის იმ საერთო მასიდან, რომელიც უკანასკნელი 25 წლის განმავლობაში დაამზადეს ევროპაში, 40 პროცენტი ჟანგმა შეჭამა. საოკეანო გემის ჟანგმოკიდებულ წყალქვეშა ნაწილის განახლება ყოველწლიურად ჯდება 12.000 მარკა. ჟანგით დაზიანებულ ეიფელის კოშკის შეკეთებაზე დაიხარჯა 100.0000 მარკაზე მეტი, 30.000 კილოგრამი საღებავი და 100 ათასი სამუშაო საათი. ჟანგთან ბრძოლა გერმანიის რკინისგზებზე ყოველწლიურად ითხოვს 50.000.000 მარკას.

„ელექტრონის ხელსახოცი“

ხელის გასამშრალებელი აპარატი შეუდარებელია იმ შემთხვევაში, როცა საჭიროა ხელების ანტისეპტიკა ოპერაციის წინ ან ბაქტერიოლოგიური მუშაობის დროს.

ეს აპარატი მეტად სასარგებლოა აგრეთვე იმ ადგილებში, სადაც ერთ ხელსახოცზე ხელის გამშრალება მრავალი პირის მიერ საფრთხეს წარმოადგენს კანის ავადმყოფობის გადაცემის მხრივ.

სურათზე — ელექტრონის აპარატი ხელების გასამშრალებლად.

მოსაკეცი ველოსიპედი



საფრანგეთში გამოიგონეს მოსაკეცი ველოსიპედი, რომელიც გამოდგება, როგორც მამაკაცებისათვის, ისე ქალებისათვის. ველოსიპედი დაკეცილი სახით ეტევა პატარა ჩემოდანში და ადვილი გადასატანია.

სურათზე: ველოსიპედი მოკეცილი (ჩემოდანში) და აწყობილი სახით (მარჯვენი).

უცნობი ელემენტი

ცნობილ გერმანელ მეცნიერის, ბერლინის უნივერსიტეტის პროფესორის ვალტერ ნერსტის განცხადებით, მსოფლიო იმყოფება ერთი ახალი ელემენტის აღმოჩენის წინაშე. ელემენტის სისტემაში, რომელიც აღმოაჩინა ცნობილმა რუსმა მეცნიერმა მენდელეევმა და რომელიც შეიცავს 92 ელემენტს უმარტივეს ნივთიერებების, რომლებიდან შესდგება სამყარო, დღემდე აკლია ორი ელემენტი № 85 და № 87. ეს ორი ელემენტი ეკუთვნის რადიო-აქტიურ ელემენტების ჯგუფს.

თავისი გამოკვლევის საფუძველზე მეორე მეცნიერი ჩარლზ ბრომი ამტკიცებს, რომ ერთი ამ ელემენტთაგანი უნდა მოიპოვებოდეს გამომწვარ ფოლადში, კობალტის სილიკატში და სხვა ქიმიურად რთულ ნივთიერებებში.

მფრინავი ნავი

შვეიცარიაში ამთავრებენ უზარმაზარი მფრინავი ნავის აგებას. ამ ნავზე დადგმული იქნება 12 ხუთას ძალიანი მოტორი. მფრინავი ნავის ფრთების სიგრძე იქნება 48 მეტრი. ნავი შესძლებს 50 კაცის წაყვანას.

ცეცხლგამძლე შუშა

ოპტიკურ შუშეულობის ქარხანაში (ლენინგრადში) აღმოაჩინეს ცეცხლის გამძლე შუშის დამზადების საშუალება. ცეცხლგამძლე შუშა უძლებს 250 გრადუს სიცხეს. ქარხანა შეუდგა ცეცხლგამძლე შუშის ქვაბების მასიურ დამზადებას. ცდის სახით დამზადებული იქნება რამდენიმე შუშის სამოვარი.

აეროპლანი მოძრავი ფრთებით



კალიფორნიაში (შეერთ. შტატები) დაამზადეს აეროპლანი მოძრავი ფრთებით. ფრთების დადგმა შეიძლება ჰორიზონტალურად, ვერტიკალურად ან დახრით და ამგვარად შესაძლებელია ფრენის სისწრაფის მოწესრიგება. დაშვების დროს აეროპლანს არ ესაჭიროება დიდი მოედანი.

ეროვნული ბიბლიოთეკა

ქრონიკა

7 საათის სამუშაო დღეზე გადასასვლელად

ს.მ.უ. საბჭოსთან გამოყოფილმა სპეციალურმა კომისიამ, რომელსაც დავალებული ჰქონდა გამოემუშავებია გეგმა წარმოებების გადასასვლელად 7 საათის სამუშაო დღეზე, დაამთავრა თავისი მუშაობა.

იმ წარმოებათა სია, რომლებიც 1928-29 წლის განმავლობაში უნდა გადავიდენ 7 საათის სამუშაო დღეზე დასამტკიცებლად წარედგინება საკავშირო ს.მ.უ.ს.

„ვაძლიერებთ საბჭოთა კავშირის დაცვას“

თავდაცვა-ავიაქიმის თბილისის საბჭო შეუდგა გიპსის ფარების მასიურ გავრცელების კამპანიის ჩატარებას. ფარებზე გამოხატულია თავდაცვის ემბლემა წარწერით: „ვაძლიერებთ საბჭოთა კავშირის თავდაცვას“. ემბლემა დამტკიცებულია საბჭოთა კავშირის ცაკის მიერ. ფარები უნდა გამოიკრას შენობების ფასადებზე, წითელ კუთხეებში და სადგომების შიგნით.

თავდაცვა ავიაქიმის უჯრედების მდივანთა თათბირი

22 ოქტომბერს თბილისში გაიხსნება თავდაცვა-ავიაქიმის უჯრედების მდივანთა ამიერკავკასიის თათბირი.

ხიდი ალაზანზე

თელავიდან იუწყებიან: ველისციხის რაიონში გაემგზავრა ტეხნიკური კომისია ინჟინერ ბოგატკოს ხელმძღვანელობით. კომისიამ უნდა გამოსძებნოს ადგილი მდინარე ალაზანზე ხიდის ასაგებად. ხიდმა უნდა შეაერთოს ალაზნის გაღმა მხარის უმდიდრესი რაიონები შილდა, ყვარელი და გავაზი გურჯაანთან და რკინის გზასთან. (ადს).

კურსები საცივრების საქმის შესასწავლად

ამა წლის 1-ლ ნოემბერს, მოსკოვის საცივრების საქმის შესასწავლ ცენტრ. კურსების ტექნიკურ განყოფილებაში დაიწყო კურსანტების მიღება.

ამიერ-კავკ. რკინის გზებისათვის გამოიყო 3 ადგილი.

საამშენებლო მასალების მომარაგება

ამიერ - კავკასიის საამშენებლო მასალებით გეგმიანი მომარაგების მიზნით, ამიერკავკასიის ვაჭრობის სახალხო კომისარიატთან ეწყობა მუდმივი საუწყებათაშორისო თათბირი.

თათბირის ორგანიზაციის პროექტი დასამტკიცებლად წარედგინა ამიერ - კავკასიის სახკომსაბჭოს.

წითელი ჯვრის რაზმები სამხედრო მანევრებში

14 ოქტომბერს, წითელი ჯვრის საქმიო რაზმები გაწვეულია კომკავშირის მიერ მოწყობილ ლაშქრობაში მონაწილეობის მისაღებად.

ხილის მოსავალი

ხილის მოსავლის მოწევა გორის მაზრაში წარმატებით მიმდინარეობს. მოსავალი საერთოდ საშუალოზე ნაკლებია, მაგრამ ხარისხით წრევანდელი ხილი გაცილებით უკეთესია შარშანდელზე, რაც აიხსნება იმით, რომ წელს გორის მაზრაში ჩატარებულ იქნა ხილის ბაღების მასიური წამლობა.

—

ხილის დამზადება

„სოფლის კავშირი“-მა ამიერ - კავკასიის სახელმწიფო ვაჭრობის სამმართველოსთან დასდო ხელშეკრულება 200.000 ფუთ ხილის დამზადების შესახებ.

უნივერსიტეტის კურსდამთავრებულთა ბიურო

სახ. უნივერსიტეტთან ახლო მომავალში მოეწყობა სახ. უნივერსიტეტის კურსდამთავრებულთა ბიურო.

ბიუროს ჩამოსაყალიბებლად შესდგა კომისია პროფ. კეკელიძის, ოთხი ფაკულტეტის დეკანის და სტუდენტთა წარმომადგენლის ამხ. კიკაბიძის შემადგენლობით.

ბიურო გააერთიანებს ყველა კურსდამთავრებულებს, გაუწევს აკადემიურ ხელმძღვანელობას და დაეხმარება სამუშაოზე მოწყობას საქმეში.

თბილისის ალმასკომში

◆ სახაკლოსთან არსებულ მაცივრების ასამუშავებლად თბ. ალმასკომმა გადასდო - 17.000 მანეთი.

◆ საბავშვო ბაღი. ქ. თიანეთის საბავშვო ბაღის საჭიროებისათვის თბ. ალმასკომმა გადასდო 232 მანეთი.

◆ მოზაიკის სახელოსნო გადაეცა ადგილობრივ მრეწველობის განყოფილებას.

◆ გარეუბნებში საქეიფო ადგილების დახურვის საკითხის შესასწავლად ალმასკომმა გამოჰყო კომისია ამხ. გაჯაშელის თავმჯდომარეობით.

◆ საქმიან კლუბის მოსაწყობათ ალმასკომმა გადასდო 1.000 მანეთი.

სახელმწიფო უნივერსიტეტში

◆ კბილის საქმიო ინსტიტუტის მოსაწყობათ უნივერსიტეტთან ჩამოყალიბდა საორგანიზაციო კომისია. იქვე 13 ოქტომბრიდან დაიწყო განცხადებების მიღება.

◆ სახელმწიფო უნივერსიტეტის გამგეობამ ნება დართო იმ ფორმაცევტებს, რომლებმაც გამოცდების დროს ვერ ჩააბარეს ყველა საგნები, ხელმეორედ ჩააბარონ გამოცდები ჩაუბარებელ საგნებში.

◆ აგრონომიულ ფაკულტეტზე ლექციების კითხვა დაიწყება 15 ოქტომბრიდან.

◆ არაორგანიული ქიმიის სახელმძღვანელო: სახ. უნივერსიტეტის გამომცემლობა ახლო მომავალში გამოუშვებს არაორგანიულ ქიმიის სახელმძღვანელოს საკმაო რაოდენობით.

◆ სტუდენტთა საურთიერთო დამხმარე სალარო: სახ. უნივერსიტეტის ალმასბიუროს ინიციატივით, სახ. უნივერსიტეტში ეწყობა სტუდენტთა საურთიერთო დამხმარე სალარო.

◆ სამეცნიერო წრეები — სახ. უნივერსიტეტის სტუდენტთა ალმასბიუროსთან ჩამოყალიბდა 11-დე სამეცნიერო წრე.

◆ პროფმოძრაობის შესწავლა — სახ. უნივერსიტეტში ეწყობა პროფმოძრაობის შემსწავლი წრეები.

◆ თეატრის აბონემენტები. ალმასბიურომ შეიძინა 1928—29 წ. სეზონის დრამისა და ოპერის 200-მდე აბონემენტი.

სხვადასხვა

◆ საქართველოს სახ.-სამძ საზოგადოებაში დღეს, საღამოს 7 საათზე საბჭოთა კავშირის მეფრინველეობის კავშირის თავმჯდომარე ამხ. მ. ფოფანოვი წაიკითხავს მოხსენებას. „მეფრინველეობა და მისი პერსპექტივები სოფლის მეურნეობის ეკონომიკაში“. დასწრება თავისუფალია.

◆ ახალი წიგნი. გამოვიდა კონ. ნემსაძის წიგნი „საზოგადოებრივი სასარგებლო შრომა და მისი წარმოება სოფლის მეურნეობაში“.

ინჟენერ-ტეხნიკოსთა კლუბში. (მუშათა სახლში.) დღეს საღამოს 7 ს. ინჟ. სოლოვიევი წაიკითხავს მოხსენებას: „დნეპროსტროი“ (საკუთარი შთაბეჭდილებანი).

სახოფლო - სამეურნეო მუზეუმში დღეს დილით სპეციალისტი შიგარევი წაიკითხავს მოხსენებას: „კახეთში ვენახის ავადმყოფობასთან ბრძოლის შედეგები“.

—

ხელოვნების ქრონიკა

„მემარჯვენე საშიშროება ლიტერატურაში“.

დღეს, 14 ოქტომბერს ხელოვნების სასახლეში შესდგება სრულიად საქართველოს საბჭოთა მწერლების ფედერაციის გაფართოებული სხდომა, რომელზედაც ამხ. ბ. ბუაჩიძე წაიკითხავს მოხსენებას: „მემარჯვენე საშიშროება ლიტერატურაში“. მოხსენების შემდეგ კამათი. დასაწყისი სრულ 8 საათზე.

—

◆ ვაჭრობის კომისარიატის რწმუნებულის სამმართველოს ადგილკომის საშუალებათა გასაძლიერებლად 24 ოქტომბერს რუსთაველის საკონცერტო დარბაზში ნიჟალსკაიას მონაწილეობით გაიმართება დიდი კონცერტი.

◆ ხელოვნების სასახლეში 18 ოქტომბერს შესდგება საქართველოს პროლეტარულ მწერალთა ასოციაციის გამგეობის გაფართოებული პლენუმი.

◆ „პირველი კორნეტი“. ახლო ხანში თბილისის კინოებში ნაჩვენები იქნება სახკინმრეწვის ახალი სურათი „პირველი კორნეტი“.

—

შემთხვევები

დაჭრა

12 ოქტომბერს პლეხანოვის პროსპექტზე ვიღაცამ ასლანოვმა დანით მძიმედ დასჭრა თავისი ყოფილი ცოლი ასტღიკა აგიტიანცი. დამნაშავე შეიპყრეს.

შეპყრობა

12 ოქტომბერს შეიპყრეს ფეოდოსია დავითის ასული ფრიჩი, რომელსაც ბრალდება ალექსი ქედანაშვილის სავაჭროდან 40 მან. საქონლის მოპარვა.

— ჯიბგირობისათვის შეიპყრეს ილია ბიტოსძე უხილაშვილი.

ჯიბგირობა

12 ოქტომბერს სარა სევას ბაზარში უცნობმა ხელიდან გამოსტაცა რედიკული 60 მანეთით და მიიმალა.—ბესი ქავთარაძეს ცენტ. ბაზარში ჯიბიდან ამოაცალეს 20 მ.—ამავე ბაზარში მიხეილ აბულაძეს ამოართვეს 40 მ.

ქურდობა

12 ოქტომბერს რუსთაველის პრ. (№ 20) გაქურდეს იოსებ ბარგის დუქანი;—ევგენია ანიკეევს ბინიდან (ამას-აბადის შეს. № 7) მოიპარეს ინდუსტრიალიზაციის სესხის 130 მანეთის ობლიგაცია.

ორშაბათს, 15 ოქტომბერს, საღამოს 6 საათზე
პროფკავშირის დიდ დარბაზში მოწვეულია

კედლის და ნაბეჭდი გაზეთების მუშკორთა და პრესის ყველა მუშაკების

(ჟურნალ-გაზეთების რედაქციების თანამშრომელთა და სხვ.)

საქალაქო კრება

დღის წესრიგში სდგას ამხ. სეფის მოხსენება რედაქტორების საკავშირო თათბირის შედეგების შესახებ.

საქ. კომპ. თბ. კომ. აგიტპროპგანყოფილება.

საქ. სახკომსაბჭოში

აჭარისწყალის ჰიდრო - ელსადგურის მშენებლობის ხელმძღვანელობის შესახებ

აჭარისტანის ჰიდრო-ელსადგურის მშენებლობის ხელმძღვანელობა გადაეცა საქართველოს ს.მ.ს. საბჭოს.

წინადადება მიეცა აჭარისტანის სახკომსაბჭოს გააუქმოს ხსენებულ სადგურის საამშენებლო კომიტეტი.

სოფლის მეურნეობისათვის 1928 წ. მიყენებული ზარალი.

სტატისტიკის ცენტრალურ სამმართველოს ცნობების თანახმად საქართველოს სოფლის მეურნეობისათვის 1928 წ. მიყენებული ზარალი სეტყვისა და ზამთრისაგან უდრის—7.360.000 მანეთს. აქედან აღმოსავლეთ საქართველოში—3.870.000 მან., დას. საქართველოში—1.820.000 მანეთს, აფხაზეთის სოციალისტურ საბჭოთა რესპუბლიკაში—1.050.000 მანეთს, აჭარისტანის ს.ს.რ.-ში—490.000 მანეთს და სამხრეთ-ოსეთში—130.000 მანეთს.

წყალდიდობისაგან მიყენებული ზარალი უდრის—370.000 მანეთს, აქედან აფხაზეთში—150.000 მანეთს.

სტატისტიკის ცენტრალური სამმართველოს წინადადება მიეცა დაჩქაროს სოფლის მეურნეობისათვის სეტყვისაგან მიყენებული ზარალის გამორკვევა.

სოც. დაზღვევის კომიტეტის 1928—29 წ. ხარჯთაღრიცხვა

სრულიად საქართველოს სოცდაზღვევის კომიტეტის 1928—29 წ. საორიენტაციო ხარჯთაღრიცხვა დამტკიცებულ იქნა შემდეგი სახით: შემოსავალი—11.270.600 მან.; გასავალი—14.998.333 მან.

მიწსახკომის ქიმიურ ლაბორატორიის გადაცემა

მიწათმოქმედების სახალხო კომისარიატის ქიმიური ლაბორატორია გადაეცა თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის აგრონომიულ ფაკულტეტს, სათანადო ხელშეკრულების საფუძველზე, რომლის ძალითაც უზრუნველყოფილი იქნება მიწათმოქმედების სახ. კომისარიატის საანალიზო სამუშაოთა შესრულება.

ხე-ტყის და შეშის დამზადების რაიონების უზრუნველყოფა პურით და ფურაჟით

წინადადება მიეცა ვაჭრობის სახალხო კომისარიატის რწმუნებულის სამმართველოს წარუდგინოს ეკონომიურ საბჭოს დასამტკიცებლად ხე-ტყის და შეშის დამზადების რაიონებში პურისა და ფურაჟის შემოზიდვის გეგმა იმ რაოდენობით, რაც საჭიროა აღნიშნული რაიონების მოთხოვნილებათა დასაკმაყოფილებლად.

შეშის დამზადება

წინადადება მიეცა ვაჭრობის სახ. კომისარიატის რწმუნებულს მიიღოს სათანადო ზომები იმ შეშის დამამზადებელ ორგანიზაციების წინააღმდეგ, რომლებიც დაარღვევს დაწესებულ ფასებს.

ტყის მრეწველობის ტრესტის განცხადების გამო, რომ რკინისგზები არ იძლევიან ვაგონებს შეშის გასაზიდათ, სახკომსაბჭომ ეკონომსაბჭოს საჭიროდ სცნო ეთხოვოს ამიერ-კავკ. სახკომსაბჭოს მიიღოს რკინის გზის ორგანოების მიმართ სათანადო ზომები.

11.200.000 მანეთი

ქაღალდის ქარხნისათვის

ს.მ.უ.ს. მიერ შემუშავებული ხუთწლიანი გეგმის თანახმად მომავალი საანგარიშო წლიდან საქართველოში დაიწყება ენგურის ქაღალდის ქარხნის აგება. ქარხნის ასაგებათ 5 წლიან გეგმით გათვალისწინებულია დახარჯოს 11.200.000 მანეთი.

მიმდინარე წლის განმავლობაში იწარმოებს წინასწარი სამზადისი ქარხნის საამშენებლო სამუშაოთა დასაწყებათ. გარდა იმისა, რომ ჩატარებული იქნება მთელი რიგი ლაბორატორული ცდები და გამოკვლევები, მიმდინარე წლის განმავლობაში დასრულდება აგრეთვე დეტალური საამშენებლო პროექტის დამუშავებაც და დაიწყება ქარხნისათვის კვალიფიციური მუშა-ხელის მომზადება.

ს.მ.უ. საბჭოს ინიციატივით საზღვარგარეთ მივლენილია ინჟ. გ. კოჩინაშვილი, რომელსაც დავალებული აქვს გაეცნოს ქაღალდის ქარხნის მუშაობას და იქ საქმის დაყენებას. ენგურის ქაღალდის ქარხნის წლიური პროდუქცია 5 წლიანი გეგმით განზრახულია 1 მილიონი ფუთი ქაღალდით.

ტყვარჩელის ქვანახშირი

ს.მ.უ.ს. პრეზიდიუმის უკანასკნელ სხდომაზე მოსმენილ იქნა ამხ. გ. ყურულაშვილისა და ინჟ. ტერ-დავიდოვის მოხსენება ტყვარჩელის კომისიის მუშაობის შესახებ. მოხსენებათა მოსმენის შემდეგ პრეზიდიუმმა აღიარა, რომ გასულ 1925-26 და 1927-28 წლებში ტყვარჩელის კომისიას დიდი მუშაობა ჩაუტარებია ტყვარჩელის ქვანახშირის შესასწავლად.

ტყვარჩელის ქვანახშირის მრეწველობის 5 წლიანი გეგმა, რომელიც დამუშავებულია კომისიის მიერ, მცირედი შესწორებებით და დამატებებით წარდგენილ უნდა იქნეს ადგილობრივ და ცენტრალურ ორგანოებში განსახილველად.

5 წლიანი გეგმით ტყვარჩელის ქვანახშირის დამუშავების პირველ წელს (1930-31 წელს) ამოღებულ უნდა იქნეს 100.000 ტონა ქვანახშირი, 1931-32 წელს — 650.000 ტონა, ხოლო 1932-33 წელს 820.000 ტონა ქვანახშირი.

შემდეგ წლებში ქერჩის ლითონის ქარხნების უზრუნველსაყოფად და ამიერ-კავკასიის ლითონის მრეწველობის მოთხოვნილებების დასაკმაყოფილებლად, ქვანახშირის ამოღება გადიდებული იქნება 1.500.000 ტონამდე ყოველწლიურად.

ინდუსტრიალიზაციის მეორე სესხი

ამიერ-კავკასიაში გასაღებულია 14 მილიონი მანეთის ობლიგაცია

ამიერ-კავკასიის ფინსახკომის უკანასკნელი ცნობებით ა.-კ. რესპუბლიკებში სულ გასაღებლია 14.000.000 მან. ობლიგაცია, რაც 34 პროცენტით აღემატება საკონტროლო თანხას (10.500.000 მან.) გასაღებული ობლიგაციების ღირებულება აღემატება აგრეთვე ამიერ-კავკასიაში სესხის რეალიზაციის ხელისშემწყობ კომისიის საკონტროლო ციფრსაც (13.000.000 მან).

ა.-კ. ფინსახკომის ვარაუდით კომპანიის დასრულებამდე სესხის რეალიზაცია ა.-კავკასიაში გადააჭარბებს 15.000.000 მანეთს.

აბჰესის ენერგია ქუთაისის ფაბრიკა-ქარხნებისათვის

ელექტრო ენერგიის გადამცემი ხაზის გაყვანა აბაშის ჰიდრო-ელსადგურიდან ქუთაისამდე ენერგიულად სწარმოებს. სწარმოებს ბოძების დადგმა მთელ ხაზზე და თანდათანობით ხდება მავთულის გაყვანაც.

ელექტრო-გადამცემი ხაზის გაყვანა აბჰესიდან ხონამდე და ქუთაისამდე განზრახულია დასრულდეს მიმდინარე წლის ნოემბრის ბოლომდე.

სწარმოებს აგრეთვე საამშენებლო მუშაობა სატრანსფორმატორო ქვესადგურების შენობების ასაგებათ მთელი ხაზის გასწვრივ. ქვესადგურებში მოწყობილობების (ტრანსფორმატორების) დადგმა დაიწყება 1929 წლის იანვრიდან. ამ დროისათვის სახელმწიფო ელექტრო-ტრესტმა უნდა ჩააბაროს ხაზის გამყვან სამუშაოთა სამმართველოს ყველა საჭირო მოწყობილობები.

ხაზის გაყვანის დამთავრებამდე ქუთაისის ბარიტის ქარხანა, აბრეშუმის ძაფსახვევი ფაბრიკა და მოწამეთის კირის ქარხანა ელექტრო-ენერგიას მიიღებენ რიონჰესის დროებითი ელსადგურიდან. ამ მიზნით რიონჰესის დროებითი ელსადგურიდან ხსენებულ წარმოებებამდე დაწყებულია ცალკე გადამცემი ხაზის გაყვანა.

ახალი საცივრები

ამიერ-კავკ. ვაჭრობის კომისარიატის ცნობებით უახლოეს ორი სამი თვის განმავლობაში დასრულებული იქნება რამდენიმე საცივარი, რომელთა აგება დაიწყო 27—28 წელში.

ნოემბერში გაიხსნება ფოთის საექსპორტო საცივარი, რომლის აგება მიმდინარე წლის თებერვალში დაიწყო. საცივარი დაიტევს 1000 ტონა სხვადასხვა ადვილად გასაფუჭებელ საქონელს.

ფოთის საცივართან ერთად დასრულდება ბაქოს საცივარიც, რომლის საერთო ტევადობა 1.700 ტონას უდრის.

მიმდინარე წლის დეკემბერში მზათ იქნება სამტრედიისა და ნავთლუღის საცივრები, რომელთა აგება დაიწყეს 1927 წელს. ისინი დაიტევენ 1300 ტონა საქონელს.

მომავალი წლის გაზაფხულზე მზათ იქნება ერევნის და სევანის კომბინატის საცივრები.

ამავე დროისათვის დასრულდება ასტარის საცივრის მანქანებით მომარაგება.

ნიაღვრის შედეგები

თელავი, 12 ოქტომბერი. უკანასკნელმა ნიაღვრებმა დიდი ზარალი მიაყენა კახეთს. სოფელ ყვარელში მდინარე დურუჯმა დაანგრია ჯებირი, რომელიც სოფელს წყალდიდობისაგან იცავდა. წყალთა მეურნეობის სამმართველო სასწრაფოდ შეუდგა ჯებირის შეკეთებას. ზარალი რამდენიმე ათეულ ათას მანეთს უდრის. სოფელ შაბელში მდინარე სტორმა დაანგრია და გაიტაცა რამდენიმე სახლი, მათ შორის მთლიანი სამომხმარებლო საზოგადოების ადგილობრივი განყოფილება. წყალმა დაფარა ხეტყის სახერხი ქარხნის ტერიტორია.

კოკისპირული წვიმების გამო მდინარეები ისე ადიდდა, რომ ფონით გასვლა შეუძლებელი იყო. მოსახლეობა იძულებული შეიქნა მოევლო ორმოცდაათი ვერსის მანძილზე, წნორსა და შაქრიანზე, სადაც კაპიტალური ხიდებია. (ადს)

სასამართლო

როგორ „დაუბრუნა“ დ. ჯაფარიძემ მამული ვაჟარ დემუროვს

1925 წ. გორის სამაზრო აღმასკომის ადგილობრივი მეურნეობის განყოფილების საადგილ-მამულო კოლეგიამ დაადასტურა ტყვიავის თემალმასკომის დადგენილება, რომლის ძალით სოფელ ტირძნისის მცხ. ვაჟარს ხუთისთ დემუროვს ჩამოერთვა ნორმაზე მეტი მამული.. ჩამორთმეულ მამულში შედიოდა ხეხილის ბაღი.

გავიდა დრო. ვაჟარი დემუროვი ყოველგვარ ზომებს იღებდა ამ დადგენილების გასაუქმებლად, მაგრამ ვერაფერს გახდა.

იმავე წლის სექტემბერში გორის მაზრაში მიწათმოქმედების სახალხო კომისარიატმა გაგზავნა სპეციალური კომისია, რომელსაც დავალებული ჰქონდა ცნობების შეკრება სამაზრო მეურნეობის რაოდენობის, სივრცის და ადგილ-მდებარეობის შესახებ.

ამ კომისიამ სხვათა შორის დემუროვის ყოფილი ბაღიც დაათვალიერა, მაგრამ არავითარი მსჯელობა არ ჰქონია იმის შესახებ, თუ რამდენად კანონიერია დემუროვისათვის ბაღის ჩამორთმევა. ეს არც ევალებოდა კომისიას.

კომისიას ჯერ კიდევ არ ჰქონდა დამთავრებული მუშაობა, რომ კულაკებმა ასეთი ხმა გაავრცელეს ხალხში: ეს მთავრობის მიერ გამოგზავნილი კომისიაა, რომელმაც ადგილობრივი ხელისუფლების წარმომადგენლებს შავი დღე დააყენა მიწების უკანონოდ ჩამორთმევისათვის. კომისია სულ ყველას უკან უბრუნებს ჩამორთმეულ მიწებსო.

ამ ამბავის გაგონებისთანავე დემუროვი ატრიალდა. იფიქრა; ნიადაგი მზად არის, ცოტას „დავაპურმარილებ“ კომისიის მუშაკებს და საქმეც გაიჩარხებაო.

[illegible] და თავი, როგორ მოუდგეს კომისიას „მთავრობის კომისიის“ წევრებთან საქმის გასაკეთებლად შუა კაცი უნდა მონახოს.

ბევრი ჰაპაპ-წყვეტის შემდეგ დემუროვმა გაიცნო კომისიის ტეხნიკური მდივანი დიმიტრი ლევანის ძე ჯაფარიძე, რომლის მოვალეობა მხოლოდ და მხოლოდ ოქმების შედგენის განისაზღვრებოდა.

როგორც ვსთქვით, დემუროვამდე მისული იყო ჭორი, რომ მას ბაღს უბრუნებენ.

დემუროვი პირველადვე ასეთი შეკითხვით მიმართავს ტეხნიკურ მდივანს: როგორ არის საქმე? დადგენილება ხომ გამოტანილი აქვს კომისიას?

ჯაფარიძემ შეატყო დემუროვს, რომ უკანასკნელი დიდი წარმოდგენის არის მასზე, რომ იგი „დიდ კაცად“ მიაჩნია მას და გადასწყვიტა ესარგებლნა. იფიქრა, ერთ კარგ სადილს მაინც გამოვრჩებიო.

— დიახ! დადგენილება უკვე გამოვიტანეთ. ბაღი მალე დაგიბრუნდება,—უპასუხებს დაჯერებელ კილოთი ჯაფარიძე.

ამის შემდეგ საუბარი გადატანილ იქნა რესტორანში, სადაც, რასაკვირველია, მასპინძელი დემუროვი იყო.

— შენ ოღონდ დადგენილების ასლი ჩამიგდე ხელში და სამაგიერო პატივისცემა ჩემზე იყოს,—სთხოვს დემუროვი ჯაფარიძეს.

— კარგი! დადგენილების ასლს თბილისში ჩაგაბარებ,—უპასუხებს ჯაფარიძე.

ერთი კვირის შემდეგ დემუროვი თბილისში დაედევს ჯაფარიძეს. ნახულობს და ახსენებს დაპირების შესახებ.

ისევ „პურმარილი“, ისევ ქეიფი და ღრეობა დემუროვის ხარჯზე.

როგორც იქნა ჯაფარიძემ დემუროვს ჩააბარა „დადგენილების ასლი“, რომელშიაც შემდეგი ეწერა: „სამაზრო აღმასკომის საადგილ-მამულო განყოფილებამ გასაჩივრების შემდეგ უკანვე დაუბრუნა დემუროვს ხეხილის ბაღი. მიწსახკომის კომისიამ განიხილა რა და სხვ... დაადგინა უკანვე დაუბრუნდეს.. რაც დამტკიცებულია ცაკის პრეზიდიუმის მიერ“...

სხვათა შორის ცაკის საქმეთა მმართველის მაგიერად მოაწერა ხელი ჯაფარიძემ და ასეთი „მაგარი საბუთი“ ჩააბარა დემუროვს.

ცოტა შეეჭვდა დემუროვი, რადგან „ასლზე“ ბეჭედი არ იყო, მაგრამ ჯაფარიძემ მალე დაამშვიდა: როცა მარკები არის დაკრული, ბეჭედი ზედმეტიაო.

ასეთი „საბუთით“ ხელში დაბრუნდა დემუროვი გორში და აღმასკომს წარუდგინა განცხადება, რომელშიაც თანახმად დადგენილებისა ითხოვდა ბაღის დაუყონებლივ ჩაბარებას. დემუროვმა გორის მაზრის პროკურორსაც მიმართა ვრცელი განცხადებით, რომელშიც საქმის გაჭიანურებაზედაც (!) მიუთითებდა.

ადგილობრივი ხელისუფლების წარმომადგენლები ძალიან გაკვირვებული იყვნენ ასეთი „დადგენილებით“. საადგილ-მამულო კომისიამ დასაბუთებული შუამდგომლობა აღძრა მიწსახკომის და საქართველოს ცაკის წინაშე, რათა უკანასკნელად გადაესინჯათ ეს „დადგენილება“, რადგან უკანონოდ სცნობდენ ვაჟარ დემუროვისათვის ზედმეტი მამულის დაბრუნებას.

არა ნაკლები გაკვირვება გამოიწვია ასეთმა შუამდგომლობამ მიწსახკომში და ცაკში.

არსად არავითარი მსგავსი დადგენილება არ აღმოჩნდა.

თურმე ეს ჯაფარიძის საკუთარი „დადგენილება“ ყოფილა, რომლითაც მან დააკმაყოფილა დემუროვი, რომელსაც დიდი ხარჯი ჰქონდა გაწეული ამ საქმეზე.

ჯაფარიძე პასუხისგებაში მისცეს წინასწარ დაკითხვის დროს მან თავი დამნაშავედ სცნო ყალბი საბუთის შედგენაში, მაგრამ რომ შეემსუბუქებია დანაშაული განაცხადა: ხუმრობით (!) მივეცი, არ მეგონა თუ მართლა დაიჯერებდაო.

ჯაფარიძის საქმე დანიშნულია გასარჩევად თბილისის სამაზრო სასამართლოში 14 ნოემბრისათვის.

ფერ.

პირველი თოვლი

თელავი. 12 ოქტომბერი. მთებში თოვლი მოვიდა. კავკასიონის ქედი სანახევროდ უკვე თოვლითაა დაფარული. მთათუშეთის გზა მალე დაიხურება. ხეობაში დათვები და ჯიხვები ჩამოდიან. იწყება საზამთრო ნადირობის სეზონი. (ადს)

ჩაის მოსავალი

საზოგადოება „საქართველოს ჩაის“ ცნობებით ჩაის ფოთლის შეკრების დაწყებიდან 1-ლ ოქტომბრამდე მთელ საქართველოში დამზადებული იყო 1.035.390 კილოგრამი ჩაის ფოთოლი. ამ რაოდენობაში შედის გლეხების პლანტაციებიდან მიღებული 418.484 კილოგრამი და საკუთარი პლანტაციებიდან მიღებული—616.906 კილოგრამი ჩაის ფოთოლი. გასული წლის განმავლობაში კი შეკრებილი იყო სულ 909.453 კილოგრამი ჩაის ფოთოლი.

ჭადრაკი

მაესტრო გრიგორიევისა და გოგლიძის მატჩი

(მე-7 პარტია)

მეშვიდე პარტიის გათამაშებით გოგლიძემ (თეთრები) მოიპოვა მეორე გამარჯვება. ბრძოლა თეთრებს მიჰყავდათ რთული კომბინაციებით, რის გამო თამაშის პირველ ნახევარში გადასცვალეს ეტლი ცხენზე და ერთ პაიკზე. შემდეგი სვლებით თეთრებმა აიღეს ორი ზედმეტი პაიკი და ხელთ იგდეს ინიციატივა. მაესტრო გრიგორიევმა წინასწარ გათვალისწინებული სვლებით შესძლო მოწინააღმდეგის გეგმის რამდენიმეთ შეფერხება, მაგრამ უმოქმედოთ მდგარი დედოფალი მაინც ვერ გამოიყვანა ბრძოლის ასპარეზზე.

თამაშის მეორე ნახევარში გოგლიძემ ქიშის გამოცხადებით კვლავ იგდო ხელთ მოწინააღმდეგის ეტლი, რის შემდეგაც მაესტრო გრიგორიევმა პარტია დასთმო მე-42 სვლაზე.

რადიო-გადაცემა

დღეს

თბილისის რადიო-გადამცემ სადგურიდან 1070 მეტრიან ტალღაზე გადაცემული იქნება: **დილით:** 10 ს. პიონერთა რადიო-გაზეთი, ქართულ ენაზე; 10 ს. 40 წ.—საგლეხო რადიო-გაზეთი ქართულ ენაზე; 11 ს. 30 წ.—პიონერთა რადიო-გაზეთი რუსულ ენაზე; 12 ს.—კონცერტი გლეხებისათვის; **საღამოს:** 6 ს.—მოხსენება „კულტურული რევოლუცია და პროლეტარულ მწერლობის ამოცანები“ ქართულ ენაზე; 6ს. 30 წ.—საუბარი აგრონომიაზე ქართულ ენაზე; 6 ს. 50წ.—კომკავშირელთა რადიო-გაზეთი ქართულ ენაზე; 7 ს. 40 წ.— მუსიკალური ნომრები, 8 ს.—კომკავშირელების რადიო-გაზეთი რუსულ ენაზე; 8 ს. 50 წ.—გეოფიზიკურ ობსერვატორიის ცნობა ქართულ და რუსულ ენებზე; 9 ს.—კონცერტი.

საღამოს 6 ს.—„მუცლის ტიფი და მასთან ბრძოლა“ მოხსენება ქართ. ენაზე; 6 ს. 20 წ.—წითელ-არმიელთა რადიო-გაზეთი ქართ. ენაზე; 7 ს.—საუბარი რადიო-ტეხნიკის შესახებ—ქართულ ენაზე, 7 ს. 20 წ.—მუშათა რადიო-გაზეთი—ქართულ ენაზე; 8 ს. 10 წ—„ახალგაზრდათა კომუნისტური ინტერნაციონალის მე-5 კონგრესის შედეგები—მოხსენება რუსულ ენაზე; 8 ს. 35 წ.—გეოფიზიკურ ობსერვატორიის ცნობა—ქართულ და რუსულ ენაზე; 8 ს. 40 წ.—ა.-კ. დეპ. სააგენტ. ინფორმაცია ქართულ და რუსულ ენებზე; 9 ს. კონცერტი.

შრომის ბირჟაში

15 ოქტომბერს თბილისის შრომის ბირჟიდან სამუშაოზე გაიგზავნებიან შემდეგი უმუშევრები:

საგარანტიაო სექციიდან: მიხეილ კორეპანოვი, ალბერტ კიბლერი, ვასილ კელაპტრიშვილი, ლეონიდ კონოვჩი, ანტონ კონოვალოვი, დიმიტრი კასუმაშვილი, სონია კალანდაძე, სედრაკ ვარაგოვი, ეფემია კობახიძე, ევსევი კოფმან, ნინო კაზაროვა, დიმიტრი ქემელაშვილი, ანეტა კალაძე, ვლადიმერ კაპანაძე, ალექსანდრე კეცხოველი, ლევან ჰაკჰაკი, ვასილ კასულეხაძე, მიქელ კუჩუხიძე, ალექსანდრე კულიშევი, ნიკოლოზ ქორიდლეშვილი.

მეხუთე სექციიდან: გიორგი აზარიკოვი, არუთინ მკირტიჩიანი, ხანაზაია, ივანე აკიმოვი, სარქის არუთინოვი, ისაკ გევორქიანი, ხაჩატურ გასპარიანი, ივანე კუკუევი, გასპარ ოღლი, მნაცაკან ტატულოვი.

შედსექციიდან: გუსეინ კრიჩევი, მიხეილ კაკაშვილი.

პირველ სექციიდან: რეჯებ ხაჩანუკიანი, ანტონ არჯევანიძე, ბოგდანოვი, ნიგრაზოვი, კონსტ. გორდეზიანი, ისმონ ინასარიძე, ალექსანდრე მხიტარიანი, არმენაკ პიტროსიანი, გერასიმე მერაბიანი, ძნელაშვილი, ელენე ლომკოვსკაია, ივანე გოგლიძე, სოფიო გოგაბაშვილი, აიკანუშ არუთინოვა, მარია დევიცინა, სისაკი შახნაზარიანი, ანა ბოშაშვილი, მარია კოპლონიკოვა, ელენა დაკოპოვა, სოფიო ბოჭორიძე, ელენა ჩერეპანენკო, ქსენია პონოვა, ანასტასია არენთია, ეკატერინე პაპიევა.

მეორე სექციიდან: სერაპიონ ბუკია, რუბენ პოგოზოვი, ვარლამ ხარებოვა, კონტრიძე, კირილე ახვლედიანი, თამარ ახალაძე, მარიამ ჰეჯიერი, ნატალია სტეფანოვა.

მესამე სექციიდან: კაზარიანი, კასპარ მელქონიანი, ოვანეზ ბეგლიანცი, არჩილ მეთაპაშვილი, არმენაკ მხჩიანცი, არმენაკ მადათოვი, კონსტანტინე შარვაშიძე, სიკო კურდღელაშვილი, ივანე ზაალიაშვილი.

მთავრობის მოქმედებანი და განკარგულებანი

დადგენილება

საქართველოს სსრ სახალხო კომისართა საბჭოსი

სოფლად მომუშავე სამედიცინო პერსონალის სამუშაო ხელფასის მინიმუმის დაწესების შესახებ

სოფლის მოსახლეობის კვალიფიციური სამედიცინო პერსონალით უზრუნველსაყოფად საქართველოს სსრ სახალხო კომისართა საბჭო ადგენს:

1. დაწესებულ იქნეს 1928-29 წ. ადგილობრივ ბიუჯეტზე მყოფი სამედიცინო პერსონალისათვის სამუშაო ხელფასის შემდეგი თვიური მინიმალური განაკვეთი:

ა) ექიმისათვის	100 მ.
ბ) ექიმის თანაშემწისათვის .	45 „
გ) ფერშალ-მეან ქალისათვის.	45 „
დ) მეან ქალისათვის. . .	45 „
ე) სანიტარისათვის. . . .	25 „
ე) მომვლელი ქალისათვის . .	25 „

2. წინადადება მიეცეს აფხაზეთის სსრ-ის და აჭარისტანის ავტონომიური სსრ-ის სახალხო კომისართა საბჭოებს და აგრეთვე სამხრეთ-ოსეთის ავტონომიური ოლქის ცენტრალურ აღმასრულებელ კომიტეტს გამოსცენ ანალოგიური დადგენილებანი.

საქართველოს სსრ სახალხო კომისართა საბჭოს თავმჯდომარის მოადგილე ბ. მგალობლიშვილი.

საქართველოს ს.ს.რ. სახალხო კომისართა საბჭოს საქმეთა მმართველი პ. მეგრელიშვილი.

პარტიული და საბჭოთა კალენდარი

საქართველოს კომპარტიის თბილისის ორგანიზაციის ქალაქის რაიკომი უჯრედების ჯგუფური კრებების მოსაწვევად, რომლებზედაც მოსმენილი უნდა იქნეს **რაიკომის მუშაობის საანგარიშო მოხსენებები,** ადგენს შემდეგ წესს: **1-ლი ჯგუფური კრება** შესდგება ორშაბათს, 15 ოქტომბერს, საღამოს 6 საათზე, საბჭოთა და სავაჭრო მუშაკების კლუბში. სადაც ქართულ ენაზე მოხსენებას გააკეთებს ამხ. **მორჩილაძე.** უჯრედები: 1) მე 6 სტამბის, 2) მუშკოოპის, 3) მიწათმოქმედების კომისარიატის, 4) რუსთაველის თეატრის, 5) ცეკავშირის, 6) განათლების კომისარიატის, 7) სახკომსაბჭოს, 8) სახ. გამომცემლობის, 9) საქართველოს სტატისტ. სამმართველოს, 10) იუსტიციის სახკომისარიატის, 11) შრომის კომისარიატის, 12) პირველი სტამბის, 13) საქართველოს ვაჭრობის კომისარიატის, 14) სახ. უნივერსიტეტის, 15) ტელეგრაფის, 16) სახკვების, 17) სოც. უზრუნველყოფის კომ., 18) გლეხთა სასახლის, 19) „სოფლის კავშირის“, 20) მე-5 სტამბის, 21) ამიერკავკასიის და საქართველოს მუშათა და გლეხთა ინსპექციის, 22) „სამშენის“, 23) გინეკოლოგიური ინსტიტუტის, 24) ფოსტის. **მე-2 ჯგუფური კრება** შესდგება 15 ოქტომბერს, საღამოს 6 საათზე, ახალ მუშათა კლუბში. მოხსენებას რუსულ ენაზე გააკეთებს ამხ. **კუდრიავცევი.** უჯრედები: 1) ელექტროსტროის“, 2) ამიერ-კავკ. და საქართველოს პოლიტსამმართველოს, 3) „მუზტრესტის“, 4) „ზაკავტოპრომტორგის“, 5) „მაშინოტრესტის“, 6) კავკ. წითელდროშოვან არმიის სტამბის, 7) ლენინის სახელობის თამბაქოს ფაბრიკის, 8) კოლოფების ფაბრიკის, 9) რეზინოტრესტის“, 10) სახელმწ ელექტროტრესტის, 11) ამიერ-კავკ. შრომის სახკომისარიატის, 12) ამიერ-კავკ. ფინსახკომის, 13) რადიოს, 14) ამიერ-კავკ. მებამბეობის კომიტეტის, 15) ზაკსოიუზის, 16) ავეჯეულობის ფაბრიკის, 17) მე-2 სტამბის, 18) საგზაო კომისარიატის რწმუნებულის სამმართველოს, 19) ამიერ-კავკ. სას.-სამ. ბანკის 20) სახ. ბანკის, 21) „ზარია ვოსტოკას“ კანტორის, 22) მე-8 პოლკის, 23) სოლქო სახალხო კავშირის, 24) „ზარია ვოსტოკას“ სტამბის, 25) „ტელასის“, 26) ლუდის ქარხნის, 27) მუშკოოპის ტრანსპორტზე მომუშავეების.

—:—

საქართველოს ცენტრალური საკონტროლო კომისია წინადადებას აძლევს ამხ. ისაკ ხარჩიმლელიას სამი დღის ვადაში გამოცხადდეს საკონტროლო კომისიაში, რუსთაველის პრ. № 24, მე-3 სართული. ოთახი № 11.

—:—

სახალხო პოლიტეხნიკურ ინსტიტუტთან არსებული ა.ლ.კ.კ. ბიურო-კოლექტივი ორშაბათს, 15 ოქტომბერს, საღამოს 6 საათზე იწვევს ცალკცალკე უჯრედთა ბიუროების თათბირს. სავალდებულოა დასწრება აგრეთვე შემდეგი ამხანაგების: სალუქვაძე ვასო, აბაკელია მიხეილ, დემეტრაძე დავით, მეზუკე სიმონ, ბაბუაძე ეპიფანე, ბახტაძე იოსებ, შარაძე ვლადიმერ, ბერიძე გიორგი, მარკოზია ილია, მეტრეველი ნიკოლოზ, გომნიაშვილი ირინე, მესხი მიხეილ, ხიდაშელი, ჩხარტიშვილი ნიკოლოზ, ჰაპაშვილი შოთა, ბასილაია [illegible], ბელქანია ვლადიმერ, ცანავა გრიგოლ, ჯიქია სერგო, სოსელია იოსებ, ქებაძე დავით, გოცირიძე ვარლამ, დოლიძე დიმიტრი, აფრიამოვი და ფრანგიშვილი გერონტი.

—:—

ხვალ, 15 ოქტომბერს, საღამოს 6 საათზე შესდგება სახ. უნივერ. პედაგოგიური ფაკ. კომუჯრედის კრება. დასწრება სავალდებულოა.

—:—

სახ. უნივერსიტეტის გაერთიანებულ კომუჯრედთა ბიურო-კოლექტივი წინადადებას აძლევს სარევიზიო კომისიის წევრ-კანდიდატებს ამხ. მაკარი ჯაშს, გალაქტიონ ცინცაძეს, ია მიქაძეს, გიორგი გვარჯალაძეს და ეკატერინე გოგუაძეს გამოცხადდნენ დღეს 14 ოქტომბერს, დილის 10 საათზე ბიურო-კოლექტივში.

ღრმა მწუხარებაში მყოფნი მეუღლე—ანეტა, შვილები: ლუბა (კორია), დარეჯანა და კიკა. დები: მართა და მენიკო, ძმა ნოე, რძალი ბაბინე ჩიჩუები აუწყებენ საზოგადოებას, რომ მათთვის დაუვიწყარი

თეოფილე ბექანის ძე ჩიჩუას

ხსოვნის აღსანიშნავად, კვირას 14 ოქტომბერს 1-ლ საათზე გადახდილ იქნება სამოქალაქო პანაშვიდი ვერის ახალ სასაფლაოზე. 2—2 4479

ს. კ. პ. (ბ) ხაშურის დეპოს ბიურო-კოლექტივი მწუხარებით აღნიშნავს კომუნისტური პარტიის აქტიური წევრის

ამხ. იოსებ პეტრეს ძე ლომიძის

ტრაგიკულად გარდაცვალებას 4504

ს. კ. პ. (ბ) გორის ორგანიზაციის პ/[illegible] მომუშავე ამხანაგები: პ. მელაძე, გ. კალმახელიძე, ვ. ქურდაძე, ტ ბუზრიკიძე, ს. კიპანაძე, ს. ცხოვრებაშვილი, გ. პაქსაშვილი, დ. ლომსაძე, მ. კუხალეიშვილი, ის. ლომიძე, ირ. მითაიშვილი, ს. ღონღაძე, გაბაშვილი და პ. მეტრეველი—ღრმა მწუხარებით აუწყებენ ამხანაგებს, რომ 10 ოქტომბერს ხაშურში ტრაგიკულად გარდაიცვალა ხაშურის დეპოს ძველი რევოლიუციონერი, მუშა-კომუნისტი, პარტიის წევრი

ამხ. იოსებ პეტრეს ძე ლომიძე

დაკრძალვა მოხდება კვირას, 14 ოქტომბერს 2 საათ. ძმათა სასაფლაოზე. 4502

დედა სოფიო, მეუღლე ვერა, ძმები ბარნაბი, ანდრო, გრიშა, ჟენია, დები მარუსია, ვერა, სიძეები ვასო ლოლუა, მალაქი ნაჭყებია და ილიკო კობახიძე, ძმისშვილები ხუტა, ნურა, დისშვილები ძიბა, ბუცა, თინა და ხელი აუწყებენ ნაცნობ-მეგობრებს, რომ დღეს ფოთში, სასაფლაოზე გადახდილი იქნება

კონდრატე ბუკიას

მოსაგონარი სამოქალაქო პანაშვიდი ნ. 1702

დამწუხრებულნი მეუღლე თამარა ბავშვებით—ოთარით და ლეილათი და ეფრემ მეტრეველის ოჯახი აუწყებს ნათესავებს, მეგობრებს და ნაცნობთ, რომ

ლეონტი (ლეო) გიორგისძე კობერიძის

ხსოვნის აღსანიშნავად დღეს პირველ საათზე კუკიის სასაფლაოზე გადახდილი იქნება სამოქალაქო პანაშვიდი (ე)

სამხრეთ-ოსეთში

I.

იქნებ სანანურად არ დამრჩეს, რამდენიმე დღე რომ ვანაცვლო ამ კუთხეში გავლას.

პირველ ყოვლისა, რასაკვირველია, უნდა გავემართო გულდაგულ ცხინვალისაკენ. გორიდან სწორედ ოცდათერთმეტი კილომეტრია. ავტოსთვის ერთი კაი თავის მოგიერიანებაა საჭირო და ხელათ იქ გაჩნდება კაცი. მაგრამ ჩემ წინ მდგომ დრომოჭმულ და ერთიან დანჯღრეულ ავტოებს, რაღაცა უნდობლად ვუცქერი: არ ვიცი, კიდევ მოახერხებენ თუ არა ისინი თავის მოგიერიანებას! შოფერი კი მარწმუნებს—მოახერხებსო. მაგრამ რომელი ჭეშმარიტი შოფერი არ ასხამს შევარდნისებურ ფრთებს თავის ჯაგლაგ ავტომობილს!

9 საათზე უნდა გავსულიყავით, მაგრამ დანიშნულ დროზე ზოგჯერ მოსკოვის მატარებელიც კი არ მოდის. დავიგვიანეთ „მხოლოდ“ 2 საათი—ისე, შინაურ დაუდევრობისა და აშკარა უმიზეზობის გამო.

ნეტა რა ფერის იყო უწინ ეს ავტო? წითელი, ყვითელი, მწვანე თუ თეთრი? ეხლა კი მუქი ნაცარაა იგი თავით ბოლომდის და ვინც ახლო მიეკარება—ისიც მასავით ნაცარა ხდება. აქედან უკვე ცხადია ჩემთვის, თუ რას წარმოადგენს ცხინვალის გზა ამ სიცხისაგან გარინდულ დღეში...

საკმარისი იყო ერთი-ორი მიხვევ-მოხვევა და გორის ქალაქიც უკან მოგვექცა.

გზა მიდის ორწყებათ ჩამწკრივებულ ნერგებსა და ვერხვებს შორის. ჩვენს უკან ისეთი საშინელი კორიანტელი დგება—თითქოს ზღაპრულ მდევებს აეკლოთ ქვეყნიერებაო. ეს გზა ძველის-ძველია, მაგრამ ეხლახან შეუკეთებიათ თავიდან ბოლომდის: ორივე მხრივ ამოღებულია სწორი თხრილები და მთელ მანძილზე უხვათ არის დაყრილი რიყის ქვა. სილა ჩქარა მტვრად ქცეულა და უბრალო ურმის გავლაზეც კი სულის შემხუთავ კორიანტელად იდება მთელ არემარეს. მე ვგრძნობ, რა წყევლა-კრულვით გვიმასპინძლდებიან ჩვენ უკან მოტოვებული მგზავრები და მეურმეები.

მერვე კილომეტრზე უკვე მივდივართ სოფელ კარალეთში. რა მირეულ-მორეულია აქაურობა! თითქოს მცხოვრებლებს არ დაუზოგიათ არავითარი დაუდევრობა, რომ თავიანთი კარმიდამო მოეწყოთ, რაც შეიძლება უწესრიგოთ და თავის მოსაბეზრებლად.

საერთოდ ქართლისა და კახეთის სოფლები ვერ დაიტრაბახებენ სისუფთავითა და წესრიგით. კარალეთი კი ამ მხრივ უეჭველად პირველობას მიიკუთვნებს. ე. დალოცვილშვილები მაინც ჟუნაური ხალხია: ზოგჯერ მთელი სოფელი მწვანე წალკოტში არის ჩაფლული. თვით კარმიდამოზე კი ერთ ხესაც ვერა ნახავ, რომ ძაღლი მაინც გამოაბან ზედ, თუ ჩრდილი არ აინტერესებთ.

რაც სოფელში ქათმებია, სულ ერთიან გზაზე არიან გამოფენილი, თითქოს მტვერის მაგიერ ფეტვი ეყაროს იქაო. შოფერები—წინააღმდეგ მათი ბუნებისა—ფრთხილად იქცევიან და ქათმებს უქშევენ. ნეტა ქალაქში ადამიანებს ერიდებოდნენ ამგვარად. ვკითხე მიზეზი ასეთი წინდახედულობისა და ასე ამიხსნეს:

— ღმერთმა დაგვიფაროს, რომ უცაბედათ გავჭყლიტოთ თუნდ ერთი ქათამი. მერე ამ სოფელში აღარ გაევლება, ისე გაგიჭირებენ საქმესო.

გულში მეცინება, რომ ქალაქში მილიციას ვერ მოუტეხია ეს შოფერები და აქ კი კარალელ გლეხებს ასე ლაზათიანად დაუმორჩილებიათ.

[illegible] გზა ისევ გაშოტილა სწორად მწვანე ორღობებში. ორთავე მხარეზე ჩამწკრივებულან ბაღ-ვენახები. შებრაწული ნაყოფით დატვირთული ხეხილები კმაყოფილების გრძნობას აღძრავენ მგზავრში.

ჩვენი ჯაგლაგი ავტო როგორღაც „ფეხმარდი“ გამოდგა და მარჯვეთ იტოვებს უკან კილომეტრის ბოძებს. ავტოს სიჩქარე არ ეხამება მის გატურტლიანებულ გარეგნობას.

აგერ შევედით ტყვიავის ბაღნარებშიც. ეს ხომ ნადავია საუკეთესო ხილეულობისა! რამდენიმე კილომეტრზე გადაჭიმულა იშვიათი წალკოტი.

აჰა, ტირძნისიც გავიარეთ. კიდევ გავსცდით ხუთ-ექვს კილომეტრს და უკვე ცხინვალში გავჩნდით.

რამდენიმე წლის წინედაც მინახავს ცხინვალი. მით უფრო მეინტერესება ეხლანდელი ცხინვალი შევადარო უწინდელს და აქედან გავიგო, თუ რა წარმატება მიუღია მას ამ ბოლო წლებში. თავისთავათ ეს ხომ პირდაპირი შეფასება იქნება სამხრეთ-ოსეთის საბჭოთა ხელისუფლების საამშენებლო მოღვაწეობისა. თუ რამის გაკეთებაა შესაძლებელი, ცხადია პირველ ყოვლისა ეს უნდა სჩანდეს აქ—მთელი ოლქის დედაგულში.

ქალაქში შესვლისთანავე თვალი მოვკარი ხიდ ქვევით, ლიახვის პირზე, რაღაცა საფუძვლიან სამუშაოებს. ჩავუტრიალდი იქავე და შევუდექი დათვალიერებას. ორივე მხარეს გაცხოველებული მუშაობაა ქვითა და ცემენტით. აქ კეთდება ორი მკვიდრი სათავე: მორცხენა ნაპირზე—ტირიფონის არხისთვის. მარჯვენაზე კი—ნიქოზ-რუისის არხისა. ეს არხი ძველის ძველათ არი გაყვანილი და ის რწყავდა ცხინვალ-გორის დასავლეთ ნაწილს სოფელ რუისამდე. მაგრამ ის ეხლა აღარ ჰყოფნის მოსახლეობას. გვალვის დროს წყალი ნიქოზს ქვევით ძნელად ჩასცდება. ხოლო ამგვარად ქვედა სოფლები გაჭირვების დროს თითქმის ურწყავად რჩებიან ეხლა კი საქართველოს წყალთა მეურნეობას გადაუწყვეტია გააფართოვოს ეს არხი. ამიტომ აშენებენ ისეთივე მკვიდრ სათავეს, როგორც ტირიფონის არხისთვის. ცემენტისა და ქვის სამუშაო თითქმის დამთავრებულია, გარდა სანაპირო გვირაბისა, რომლის სიგრძე იქნება 50-60 მეტრამდის ეს გადიდებული არხი სწორედ [illegible] იქნება აქაური მოსახლეობისთვის. მთელი მათი მამულები სულ სარწყავია და, თუ წყალი უხვად ექნებათ, მაშინ აქაური მოსავლის გემო და დოვლათი კიდევ უფრო საგრძნობელი გახდება.

ტირიფონის არხის სათავეს ცუდი ბედი დაჰყრია ამ გაზაფხულზე. მოდიდებულ ლიახვს დაუნდობელი იერიში მიუტანია მაზე და ძირი ისე სახიფათოდ გამოუთხრია, რომ უზარმაზარი შუა ბურჯი გვერდზე გადაწეულა. ასეთი უთანასწორო შერკინებისაგან ცალი მხარეც ჩახლეჩია. ეხლა საკითხი ასე სდგას: მთლად დაინგრეს ეს ბურჯი და ახლად გაკეთდეს, თუ შესაძლებელია მისი ძირის გამოშენება? მთავარი ინჟენერის რჩევით თითქმის გადაუწყვეტიათ, რომ ძირი გამოუშენონ ეს მართალია უფრო იაფი დაჯდება, მაგრამ რამდენად მკვიდრი იქნება? ამ არხის იმედით ლამის სრულიად ახალი ქვეყანა გაშენდეს ტირიფონის ველზე და სათავემ რომ უდროვოდ უღალატოს, რა დღეში ჩასცვივა მაშინ ეს ახლად დასახლებული ხალხი? ამიტომ სჯობია აქედანვე დაიჭირონ თადარიგი, თორემ გადარეულ ლიახვს კიდევ შეუძლია რაიმე [illegible] გამოდება უკვე ნიადაგ შერყეულ ბურჯისთვის.

—

თვით ცხინვალშიც კეთდება ბევრი რამ ახალი, მაგრამ ყველაფერს აღლოთი და შემთხვევით ხომ არ მივაგნებ, ამიტომ თუმცა მეზარება ახსნა-განმარტებისთვის ვისთანმე მიმართვა, მაგრამ ამ შემთხვევაზე კი უეჭველად უნდა ვინახულო სამხ.-ოსეთის ცაკის თავმჯდომარე ამხ. ჯატიევი. მან თავაზიანად მიმიღო და თვითონვე გამომყვა—ყველაფერი მიჩვენა, რაც კი თვალსაჩინოა.

ცხინვალი ღარიბი ქალაქია.

ცაკის წინ ასიოდე მეტრის სიგრძეზე ლარივით გაშლილა ახალი ბულვარი ნორჩი ხეებით. სულ ორიოდე წლის გაყვანილია. ეს არის ცხინვალის მთავარი ქუჩა და გასავალ-გამოსავალი.

ცხინვალი ყველაფრით რომ განსხვავდებოდეს თბილისიდან, ერთ რამეში მაინც ძალიან ჰგავს მას: აქაც დაუგველი და მტვრით გავსებულია ქუჩები, როგორც თბილისში, როცა ქარი ჰქრის, აღარ ვიცი, თავბედს სად უფრო იწყევლის კაცი—თბილისში თუ ცხინვალში. ნეტავი ამდენი წყალი მაინც არ მოდიოდეს, რომელსაც, საითაც გინდა, იქით აქნევინებ პირს ქუჩების მოსარწყავად და გასაწმენდად. როგორც ეტყობა, ამ საერთო აღმშენებლობაში ქუჩების დასუფთავება ძალიან სათაკილო საქმეთ ითვლება ყველა ქალაქებში. ამ მხრივ ცხინვალიც სხვას არ ჩამორჩება.

ახალი ბულვარიდან იწყება ახალი ცხინვალიც. აგერ აშენებენ ქვითკირის მოზრდილ შენობას, რომელიც დამთავრდება ერთ-ორ თვეში. ეს იქნება ამბულატორია. ამის გვერდში დაწყებულია მეორე მოზრდილი შენობა: ეს იქნება სახელმწიფო ბანკის განყოფილება.

მივსდევთ ცოტა იქით და აგერ თვალწინ წამოდგა უზარმაზარი სასახლე. ეს ნამდვილი კოლიზეუმია ცხინვალისათვის. პირველად ეს შენობა განზრახული ყოფილა გლეხის სასახლედ მაგრამ შემდეგ ისეთი დიდი და თვალსაჩინო გამოვიდა ის, რომ გადაუწყვეტიათ, გადააქციონ კულტურის სახლად. აქ მოთავსდება კლუბი, სამკითხველო, თეატრი, მუზეუმი, ასეთი სახლი მართლადაც მისწრება იქნება ცხინვალისათვის. გლეხის სახლად კი სხვა შენობას აგებენ იქვე მახლობლად. სასახლის დასამთავრებლად ამხ. ჯატიევის სიტყვით საჭიროა კიდევ 60000 მანეთი. ჩემი შემცდარი აზრით კი მგონი ასი ათასიც არის საჭირო, თუ ყველაფერი რიგიანათ მოეწყო და ყაირათიანადაც. თუ არა და, იქნებ ასი ათასიც ცოტა გამოდგეს.

აქედან იწყება სრულიად ცხინვალის ახალი უბანი. წინედ აქ ბაღ-ვენახები იყო გაშენებული. შარშან ცხინვალის ახალი დაგეგმვის გამო ეს ბაღები სულ გაიჩეხა და ახალი ფართო ქუჩები იქნა გაყვანილი. ეხლა აქ შენდება სრულიად ახალი უბანი ცხინვალისა. თვითეული სახლი შესდგება 5—6 ოთახიდან. აქვს კარგა ფართო ეზო და ბაღი. ასეთი სახლი უკვე აშენებულია ოცი, ოცდა ხუთი. ყველა ეკუთვნის ადგილობრივ მოსამსახურეებს.

შენობებს აგებენ უმეტეს ნაწილად აგურისაგან, რომელსაც ცხინვალის მახლობლად სწვავენ. მაგრამ ეხლა დაუწყიათ ტუფის შენობებიც. ეს არის საშენი ქვა მარჯნის ფერისა—მსუბუქი, ადვილად სათლელი და თანაც მაგარი.

მისი მადანი იხლა აღმოუჩენიათ ცხინვალიდან თორმეტი კილომეტრის მანძილზე. მარაგიც ისე უხვად მოიპოვება, რომ ცხინვალი მას ვერ ამოლევს ათეული წლების განმავლობაში, რაც უნდა თავგამოდებული აღმშენებლობა ვაწარმოვოთ აქ.

ამ ქვისაგან აგებული ვნახე ძველის-ძველი ტაძარი სოფ. დგვრისში. იგი სდგას—როგორც ახლად ნათალი, მწკარ შეუშლელად. ასეთი მასალა დიახაც რომ დიდ შეღავათს მისცემს ხარჯების მხრივ ახლად მონაშენე ცხინვალს და სილამაზითაც ხომ უეჭველად მას ეკუთვნის უპირველესობა. ეს ახალი უბანი ალბათ ჩქარა ცხინვალის ულამაზეს კუთხედ გადაიქცევა.

სამხრეთ-ოსეთი მხოლოდ და მხოლოდ სასოფლო მეურნეობის ქვეყანაა. ამიტომ საგანგებოდ მეინტერესება, ხელისუფლებას რა გაუკეთებია ამ დარგში და მთელი მხარეც გრძნობს თუ არა რაიმე არსებითი სარგებლობას. ამხ. ჯატიევი ამგვარ ჩემ სურვილს ხალისიანად ეგებება.

მივდივართ გრძელ-გრძელი ორღობებით საამოვნოდ ამწვანებულ ბაღებსა და ვენახებ შორის. თანაც ვბაასობთ ოსეთის საჭირბოროტო საკითხებზე.

— ამხ. ალექსანდრე! ერთი ამიხსენით, თუ თაყვა, ოსეთის გლეხის მეურნეობა: რა გამოაქვს მას ბაზარზე გასასყიდათ, რომ თავისი ოჯახის საჭიროებისათვის შეიძინოს ქალაქის ნაწარმოები?

— ოსეთის გლეხობა სამ ნაწილად გაყოფა პირველი—ახალგორისა და ცხინვალის რაიონი—ჯავის ხეობამდის. აქ უმეტეს ნაწილად გლეხობა მისდევს მებაღეობას და ბაზარზე გამოაქვს ხილეულობა. აქ ეს მეურნეობა უნდა ჩაითვალოს ყველაზე განვითარებულად და ყველაზე ხელსაყრელადაც. მეორე—ჯავის ხეობა. აქ ხვნა-თესვას მისდევს გლეხობა და ზედმეტ საქონლად ბაზარზე გამოაქვს პურნახული. მესამე—როქის რაიონი ანუ მთიანი კუთხე. აქ უმთავრესად მესაქონლეობაა გავრცელებული. მაგრამ მარტო ეს არ ყოფნის აქაურ გლეხობის საჭიროებას და მრავალი მათგანი ჩამოდის სამუშაოდ ბარად, როგორც საზაფხულო სასოფლო სამუშაობზე, ისე გზებზე და ხიდებზე, რის მშენებლობასაც დიდი ყურადღება ექცევა ამჟამად რესპუბლიკანურ მასშტაბით

— რკინისგზის საკითხი რაღა მდგომარეობაშია?

— რკინისგზის საკითხი ხუთწლიან გეგმაში იყო შეტანილი და ამ ბოლო დროს როგორღაც მინელდა. ეხლა რომ ჩამოვალ თბილისში, უნდა შევეცადო, გამოვაცოცხლო იგი. საუღელტეხილო გზის ერთ-ერთი გეგმათაგანი ითვალისწინებს უფლისციხე-ცხინვალის შეერთებას ონთან. ეს პირდაპირ ბედნიერება იქნება ჩვენი ქვეყნისათვის.

ამგვარი ბაასით მივადექით ფიცრულით შემოვლებულ ეზოს. ეს არის სამხრეთ-ოსეთის ცხენთსაშენი.

ეზოში შესვლისთანავე თივის ზვინთან თვალი მოვკარი ერთ მოზრდილ ირემს ის ნებივრად შეექცეოდა სურნელოვან ახალ თივას და ყურიც არ გაუბერტყია ჩვენს დანახვაზე.

— ეს შარშან ზამთარში დავიჭირეთ დიდ თოვლიანობის დროს. მეორეც იყო, მაგრამ გუშინ დაუდევრობით კარი დარჩენოდათ ღიათ და გაქცეულიყო ბაღებში. ხვალ კომკავშირელების მობილიზაცია უნდა მოვახდინო, იქნებ დავიჭიროთ როგორმე, თორემ ან მოკლავს ვინმე, ან მგლები შესჭამენ. ორთავე ფურებია. ერთი მაკე იყო, რომ დავიჭირეთ და აქ მოიგო. ისიც საფურე გამოდგა. ეხლა უკვე მეორე წელში გადადგა. გვინდა ბორჯომის მამულსა ვსთხოვოთ ერთი ხარი ირემი, რომ ვანაშენოთ. შემდეგ, თუ თბილისი მოაწყობს ზოოლოგიურ ბაღს, იმას მივცემთ საჩუქრად.

შევედით თავლაში და პატარა ირემიც იქავე კარებში დაგვიხდა. ის სულერთიან მოშინაურებულია. აღარავის ერიდება. თავის დედას კი სრულებით აღარ ეკარება.

თავლაში ოცამდე ცხენია, როგორც წმინდა, ისე ნახევარ სისხლიანები. აქ არის თბილისის დოღზე უკვე კარგად ცნობილი ბედაურები: „როლანდი“, „მოსსო“, „ლონიკსი“. „მაკ-კინლეი“, „შამარკა“. ამათ გარდა არიან საშენებელი ცხენები და რამდენიმე საიმედო ორწლიანი კვიცები. სპორტული თვალსაზრისით თბილისის დოღზე საკმაოდ საპატიო ადგილი უჭირავს ოსეთის ცხენსაშენს: მაგრამ მე მეინტერესება — რა სამსახურს უწევს იგი ოსეთის გლეხობას, როგორც გამოირკვა ლაპარაკიდან —გლეხობისთვის არც თუ ისეთი ნაყოფი მოუტანია ცხენთსაშენს. წმინდა სისხლის ცხენები ჩვეულებრივ საჭიროებისათვის არ გამოდგებიან, როგორც უფრო აზიზი და ძნელათ მოსავლელები. აქ მისაღებია უფრო ადგილობრივი გაუმჯობესებული ჯიში—ჯაფის ამტანი და ადვილად საკვები. მაგრამ ამ მხრივ, როგორც ეტყობა, ჯერ არაფერი გაკეთებულა.

მაგრამ, აი, სად ყოფილა გლეხის ოჯახის ნამდვილი დოვლათი და ბარაქა. აგერ ფართე ბაქში თეთრი რცხილის მორებივით კოტრიალებენ ზორბა-ზორბა ლორები იორკშირის ჯიშისა. ზოგი მათგანი ფეხზე სდგას და ძლივს დაიზმორება. სულ ოცამდის იქნებიან და თითქმის არც ერთი მათგანი არ იწონის ოც ფუთზე ნაკლებს.

სულ ყველა დიდი ლორებია. გოჭები და ბურაკები კი არსადა სჩანან. როგორ? ნუ თუ ყველა გაბერწებულა? არა! თურმე გოჭები ეყოლებათ თუ არა, გლეხები მაშინათვე ყიდულობენ. თითო გოჭში სიამოვნებით აძლევენ 15—20 მანეთს, ოღონდ კი იყვეს შოვნა. რაც შეეხება ადგილობრივ ლორებს—მათ უფასოდ ანელებენ ჯიშიანი ტახებით. ეს კი თითქმის უკეთესია, რადგან ასეთი შერეული ჯიში სულ ადვილად იტანს ჩვეულებრივ მოვლას და საუცხოვოდ ეგუება ადგილობრივ არობებს. თუ სარგებლობა იმდენი არ მოაქვს, როგორც წმინდა ჯიშისას, სამაგიეროდ უფრო საიმედოა მისი შენახვა და თანაც იოლი.

რადგან დასანელებლად ბევრ გლეხს მოჰყავს თავიანთ ღორები, ამიტომ საჭირო შეიქნა რამდენიმე დასაგრილებელ პუნქტების გახსნა. ამ ღორების პატარა ჯოგს მართლადაც დიდი სარგებლობა მოაქვს აქაურ ხელმოკლე გლეხკაცობისათვის.

ცალკე ბაქში ვნახეთ კიდევ ერთი უშველებელი ტახი. იწონის ოცდაორ ფუთამდე. ვარ რომ ცოტა გამხდარია. ის რომ სრულ ხორცზე იყვეს ალბათ რამდენიმე ფუთით კიდევ მეტი იქნება.

აქვე აბია უბრალო ოსური ძროხა. ჯერჯერობით მარტო ეს წარმოადგენს აქაურ ფერმას“. ეს უბრალო ძროხა მოუყვანიათ სოფლიდან. იწველიდა რაღაცა ერთ ჩარექს თუ ორს. აქ მოუვლიათ, გაუპატიებიათ და 7—8 ჩარექზე ასულა მისი წველა.

ასეთი ამბავი ხომ ჩვეულებრივი მოვლენაა საქართველოში. ჩვენში სრულებით არ იციან პირუტყვის მოვლა. ამიტომ, რა გასაკვირია, თუ ის სარგებლობასაც ნაკლებს იძლევა.

აქვე არის მიწათ-მოქმ. კომისარიატის საცდელი და სანერგე ბაღი. ბაღში ხეხილიც არის და მრავალი ჯიშის ბოსტნეულობაც.

სამწუხაროდ უნდა აღინიშნოს, რომ აქნობამდის სამხ.-ოსეთში არ ჰქონიათ არც სანერგე და არც საცდელი ბაღები. ამიტომ გლეხის მეურნეობას ამ დარგში არავითარი წარმატება არ მიუღია. მხოლოდ ეს მეორე წელიწადია, რაც დაუწყიათ ნაყოფიერი მუშაობა. მომავალი წლისათვის უკვე რამდენიმე ათასი სანერგე გაიცემა გლეხობაში.

საერთოდ უნდა ითქვას, რომ სამეურნეო აღორძინების მაჯისცემა სამხრეთ-ოსეთში ერთობ სუსტია. არც კერძო მეურნეობას ემჩნევა რაიმე კულტურული წარმატება და არც კოლექტიურს.

თითქმის მაგალითის მოსაყვანადაც კი არ არსებობს სადმე კომუნა ან სამეურნეო ნიადაგზე შეკავშირებული რაიმე მკვიდრი ამხანაგობა. ყოველ შემთხვევაში ამხ. ჯატიევთან საუბრიდან ეს დასკვნა გამოვიტანე და მირჩია უფრო საგულდაგულოთ მოველაპარაკებოდი მიწად-მოქმ. კომისარს, რომელიც ჯავაში იმყოფებოდა. სამწუხაროდ მასთან შეხვედრა არ მომიხერხდა. მაგრამ თუ რამე თვალსაჩინო იყო, მე მგონი თვით ამხ. ჯატიევსაც არ გამორჩებოდა.

საფაბრიკო საქარხნო მშენებლობაც ვერაა საკმაოდ განვითარებული. არის მხოლოდ გრუხილი სკამების ფაბრიკა. დრომოჭმულ, ვიწრო და შეუფერებელ შენობაში არის მოთავსებული ის. მასალა გამოაქვთ ოსეთისავე ტყეებიდან, აქ აკეთებენ ყველა ნაწილებს და აწყობა კი ხდება გორში. დღეში აწყობენ დაახლოებით 30—40 ცალს, რაც უმეტეს ნაწილად [illegible] ბაქოში.

შარლისის ფაბრიკასთან შედარებით ამ ფაბრიკის ღირსება ეს არის, რომ ზარალის მაგიერ ცოტაოდენ მოგებასაც სტოვებს. თვითეული სკამი ჯდება ხუთ მანეთამდე. იყიდება კი ექვსად.

ფაბრიკაში იმყოფება სულ ორმოცამდე მუშა, ამათში—ათამდე ქალია.

ეს არის აქაური უდიდესი საწარმოო დაწესებულება. არის კიდევ სამხერხაო, საკირე და აგურხანა.

ვიცი სამხრეთ-ოსეთის ხარჯთ-აღრიცხვის უდიდესი ნაწილი სახელმწიფო დოტაციისაგან შესდგება. მაგრამ დანარჩენი ხარჯები რა საშუალებით იფარება? ე. ი. მეინტერესება: სამხრეთ-ოსეთს მოეპოვება თუ არა რაიმე საკუთარი საშემოსავლო წყაროები?

— ისეთი მნიშვნელოვანი არაფერია, მაგრამ მაინც მოეპოვება, ეს არის ხე-ტყე. რამდენიმე წელიწადია რკინის გზა აუარებელ შპალებს ეზიდება ოსეთის ტყეებიდან. აქედან მთავრობას აქვს დაახლოებით 70.000 მან. შემოსავალი.

მაგრამ მოვა დრო, როცა როგორც ოსეთი ისე ჩვენი კუთხეები ტყეებიდანაც გატყავდებიან. მათი თავგამოდებული დაცვა ყოველკაცის სწარმოებს პლატონიურად. მათი გაჩეხვა-განადგურება კი აქტიურათ და შეუწყვეტლად. ეხლა მხოლოდ შორეულსა და მიუდგომელ ადგილებშიღა დარჩენილა ბარაქიანი ტყე. ამჟამად არსებული დაცვის წესით, მას აქაც ჩქარა მოეღება ბოლო, როგორც შუაგულ ქვეყანაში. ტყის დაცვა მარტო იმაში კი არ გამოიხატება, რომ გლეხს აუკრძალო უთავბოლოდ ჩეხვა. აქ უფრო საჭიროა, თვით სახელმწიფოს მიერ სარგებლობა უნდა იყოს ყაირათიანი, გეგმიანი და მიზანშეწონილი. მუხა და კაკალი უკვე ისე მოისპო ჩვენში, რომ საექსპორტო რაოდენობით მათი დამზადება ყოვლად შეუძლებელია. ალბათ წიფელს და ხაძელსაც ჩქარა ეს დღე ეწევა.

განათლების კომისართან ვზივარ და ვესაუბრები საჭირო საგანზე. ამას ალბათ ძალიან იშვიათად აწუხებენ ისეთი დაუპატიჟებელი სტუმრები, როგორც მე ვარ. ამიტომ ერთგვარ უხერხულობას გრძნობს, ცდილობს ყველაფერზე მიპასუხოს.

ძველათ ყოფილა დაბალი საფეხურის სასწავლებელი 28. მენშევიკების დროს დარჩენილა მხოლოდ 8. ამჟამად კი ითვლება 124—5.500 მოსწავლით. არის ერთი პედაგოგიური ტეხნიკუმი, ერთი ცხრაწლედი, არის ქართული შვიდწლედი. არის კიდევ 2 გლეხთა ახალგაზრდობის სკოლა, ერთი ჭრაკერვისა და ერთიც საფეიქრო. დაბალ საფეხურის სკოლების საერთო რიცხვიდან 1 ებრაულია და 34 ქართული. ყოველ 615 სულზე მოდის თითო სკოლა.

მიმდინარე წლის 808.784 მან. საერთო ბიუჯეტიდან განათლების საქმეზე დახარჯულა -- 257.090 მან.

ასეთია ოფიციალური ცნობები. ახლა როგორია ცნობები თვით ცხოვრების სინამდვილისა?

— როგორ მიდის სამხრეთ-ოსეთი იოლად? ჰყოფნის თუ არა საკუთარი კულტურული ძალები ყველა სახელმწიფო, საზოგადო და სამეურნეო ხელმძღვანელობა-აღმშენებლობისათვის?

— არა- ადგილობრივი ძალები როგორ გვეყოფა! აქ ძალიან ცოტა გვყავს მომზადებული ხალხი. ჩვენი ინტელიგენციის უმეტესი ნაწილი ჩრდილოეთ-ოსეთიდან მოდის.

— მაინც ადგილობრივი მცხოვრებლები ხომ ხალისით ეკიდებიან სწავლას?

— ხალისი კი დიდი აქვთ, მაგრამ ჩვენი ახალგაზრდები ისწავლიან თუ არა ცოტა რაგიან წერა-კითხვას, სოფელში აღარ უდგებათ გული და ყველა ცენტრისაკენ მიიშურება. ახალგაზრდა კულტურული ძალები ასე გაურბიან სოფელს, რაც მეტად არასასურველ მოვლენას წარმოადგენს. ასე კი სწავლას დიდის გატაცებით ეტანება ჩვენი ახალგ-ბა. ჩვენდა დაუხმარებლად, თავიანთი საკუთარი ინიციატივით რუსეთის მუშფაკებში და უმაღლეს სასწავლებლებში იმყოფება უკვე 140 კაცამდე. ყველა ეს ძალები, სწავლის დამთავრებისას რომ დაუბრუნდენ თავიანთ ქვეყანას, ცხადია ჩვენი ჩამორჩენილი ხალხი ბევრად დაწინაურდებოდა.

— როგორ მიდის ახალი ალფაბეტის საქმე? ხალხი ადვილათ იღებს თუ არა მას?

— სულ ადვილად.

— საგნების სწავლა რუსულად არის, თუ ოსურათ?

— რუსულათაც და ოსურათაც. ოსურათ უფრო გაძნელებულია რადგან ჯერ სახელმძღვანელოები არა გვაქვს.

— ქართულს ასწავლით ოსურ სკოლებში?

— როგორც საგანს.

— ქართულ შიაც ასწავლიან ოსურს?

— აქაც სავალდებულოა, როგორც საგანი.

ეს არის დაახლოებითი სურათი აქაური სწავლა-განათლებისა როგორც ხედავთ, აქ საკმაოდ მრავალრიცხოვანია დაბალ საფეხურის სასწავლებლები, მაგრამ სრულებით არ მოიპოვება რაიმე სპეციალური სასწავლებლები, გარდა პედაგოგიურ ტეხნიკუმისა. ეს უეჭველად დიდ ნაკლათ უნდა ჩაითვალოს. სამხ.-ოსეთისათვის დიდი მნიშვნელობა ექნება, როცა ადგილობრივ მიიღებენ საჭირო პრაქტიკულ ცოდნას და იქვე დაუტრიალდებიან თავიანთ კუთხეს სამუშაოდ.

მინდა გავიგო: ცხინვალში არის კიდევ რაიმე კულტურული დაწესებულება, თუ არა. კომისარის სახეზე უსიტყვოთავე ვკითხულობ პასუხს: არავითარი. თუმცა ჰქონიათ ერთი პატარა მუზეუმი. იმას შემდეგ ვინახულებ.

თანამედროვე ცხოვრების თვალსაჩინო ცვლილებანი თუ მოვლენანი სამხ.-ოსეთის ცენტრ ცხინვალში თითქმის ამ ზემონათქვამით ამოიწურება.

აქ მე გამომრჩა, მეთქვა რამე კოოპერატიულ მოძრაობის შესახებ. მართალია აქაც აუდგამს ფეხი კოოპერაციას, მაგრამ ძალიან მძიმეთ. თითებზე ბეჯითად ვითვალეთ, ვითვალეთ და როგორც იქნა 12 წერტი დავითვალეთ მთელ სამხრეთ-ოსეთის არემარეზე. ამ რიცხვით მე მგონი კოოპერაცია ვერ იამაყებს თავის მიღწევებს. შვიდ-რვა სოფელი გავიარე ფეხით და არც ერთგან არ შემხვდა კოოპერატიული სავაჭრო.

საერთოდ, აქ ვამჩნევ მკაფიოდ ერთ გარემოებას: საბჭოთა ხელისუფლების დროს ის მოსახლეობას ეტყობა დიდი გამოცოცხლება და თავგამოდება თავის ეროვნულ ძალღონის აღსადგენად და განსავითარებლად.

ლ. მეტრეველი.

სახელმწიფო კინოები

განთიადი	**ლურჯი სისხლი**
არფასტო	უცხოეთ. მხატვრული სურათი მოჯადოებული კუნძული
პალასი	მოსამსახურე ყველაფრისათვის
სოლეი მინიონი აპოლო	**ყაზახები** ლ. ნ. ტოლსტოის მოთხრობის მიხედვით სანდრო ინაშვილის, მ. ჩერქესკაიასი და ა. შირაის მონაწილეობით
დარბაზი	**სასიკვდილო ნახტომი** ა. ბოკოლინის მონაწ.
პროლეტარი ავლაბარი	**უნებური კაცი**

სასიკვდილო ნახტომი

საუკეთესო სურათი

ზღვის ტყვეები

მინიონი 2-რე კვირა **ყაზახები**

ბედნიერი სიკვდილი

ღამის ექსპრესი

უკრაზია 1 და 2 სერია

ანონსი: მალე საუკეთესო სურათი „ყინულის სახლი“

გამოვიდა ჟურნალი

„სოფლის კომუნისტი“

№ 9

შინაარსი

მეორე საინდუსტრიალიზაციო სესხი სოფლად. **ფ. მახარაძე**—სოფლის მეურნეობის კოლექტივიზაცია (დასასრული). **ს. მამულია**—კომუნისტური ინტერნაციონალის მე-6 კონგრესის შედეგები. **მ. ძამანაშვილი**—პურის დამზადების საკითხი და მოსავლიანობის გადიდება. **გ. ლომთათიძე**—შეცდომები სასოფლო-სამეურნეო გადასახადის გაწერაში.

პარტიული აღმშენებლობა: **ს. ლომიძე**—საბჭოთა უჯრედების პარტკანდიდატების გადასინჯვა. **დ. ორაგველიძე**—როგორ უნდა ვაწარმოოთ პარტგანათლება სოფლად. **ი. ორაგველიძე**—პარტიის წევრთა მიღების საკითხი

საერთაშორისო მიმოხილვა: **თ. სიხარულიძე**—საერთაშორისო მდგომარეობის საკითხები.

ადგილობრივი ცხოვრება; **პ. ხოგუა**—პოლიტგანმანათლებელი მუშაობა სოფლად. **შ. სიხარულიძე**—გლეხთა ახალგაზრდობის სკოლები საქართველოში. **ალ. გედიაშვილი**—საგარეჯოს კომკავშირის ორგანისაცია. **ან. ქირცხალია**—ქალთა შორის მუშაობა სენაკის მაზრაში. **ა. ი-ვი**—პარტმუშაობა ერწოს თემში. **ვ. ნათელაშვილი**—კულტურული მუშაობა ახალდაბაში. **ბიბლიოგრაფია.**

ჟურნალი დაურიგდება ხელისმომწერთ და გაიყიდება ყველგან.

ნ. 1700

მიხა ჩოდრიშვილის სახელობის

საბუღალტრო კურსები

ქართულ და რუსულ ენებზე

მიღება არის ახალ ჯგუფში მივლინებით კავშირიდან 20 პროც. განთავისუფლებით. ან ჩოდრიშვილის სახ. კლუბში მდივანთან პლეხანოვის პრ. № 66, ან კურსების გამგე იოვ. ზ. ტერ-სტეფანოვთან ბოჭორიშვილის (1-ლი თუმანოვის) ქ. № 13. 4522

საჯარო ვაჭრობა

საქართველოს ს.ს.რ. ჯანმრთელობის სახალხო კომისარიატი აცხადებს, რომ ა. წ. 20 ოქტომბერს, დღის 1 საათზე ჯანმრთელობის სახალხო კომისარიატის სადგომში, (ოთახი № 2), გაიმართება

საჯარო ვაჭრობა

ქ. თბილისის ტროპიკულ სნეულებათა ინსტიტუტის კლინიკურ განყოფილების სადგომის საამშენებლო მუშაობაზე.

ხარჯთ-აღრიცხვების, ნახაზების და ტეხნიკურ პირობების გაცნობა შეიძლება ა. წ. 17 ოქტომბრიდან ყოველდღე, უქმი დღის გარდა დილის 11—1 საათამდე, ჯანმრთელობის სახალხო კომისარიატში № 2 ოთახში.

ფასები წარდგენილ უნდა იქნეს დახურულ პაკეტებში.

ვაჭრობაში მონაწილეობის მიღების მსურველმა უნდა წარადგინოს ქვითარი იმის დასადასტურებლად, რომ თბილისის ხაზინაში მის მიერ საერთო წესით შეტანილია საწინდარი წარდგენილ ხარჯთ-აღრიცხვის 10 პროცენტის რაოდენობით.

ჯანმრთელობის სახალხო კომისარიატი, ძნელაძის ქუჩა, № 30. 4524

ელექტრონის შუქით სამკურნალო

საექიმო კოსმეტიკის კაბინეთი

ნ. პ. გვირიშიანის

სახის გაახალგაზდავება ამერიკელი პროფესორი დეზინევიჩის მეთოდით.

კოსმეტიკური მკურნალობა კანის ყოველგვარი დაავადების: ტალი, ფერჭამელა, მუწუკები, ჭორფლი, მეჭეჭა, ყვავილის ნიშნები, კანის სიმშრალე, ქონის გამოყოფა, მზის დამწვარი, ლაქები, სახის ემალი, ნიშანი, ბებერა (мозоль).

თმის მკურნალობა გერმანელი პროფესორების იულისბერგის და იოზეფის მეთოდით: ქერტლი, თმის ზრდა, დაცვენის და ყოველ გვარი დაავადების საექიმო დარიგება კანის და თმის შესახებ.

დაარსონვალიზაცია აპარატ. teslatherm და shelton, ფარადიზაცია და ელექტროლიზაცია, სახის, კისრის, ხელების, და გულმკერდის. გამოძ ხება სახლში დილ. 9 ს.—11 ს. მიღება დილის 11 ს.—5 საათ. საღამოს. მისამართი: განოვის ქ. № 9 (ა. წერეთლის) ეზოში. 4487 2—1

თავდაცვა-ავიაქიმის თბილისის საბჭო

მოსკოვისა & ლენინგრადის მაგალითების მიხედვით

იწყებს გიპსის ფარების გავრცელების კამპანიის ჩატარებას

ფარებზე გამოხატულია თავდაცვის ემბლემა წარწერით: „,ვაძლიერებთ საბჭოთა კავშირის თავდაცვას‘‘.

ემბლემა დამტკიცებულია საბჭოთა კავშირის ცაკის მიერ, ფარები უნდა გამოიკრას სახლების, ფაბრიკების, ქარხნების, კლუბების და დაწესებულებების ფასადზე, წითელ კუთხეებში და სადგომების შიგნით. ოქტომბრის რევოლიუციის თერთმეტი წლის თავზე ყველა სახლი (ფასადი) უნდა მოირთოს ამ ფარებით, რომელიც გამოდის მხატვრულად შესრულებული 4 ზომისა, შენობების ზომის მიხედვით,

ყოველნაირი ცნობებისთვის მიმართეთ ფარის გამავრცელებელ კანტორას:

რუსთაველის პრ.ოსპ., ქალაქის კომენდანტის სამმართველოს შენობა.

თავდაცვა-ავიაქიმის თბილისის საბჭო.

ნ. 1695 2—2 **საქართველოს საბინაო კავშირი.**

სასწავლო სეზონისათვის

თვალსაჩინო სასწავლო ხელსაწყოთა ინსტიტუტი

მზათ არის მოაწყოს ფიზიკისა, ბუნებისმეტყველებისა და სხვ. კაბინეტები და ლაბორატორიები. არის ყოველნაირი ლაბორატორული და ქიმ. ჭურჭელი, აპარატურა და რეაქტივები

ფასები დაკლებულია

თბილისი, ავჭალის მოედანი, № 10, გერმანულ სასაფლაოს პირდაპირ. ტელეფონი 16—49. 10—4 ნ. 1620

კინო აპოლო

ორშაბათიდან

15

ოქტომბრიდან

ნ. რიმსკი

საზღვარგარეთის

მხატვრულ

კომედიაში

ბედნიერი სიკვდილი

ნ. 1704

მიხეილ გედევანიშვილის

სახელობის

სამკურნალო

საწოლებით

ელექტრონით და სინათლით სამკურნალო კაბინეტი

ნერვიულ და აგრეთვე იმ ავადმყოფთათვის, რომელნიც ფიზიკურ მეთოდებით ექიმობას საჭიროებენ. მიღება 2—3 და 6—8 საათ. თბილისი, ყორღანოვის ქ., № 20 25—1

ექიმი

ა. ს. ვადაჭკორია

დაბრუნდა აგარაკიდან და ღებულობს ქალთა და შინაგან სნეულებათა ავადმყოფთ. დილის 9—12 ს.—მდე და საღამოს 4—6—ს—მდე (ყოფილი ოლღას) ლენინის ქ., № 35 13—2

ექიმი

ქ. ს. ფონ-ირტელი

სპეციალურად მკურნალობს საშარდე, სქესობრივ (სქესობრივი უძლურება) ვენერიულ (ტრიპერი) ავადმყოფობას, სიფილსს და მის შედეგებს, კანისა და ქირურგიულ ავადმყოფობას (სიმსივნე. ბუასილი) ელექტრომკურნალობა და ოპერაციები. ავადმყოფების მიღება დილ. 8 ს. დღის 12 საათამდე და საღ. 4 ნახ. საათ.—7 საათამდე. ქალების მიღება დღის 10—12 საათამდე. პლეხანოვის პროსპ. №10

ექიმი

ანასტასი ლევის ძე

ორლოვსკი

დაბრუნდა და განაახლა შინაგან და საბავშო სნეულებით ავადმყოფთა მიღება. (სპეციალურად მალიარია) ამოს ქუჩა (ყოფ. ქსენიევის ქუჩა) № 9 მიღება დილით 1—2 საათამდე და საღამოთი 6—7 საათამდე. 25—1

ექიმი

ტერ-ოვაკიმოვი

დაბრუნდა & განაახლა ავადმყოფების მიღება. სპეციალურად: **სქესობრივი ფუნქციონალური აშლილობა და სიფილისი.** (ფსიხოტერაპია) ავადმყოფების მიღება: დილაობით: 11—1 საათ.; საღამოობით 5—8 საათ საბჭოთა (ყოფ. ჩერქეზიშვილის) ქ., № 48, ტორესის (ყოფ. კირკის) ქუჩის. კუთხე. 25—1

კბილის ექიმი

ა. გ. სოლოლაშვილი

დაბრუნდა და განაახლაავადმყოფების მიღება

დილ. 9—3 საათ. და საღ. 6—7 ს. რუსთაველის გამზირი, № 12. 25—1

ორშაბათიდან, 15 ოქტომბრიდან

კინო-თეატრებში

პალასი-სოლეი-არფასტო

დადგმით და სიუჟეტით განსაკუთრებული ფილმი

„ზღვის ტყვეები“

7 ნაწილად

სურათში მონაწილეობას იღებენ:

შტრაუხი—წყალქვეშა ნავის № 12-ის უფროსის როლში.

ლერი, კუტუზოვა, კნიპერ-ჩეხოვა,

რეჟისორი—**მ. მ. ვერნერი**

ოპერატორი—**სლავინსკი.**

ნ. 1704

რ. ს. ფ. ს. რ. სახ. მეურნეობის უმაღლესი საბჭო

სახელმწიფო მუსიკალური ტრესტი

„მუზტრესტი“

თბილისის განყოფილება.

იყიდება როიალები და პიანინოები: ბეკერის, შრედერის, ოფენბახერის და სხვ.

— — —

გიტარები, მანდოლინები, გარმონები, ბაიანები, ბალალაიკები, თარები, ჩონგურები, ფანდურები, დოლები, დაირები, ზურნა, დუდუკი & სხვ.

— — —

დიდძალი ნოტები—რუსეთისა და საზღვარგარეთის ყველა გამოცემა

— — —

მუდამ იშოვება ახალი სიმები; ფასები დაკლებულია 40 პროცენტამდე.

— — —

მუშებსა და მოსამსახურეებს ნისიად მიეცემათ საფაბრიკო-საქარხნო ადგილკომების საშუალებით

— — —

განყოფილებასთან არსებობს შემკეთებელი სახელოსნო საუკეთესო გამოცდილი ოსტატებით; შესაკეთებლად მიიღება პიანინოები, როიალები. გიტარები, მანდოლინები, ბალალაიკები და სხვ.

— — —

სატრანსპორტო განყოფილება კისრულობს როიალებისა და პიანინოების ადგილიდან-გადმოტანას, ჩალაგებას და გაგზავნას.

— — —

სრული დასურათებული პრეისკურანტი მსურველებს ეგზავნებათ ორი ორშაურიანი მარკის მიღების შემდეგ.

— — —

• კომინტერნის ქ. 6, როიალებისა და პიანინოების დეპო. კომინტერნის ქ. № 5, მაღაზია. ტელეფონი 14—53.

ნ. 1699 12—1 **მუზტრესტი**

როიალებისა და პიანინოების მომართვა 3 მანეთი

ავჭალის შუშის ქარხანა

„კრასნი სტეკლოდუვი“

(ავჭალაში)

თბილისის შრომის ბირჟასთან არსებულ კოლექტივთა გაერთიანების სამმართველო აშენებს ახალი ღუმელის შენებას (ორი უკვე აქვს), ქარხანა იღებს ყოველგვარი დაკვეთას ვაჭრობის სახ. კომისარიატის ფასებში, როგორც თეთრ, ისე თლილი შუშის ჭურჭლისა. საწყობში იშოვება კვარტიანი ბოთლები, 1/16 ბოთლები, შამპანიურის ბოთლები, სხვადასხვა ზომის სააფთიაქო ჭურჭელი, ლიმონის წყლის ჭურჭელი, მურაბის ქილები და სხვ. ნ. 1649 0—6

ნ. ზ. კანტოროვიჩისა

მიღებულია საზღვარგარეთიდან ახალი საშუალებები თმების სამკურნალოთ და ფერის მჭამელას, მუწუკების, ჭორფლის, ტალის, მეჭეჭის და სხვ. გასაქრობათ. ვაძლევ საექიმო რჩევა-დარიგებას პირის კანის მოვლისა და თვითმასაჟის შესახებ საზღვარ-გარეთის მეთოდების მიხედვით. ფრეილინის ქ. № 1. პაციენტების მიღება 11-დან 3-მდე და საღამოს 6-დან 8 საათამდე. 25—1

ექიმი

გიორგი ნიკოლოზის-ძე

ონანოვი

სიფილისი, ვენერიულ და კანის ავადმყოფობანი. სქესობრივი ნევრასტენიის მკურნალობა. ავადმყოფების მიღება დილის 8—10 ს—დე და საღამოს 4—5 ნახ. ს—დე. ქალების საღამოს—7-დან 8 საათამდე. კლარა ცეტკინის ქუჩა (ყოფ. ელისაბედის) № 3. 25—1

ექიმი

ა. დ. კეკელია

სიფილისი, ვენერიული და კანის სნეულება

პლეხანოვის პროს. № 116. სასტუმრო „ნოე“-ს პირდაპირ. მიღება დილის 9—12—საღ. 7 ნახ.—8 ნახ. საათ ტელეფ.—1267. 25—1

ექიმი

დარეჯან ე. თასიხმაშვილი-

კაკუბერი

სიფილისი, ვენერიული & კანის სნეულება სემიონოვის (ვარდციხის ქ.) მე-9-რე უბანი, № 16,

მიღება დილის 8—9 საათ. საღამ. 5—8 საათ. 25—1

ექიმი

გ. მ. ფხალაძე

გადავიდა მარტის ქუჩაზე № 6 (ყოფ. ბოგოლსოვას) ჩასახვევი ოლღას ქუჩიდან. სპეციალ. **სიფილისი, ვენერიული და კანის სნეულებანი.**

იღებს: დილის 7—8 საათამდე

საღამოს 6—8 კაცებს

5—6 ქალებს.

25—1

ექიმი—ვენეროლოგი

ნინო მირიანაშვილი

იღებს კანის და ვენერიულ ავადმყოფებს (ქალებს და ბავშვებს)

დღის 2—3 საათ. და საღამოს 6—8 საათამდე მოსკოვის ქუჩ. № 4 ტელ. 14—23.

თვალის ექიმი

მალაევი

ღებულობს ავადმყოფებს

დილით 8—9 საათ., საღ. 6—7 ს მისამართი: თვალის საავადმყოფო, კლ. ცეტკინის ქ. (ყოფ. ელისაბედის) № 47, ელსმენი № 5—90. 25—1

ექიმი

ი. ი. ბერიშვილი

ვენერიული, საშარდე—სასქესო ორგანოების, სიფილისი და კანის ავადმყოფობა

დილით 9—1 საათ. საღამოს 5—8 ს ქალებისათვის ცალკე შესავალი, სასტუმრო „ევროპას“ (ყოფ. „ნოეს“) პირდაპირ ჩოდრიშვილის და პლეხანოვის შესახვევი № 8. 25—

ცირკულიარულად

დამატებით შრომის სკოლებისათვის გამოცხადებულ წიგნთა სიისა ს. ს. ს რ. განათლების კომისარიატი აქვეყნებს იმ სახელმძღვანელოების სიას, რომლებიც სავალდებულოდაა მიღებული ტეხნიკუმები, მუშფაკებში, სპეციალურ ტიპის დაბალ საფეხურის სკოლებსა და კურსებზე.

განათლების სახალხო კომისარი დ. კანდელაკი.

სახელმწიფო გამომცემლობა

სახელმძღვანელოები

ტეხნიკუმების, მუშფაკების, სპეც-ტიპის დაბალ საფეხურის სკოლებისა და კურსებისათვის

1. **ვ. კანდელაკი** და **დ. მგელაძე** — ტრუდ ი ზნანიე.
2. **დ. გვაზავა** და **ვ. ბახტაძე**—კლასთა ბრძოლის ისტორია.
3. **გ. გეხტმანი** — მსოფლიო ეკონომიური გეოგრაფია.
4. **ხორაბინი** — მსოფლიო ეკონომ. გეოგრაფია.
5. **ა. ჩხენკელი**—ბიოლოგია.
6. **ჭავჭანიძე**—ბიოლოგია.
7. **ბუბლიკოვი** — ბიოლოგიური საუბარი.
8. **ა. დევიძე** და **ა. ხარაბაძე**—სწორწიროვანი ტრიგონომეტრია.
9. **კ. სულაქველიძე** — სწორწიროვანი ტრიგონომეტრია.
10. **ნ. კვინიკაძე, ნ. მგელაძე** და **ნ. შაფაქიძე**—მათემატიკის სახელმძღ.
11. **გ. წერეთელი** — სტერომეტრია.
12. **გ. წერეთელი** და **ნ. კვინიკაძე**—ალგებრის სამუშაო წიგნი.
13. **ა. ხარაძე** — უმაღლესი მათემატიკის შესავალი.
14. მათემატიკის ტერმინები.
15. ფიზიკის ტერმინები.
16 ანტირელიგიური წრეების სახელმძღვანელო.
17. **ინჟ. ა. გულისაშვილი** — მხაზველობითი გეომეტრია.
18. **ს. მეფისაშვილი** — გეომეტრიული ხაზვა.
19. **ინჟ. ა. გულისაშვილი**—მანქანათა ნაწილები.
20. **ინჟ. ვ. კაკაბაძე**—მანქანათმცოდნეობა.
21. **ინჟ. ბ. ჭიჭინაძე**—ორთქლის ქვაბების მოკლე კურსი
22. **პროფ. პ. კოპნიევი** — ელექტროტეხნიკა.
23. **ა. გულისაშვილი** — მეტალურგია.
24. **ინჟ. ანდრონიკაშვილი** — საამშენებლო ხელოვნება.
25. **ქარუმიძე** — არაორგანიული ქიმია.
26. **ი. ქავთარაძე** — ორგანიული ქიმია.
27. **ბარნაბიშვილი - ციციშვილი** და **ფანცხავა**—სურსათ-სანოვაგის ანალიზის მეთოდიკა.
28. **ა. ჩხენკელი**—ბოტანიკა.
29. **ე. ბერიშვილი** — ხილის და ბოსტნეულის გაჩირვა-გახმობის სახელმძღვანელო.
30. **გორთამაშვილი** — მებაღეობა.
31. **გორთამაშვილი** — მებაღეობა.
32. **ქიქოძე** — მევენახეობა.
33. **გაჩეჩილაძე** — მეტეოროლოგიის ელემენტები.
34. **ბელსკი** — სასოფლო-სამეურნეო ჰიდროტეხნიკა.
35. **ბ. ნ. გეხტმანი** — სოფლის მეურნეობის ეკონომიკა.
36. **აგრ. კიზირია**—სარკვევი მანქანები 1928 წ.
37. **ცეცხლაძე** — ადამიანის ფიზიოლოგია.
38. **ლოსაბერიძე** — ჰიგიენა.
39. **ა. გუზიკოვი** — კბილის სამკურნალო საპროთეზო ტეხნიკა.
40. **ექ. ი. თუმანიშვილი** — გინეკოლოგია
41. **ი. ლორთქიფანიძე**—სამკურნალო სტატისტიკა და სოციალური სენები.
42. **არჯევანიძე** — მეანობა.
43. **პროფ. ლე-კუტრე**—ბალანსმცოდნეობის საფუძვლები.
44. **ი. ავალიშვილი** — ბალანსის ანალიზი.
45. **პროფ. ა. გალაგანი** — სავაჭრო ანგარიშწარმოება.
46. **ა. ინწკირველი**—ბუხჰალტერიის ზოგადი კურსი.
47. **პ. ს. ლანდია**—ფინანსიურიგამონაგარიშება ნაწ. 1-ლი და მე-2.
48. **შ. გოგებაშვილი**—სამომხმარებლო კოოპერაციის ორგანიზაცია და პრაქტიკა.
49. **ა. ინწკირველი** ანგარიშმცოდნეობის საფუძვლები.
50. **კორნეევი** — კოოპერაცია.
51. **მასლოვი** — კოოპერაციის საფუძვლები.
52. **შ. ზ. გოგებაშვილი**—კოოპერატივის სარევიზიო კომისია.
53. **ი. ავალიშვილი**—ფინანსიური გამოანგარიშების სახელმძღვანელო.
54. **კ. ი. მეგრელიძე** — საქონელთმცოდნეობა.
55. **კორნილოვი** — სკოლის ასაკამდე ბავშვის ყოფა - ცხოვრება.
56. კრებული—სკოლის ასაკამდე აღზრდა (ამხ. **მ. ორახელაშვილის** რედაქციით).
57. **მაჩაბელი** და **წულუკიძე**—წერა - კითხვა საბავშო ბაღში.
58. **რ. ნიკოლაძე** — წერა-კითხვის სწავლების მეთოდიკა.
59. **უნაფქოშვილი** — ბუნება საბავშო ბაღში.
60. **პინკევიჩი** — ბუნებისმეტყველება — მეთოდიკა.
61. მასწავლებლის თანამგზავრი.
62. **კორნილოვი** — ფსიქოლოგია.
63. **გ. გ. დევდარიანი** — პედოლოგია.
64. **ბურჭულაძე**—მათემატიკის სწავლების მეთოდიური სახელმძღვანელო.
65. **პაილი**—ფსიქოლოგიის გამოყენება სწავლების დროს.

დამხმარე წიგნები მოწაფეთათვის

1. **ინჟ. ბ. ჭიჭინაძე.** ზაჰესი და საქართველოს ელექტროფიკაცია.
2. **ინჟ. ბ. ჭიჭინაძე**—თეთრი ნახშირის ტეხნიკის თანამედროვე განვითარება.
3. „ „ აბაშის ჰიდროელსადგური.
4. **ინჟ. ვ. კაკაბაძე**—ქიმიური ომი და მშვიდობიანი მრეწველობა.
5. „ „ —ხის მასალის ქიმიური გადამუშავება.
6. „ „ — ქიმიური მრეწველობის მნიშვნელობა და მისი პერსპექტივები საქართველოში1 ნაწ.
7. „ ქიმიური მრეწველობის მნიშვნელობა და მისი პერსპექტივები საქართველოში. ნაწ. მე-2.
8. „ „ —ქიმია ადამიანის სამსახურში.
9. „ „ — ნავთის კრეკინ—პროცესი.
10. **ა. კაზაჩკოვი**—სამხედრო ტოპოგრაფია.
11. **ი. ქავთარაძე**—პირველი მუშაობანი მიკროსკოპით.
12. **გიგინეიშვილი.** — ამინდის პროგნოზი საქართველოში.
13. **მასწ. ჯგუფი**—ფიზიკის ელემენტები სოფლის მეურნეობაში.
14. **დ. ჩარკვიანი** — ფიზიკის ამოცანათა კრებული.
15. **ი. ქავთარაძე**—ბუნება სკოლასა და სახლში.
16. **აპოლონ წულაძე**—ფუტკარი და მეფუტკრეობა.
17. **სპ. ჩომახიძე**—აბრეშუმის პარკის ამოხვევის ტეხნიკა.
18. **ინჟ. ვ. კაკაბაძე**—შინამრეწველობა საქართველოში.
19. **რუბინი**—ეკონომიურ მოძღვრებათა ისტორია.
20. **აკაკი კალაძე**—მეაბრეშუმეობა და საბრეშუმო მრეწველობა საქართველოში.
21. **დიომიდე თოფურიძე**—საქართველოს ეკონომიკის საფუძვლები.
22. საუბრები სოფლის სამომხმარებლო კოოპერაციაზე.
23. **ინჟ. ვ. კაკაბაძე**—საქართველოს მრეწველობის მდგომარეობა, მისი საჭიროებანი და პერსპექტივები.
24. **ქ. რაჭველიშვილი**—საქართველოს მოკლე ისტორია.
25. **ცქიტიშვილი**—აბრეშუმის ჭიის მოვლა.
26. **ჰარვუდი** — განახლებული დედა-მიწა.
27. **ყანჩაველი**—ბოტანიკა ნაწ.1-ლი და მე-2.
28. **კ. კაუცკი**—უახლოესი სოციალიზმის წინამორბედნი.
29. **გოგიბერიძე**—ისტორიულიმატერიალიზმი.
30. **ნ. ბუხარინი**—ისტორიული მატერიალზმის ისტორია.

განათლების სახალხო კომისარი **დ. კანდელაკი.**

სახელმწიფო გამომცემლობის გამგე **ბ. ბიბინეიშვილი.**

პროფგანათლების მთავარმმართველობის გამგის მოადგილე **დ. ცხაკაია.**

შრომის სკოლებისათვის

დამატებით ა-წ. 2 სექტემბრის გაზეთ „კომუნისტში“ გამოცხადებულ სახელმძღვანელოებისა — განათლების სახალხო კომისარიატი აქვეყნებს იმ წიგნთა სიას, რომელთაც თანდათანობით უნდა შესცვალონ მე-, 6, 7, 8 და მე-9 ჯგუფებში დღევანდლამდე ხმარებული ქართული ენის ქრესტომატიები.

სოციალური აზრდის მთავარ სამმართველოს გამგე **მ. ორახელაშვილი.**

1. **შიო არაგვისპირელი**—რა ზიზღით მიცქერის. ესაა ჩვენი ცხოვრება მე-5 და მე9 ჯგუფ.
2. **მიხ. ჯავახიშვილი**—ჩანჩურა, მართალი აბდულა— მე-5 ჯგუფ.
3. **ა. წერეთელი**—მოგონება,—მე-5 ჯგუფ.
4. „ — არსენას ლექსი,—5 ჯგ.
5. **ა. წერეთელი**—რჩეული ლექსები—5, 6, 7 და 9 ჯგ.
6. **ნ. ლომოური**—ყოველი მხრიდან—5 ჯგ.
7. „ —ბედი უბედურთა—9 ჯგ.
8. „ —ალი— 5 ჯგ.
9. „ — ქრისტიანი ლეკები—9 ჯგ.
10. **ს. შანშიაშვილი**—ურემი, შუშა, მეჩონგურე ამბაკო, მაისობა სოფლად, მოჯამაგირე გაბო—5 ჯგ.
11. **გ. ერისთავი**—გაყრა—6 და 9 ჯგ.
12. „ —დავა—9ჯგ.
13. **დ. ჭონქაძე**—სურამის ციხე—6 და 9 ჯგ.
14. **შ. არაგვისპირელი**—ჩემი ბრალი არ არის ღმერთო—6 ჯგ.
15. **დ. კლდიაშვილი**—ქამუშაძის გასაჭირი—6 და 9 ჯგ.
16. „ — სამანიშვილის დედინაცვალი—6 და 9 ჯგ.
17. **ი. ჭავჭავაძე**—ოთარაანთ ქვრივი—6 და 9 ჯგ.
18. „ — გლახის ნაამბობი—6 და 9 ჯგ.
19. „ — რჩეული ლექსები—6, 7 და 9 ჯგ.
20. „ — კაცია ადამიანი—6 და 9 ჯგ.
21. „ —კაკო ყაჩაღი—5 და 9 ჯგ.
22. „ — მგზავრის წერილები—7 და 9 ჯგ.
23. „ — განდეგილი—7 და 9 ჯგ.
24. „ — სახრჩობელაზე— 7 და 9 ჯგ.
25. **ო. თუმანიანი**—გიქორ—5 ჯგ.
26. **ს. მგალობლიშვილი**—და შეფიცეს!—7 და 9 ჯგ.
27. „ — ჯორ-ზაქარა—9 ჯგ.
28. „ —გიგო ღრუბელაშვილი— 7 და 1 ჯგ.
29. „ —დედა მაია—9 ჯგ.
30. **ჰ. ლომთაძე**—პირველი მაისი, სახრჩობელის წინაშე—7 და 9 ჯგ.
31. **ი. ეკალაძე**—ზღვის პირად, ილიკო ბედენაძე, ტყეშიც.— 7 ჯგ.
32. **ე. ნინოშვილი**—განკარგულება, გოგია უიშვილი— 5 და 9 ჯგ.
33. „ — მოსე მწერალი— 6 და 9 ჯგ.
34. „ — სიმონა—7 და 9 ჯგ.
35. „ —პალიასტომის ტბა— 6 და 9 ჯგ.
36. **ე. ნინოშვილი** — ჩვენი ქვეყნის რაინდი—6 და 9 ჯგ.
37. **ა. ყაზბეგი**—ხევის ბერი გოჩა—7 და 9 ჯგ.
38. „ — მოძღვარი, ელისო— 7 და9 ჯგ.
39. **მ. გორკი**—ქარიშხალი —7 ჯგ.
40. **ნ. მიწიშვილი**—თებერვალი —9 ჯგ.
41. **ლ. ქიაჩელი** — ტარიელ გოლუა—7 ჯგ.
42. **დ. სულიაშვილი**—ლენინთან პეტროგრადამდე—7 ჯგ.
43. „ — ჩიკორი—7 ჯგ.
44. **არდაზიანი**—სოლომონ ისაკიჩ მეჯღანუაშვილი—7 და 9 ჯგ.
45. **გ. წერეთელი**—პირველი ნაბიჯი—7 და 9 ჯგ.
46. **რ. ერისთავი** — რჩეული ლექსები — 5 და 9 ჯგ.
47. **ი. დავითაშვილი** — რჩეული ლექსები—5 და 9 ჯგ.
48. **ხალხური შემოქმედება**—1 და 2 ნაწილი—8 ჯგ.
49. ახალი მწერლობა (**ალ. ჭავჭავაძე, გ. ორბელიანი, ნ. ბარათაშვილი**)—7 და 1 ჯგ.
50. თანამედროვე პოეზია (**ჩიქოვანი, ზომლეთელი, ეული, აბაშელი, ქუჩიშვილი, ვაკელი**)—6. 7 9 ჯგ.
51. **ვაჟა-ფშაველა**—პოემა და ლექსები—5, 6, 7 და 9 ჯგ.
52. **ი. ევდოშვილი** — რჩეული ლექსები—5, 6, 7, და 9 ჯგ.
53. **გ. ტაბიძე**—1917 წ., ჯონ-რიდი—9 ჯგ.
54. **კ. ლორთქიფანიძე** — პიონერი თანდო, ბელადს, პოეტი—5, 6 და 7 ჯგ.
55. ლექსთა კრებული—(**გრიშაშვილი, ჭიჭინაძე, გაფრინდაშვილი, მოსაშვილი, გორგაძე**)—5 და 6 ჯგ.
56. **პუშკინი**—ევგენი ონეგინი—9 ჯგ.
57. **გრიბოედოვი**—ვაი ჭკუისაგან—9 ჯგ
58. **სერვანტესი** — დონკიხოტი—9 ჯგ.
59. **შექსპირი** — ჰამლეტი—9 ჯგ.
60. **მოლიერი** — გააზნაურებული მდაბიო—9 ჯგ
61. **ბომარშე**—ფიგაროს ქორწინება—9 ჯგ.

1. **მასწ. ჯგუფი**—ფიზიკის ელემენტები 1 და 2ნაწ.
2. **ი. იაშვილი**—სამუშაო წიგნი დაწყებითი გეოგრაფიასა და მხარეთმცოდნეობაში.

განათლების სახალხო კომისარის მოადგილე
სოციალურ აღზრდის მთავარსამმართველოს გამგე **მარიამ ორახელაშვილი.**

სახელმწიფო გამომცემლობის გამგე **ბ. ბიბინეიშვილი.**

ექიმი

გ. ო. ზანდუკელი

შინაგანი და ნერვიული ავადმყოფობანი. ელექტრო-სინათლით სამკურნალო კაბინეტი.

ავადმყოფების მიღება გარდა შაბათისა და კვირა უქმე დღეებისა საღამოს 7-დან 8 საათამდე. ლენინის ქ. (ყოფილი ოლღას ქ.) № 11. ტელ. 4—82. 25—1

ექიმმა

ს. ი. ვოლოხმა

განაახლა ავადმყოფთა მიღება

(ქალთა სნეულებანი და მეანობა)

ყოველ დღე, გარდა ხუთშაბათისა, 5 ს.-დან 7 ს.-მდე. ბელგიის ქ., № 5, მთავარ საავადმყოფოს (ყოფ. მიხეილის) მახლობლად. ტელ. 10—80. 25—1

ექიმი

პ. ი. ჯალალოვი

დაბრუნდა და განაახლა ავადმყოფთა (კანისა და ვენერიული სნეულებანი) მიღება. სიფილისი, შეშხაპუნება „914“. ტრიპერისა და მისი შედეგების მკურნალობა.

მამაკაცთა მიღება: დილით—7—8 ს. საღ.—5—8 ს. ქალები და ბავშვების მიღება: დილის—8—9 ს. 4—საღ.—5 ს. მისამართი: კამოს ქ., № 19 ყოფ. დიდი მთავრის ქ., კარლ მარქსის მოედნის მახლობლად. ტელეფონი 1—90. 25—1

დაიკარგა: სამთომადნო კავშირის წიგნაკი ივანე ანდრიასძე ყიფშიძეს სახელზე, ჩ. გ. 4521

ექიმი

ნ. ა. ჯანდიერი

ბავშვთა, შინაგანი და ქალთა ავადმყოფობანი მიღება დილით 8—9 ს. საღამოზედ 5—7 ს. სომხის ბაზარი № 3. 25—1

თანახმად სრულიად საქარ. საბჭ. ცენტრ. აღმასრულებელი კომიტეტის და საქარ. სოც. საბჭ. რესპ. სახკომისართა საბჭოს 1926 წლის 15 მარტის № 12 ცირკულიარისა აღძინგანის მმაჩის ბიურო აცხადებს, რომ მოქ. სპირიდონ ივანეს ძე ვლასოვმა თავისი სახელი გამოიცვალა ახალ სახელზე „ბორის“-ზე. 4527

დაიკარგა: სამხედრო სააღრიცხვო წიგნაკი ფორმა № 4 გაცემული დავით ივანეს ძე კოზრეიძის სახელზე, ჩ. გ. 4528

დაიკარგა: მეტრიკული ამონაწერი და პირადობის მოწმობა მეთოდე კიმოთესძე ყაველაშვილის სახელზე, ჩ. გ. 4525

დაიკარგა: საკანდიდატო პარტბილეთი № 21162 გაცემული ფოთის პარტკომის მიერ სამუელ მაქსიმეს ძე მგალობლიშვილის სახელზე, ჩ. გ. 4520

დაიკარგა: საქ. სოც. დაზღვევის კომიტეტის უმუშევრობის წიგნაკი № 3737 ვასილ სოსლანის ძე გაბუნიას სახელზე, ჩ. გ. 4526

დაიკარგა პარტიული ბილეთი № 0865842, მიწა ტყის ავშირის წიგნაკი № 182 და მუშკოოპის წიგნაკი № 35428 ვასილ ბიჩინაშვილის სახელზე ჩ. გ. 4529

დაიკარგა: რკინის გზის კავშირის წიგნაკი № 562 ვლადიმერი ზოიძის სახელზე, ჩ. გ ნ. 1701

დაიკარგა: მეტრიკული ამონაწერი თინათინ ედიშერის ასული ედიშერაშვილის სახელზე, ჩ. გ. 4523

დაიკარგა: სამხედრო აღრიცხვის ბარათი ფორმა № 4 პირად. მოწმ. გაც. ნავთლუღის შპალის საჟღენთ ქარხნის მიერ და საგარეთუბნო ბილეთი ნავთლუღ-თბილისის შუა, სამსონ კლიმენტისძე ქუთათელაძის სახელზე, ჩ. გ. 4519

პოლიგრაფტრესტის მე-5 სტამბა, ყაზმოს ქუჩა № 68.
მთავლიტი № 904.